

კლასიკური  
ენები ჩვენს  
ყოველდღიურობაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●  
**პროგრამა «ლოგოსი»**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

კლასიკური  
ენები ჩვენს  
კონველტურობაში




2005  
თბილისი

ქეთევან კვაჭანტირაძე



მაია ღანელია



კლასიკური  
ენები ჩვენს  
ყოველდღიურობაში

საქართველოს მდივანი

საქართველოს

იორგისძე

საქართველოს

რედაქტორი: ქეთევან აბესაძე

რეცენზენტი: იამზე გაგუა

© პროგრამა „ლოგოსი“

ISBN 99940-31-54-6

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა [greekstudies@caucasus.net](mailto:greekstudies@caucasus.net)

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	7
შესავალი.....	9
გაკვეთილი № 1.....	16
გაკვეთილი № 2.....	21
გაკვეთილი № 3.....	24
გაკვეთილი № 4.....	29
გაკვეთილი № 5.....	33
გაკვეთილი № 6.....	37
გაკვეთილი № 7.....	41
გაკვეთილი № 8.....	45
გაკვეთილი № 9.....	48
გაკვეთილი № 10.....	51
გაკვეთილი № 11.....	55
გაკვეთილი № 12.....	59
გაკვეთილი № 13.....	62
გაკვეთილი № 14.....	66
გაკვეთილი № 15.....	70
გაკვეთილი № 16.....	73
გაკვეთილი № 17.....	78
გაკვეთილი № 18.....	83
გაკვეთილი № 19.....	86
გაკვეთილი № 20.....	89
გაკვეთილი № 21.....	94
გაკვეთილი № 22.....	97
გაკვეთილი № 23.....	100
გაკვეთილი № 24.....	104

გაკვეთილი № 25.....	109
გაკვეთილი № 26.....	115
გაკვეთილი № 27.....	120
გაკვეთილი № 28.....	124
გაკვეთილი № 29.....	128
გაკვეთილი № 30.....	131
ცნობილი ლათინური სენტენციები.....	134
ADDENDA.....	141
მოკლე ინფორმაციული ცნობარი.....	183
ლექსიკონი.....	187

## წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო „კლასიკური ენები ჩვენს ყოველდღიურობაში“ განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირთათვის, ვისაც სურს ახლოს გაეცნოს ანტიკურ სამყაროს. ბერძნული და ლათინური ენების ცოდნა აფართოებს ენობრივ თვალსაწიერს და ხელს უწყობს ამა თუ იმ ენის და, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის შესწავლას.

წიგნი შედგება შესავლის, 30 გაკვეთილისა და დანართისაგან. თითოეული გაკვეთილი ექვს პუნქტად იყოფა.

ყოველი გაკვეთილის პირველ პუნქტში თანდათანობით ვეცნობით ლათინურ გრამატიკას და რადგან ამ სახელმძღვანელოს მიზანი არ არის ბევრი ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის სრული კურსის შესწავლა, გრამატიკული მასალა იმ რაოდენობითაა მოწოდებული, რაც საჭირო იქნება ლათინური შემოკლებების, გამოთქმაფორმულებისა და სენტენციათა შესასწავლად.

მეორე პუნქტში მოცემულია ცნობილი ლათინური ფრაზები და გამოთქმები, რომელთა ცოდნაც საეაღდეულოა ყველა განათლებული ადამიანისათვის.

მესამე პუნქტს გერმინთა წარმოება ეწოდება, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება წარმოიქმნას ახალი გერმინი ერთი სიტყვის სხვა სიტყვებთან დაკავშირების შედეგად. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ჩამოეთვალოთ ბერძნული ლექსიკური ფორმატივიდან λῆγος („სიტყვა“) ნაწარმოები გერმინები: ანალოგი, კატალოგი, ეპილოგი და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი თანამედროვე სიტყვა ნაწარმოებია კლასიკური ენების საფუძველზე, თუმცა ისინი ანტიკურ ხანაში არ არსებობდნენ (მაგ: ტელევიზორი, ფონენდოსკოპი, კოსმონავტი და ა. შ.). ამიტომ ამგვარად ნაწარმოებ ყველა ფორმატივს ექნება ნიშანი (\*).

ყოველი გაკვეთილის მეოთხე პუნქტი ეთმობა დარგობრივ გერმინოლოგიას, რომელშიც ვეცნობით ბერძნული და ლათინური ძირებიდან ნაწარმოებ სხვადასხვა გერმინს, მაგ: განათლება, ეკონომიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მედიცინა, ისტორია, პოლიტიკა, სპორტი, კულინარია და სხვ. დარგობრივ გერმინოლოგიაში –

თეატრი, ვეცნობით ისეთ სიტყვებს, როგორცაა ამფითეატრი, სპექტაკლი, დრამა, ეპიზოდი და ა. შ.

მეხუთე პუნქტში მოცემულია ცნობილი ლათინური შეგონებანი (sententiae) და ანდაზები.

მეექვსე პუნქტში კი ვეცნობით იდიომებსა და ფრთოსან გამოთქმებს. თითოეულს თან ახლავს ის მითოლოგიური ინფორმაცია, რომელმაც საფუძველი შეუქმნა მის ფრთოსან გამოთქმად ქცევას.

ვფიქრობთ, რომ ამ წიგნის დაუფლების შემდეგ სტუდენტი აითვისებს ლათინურ და ბერძნულ ლექსიკას, გაეცნობა ფართოდ გავრცელებულ ლათინურ ფრთოსან გამოთქმებსა და სენტენციებს, რაც ხელს შეუწყობს მისი ზოგადი განათლებისა და თვალსაწიერის გაფართოებას.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა მოვასხენოთ წიგნის იდეის ავტორს, ბატონ რისმაგ გორდემიანს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია სახელმძღვანელოზე მუშაობისას.

მადლობას ვუხდით ქალბატონებს ქეთევან აბესაძეს, იამზე გაგუასა და ირინე დარჩიას მნიშვნელოვანი შენიშვნებისა და საგულისხმო რჩევებისათვის, ქალბატონ ქეთევან ნიჭარაძეს გაწეული დახმარებისათვის. აგრეთვე, გამომცემლობა „ლოგოსის“ თანამშრომლებს: ირინე სტროგანოვას, ალექო ჯიქურიძეს, გოჩა კველიძეებს და დავით მუჯირს.

## შესავალი

**ენა, ანბანი.** მსოფლიოში 5 ათასამდე ენაა, დამწერლობის სისტემა კი — მხოლოდ თოთხმეტი:

- |                    |               |
|--------------------|---------------|
| 1. ბერძნული        | 8. კორეული    |
| 2. ლათინური        | 9. ჩინური     |
| 3. ქართული         | 10. მონღოლური |
| 4. სომხური         | 11. ინდური    |
| 5. ებრაული         | 12. არაბული   |
| 6. სლავურ-კირილური | 13. სირიული   |
| 7. იაპონური        | 14. ეთიოპური  |


მსოფლიოში არსებული ენები მხოლოდ და მხოლოდ ამ თოთხმეტე ანბანს მოიხმარს დამწერლობისათვის. ამათგან ყველაზე გავრცელებულია ლათინური, რომელსაც იყენებენ დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის, აფრიკის და აზიის ბოგიერთი ქვეყანა.

იმ ენებს, რომელთაც საერთო წინაპარი ენა ჰქონდათ „მონათესავე ენები“ ჰქვია. ისინი, თავის მხრივ, „ენათა ოჯახებად“ ერთიანდებიან. ხშირად სხვადასხვა ენათა დიალექტები ახალ დამოუკიდებელ ენებად ყალიბდება. ენათა ოჯახებიდან ყველაზე დიდია ინდოევროპულ ენათა ოჯახი და მასში შემავალი ენები გენეალოგიური ხის სახით წარმოდგება (იხ. გვ. 10).

ბერძნული და ლათინური ინდოევროპულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ქართული კი ქართველურ ენათა ოჯახში შედის (ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური).

**მკედარი ენა.** იმ ენას, რომელმაც დღეს აღარავინ ლაპარაკობს, მკედარი ენა ეწოდება. ასეთებია: ლათინური, ძველი ბერძნული, შუმერული, აქადური, ხეთური და სხვ. ამ ენებმა ჩვენამდე მხოლოდ წერილობითი წყაროებით მოაღწიეს, თუმცა მათ დიდი გავლენა იქონიეს მრავალ თანამედროვე ენაზე.

ძველმა ბერძნულმა და ლათინურმა გაამდიდრეს თანამედროვე ევროპული ენების ლექსიკა. ქართველურ ენებშიც დაცულია მკეად საყურადღებო ენობრივი მასალა, რომლის პარალელებიც უხვად დაბიძგნება ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებში.



ინდოევროპული ენების გენეალოგიური ხე

antiquus ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ძველს“, classicus კი – „უმაღლესს“. კლასიკურად მიიჩნევა სრულყოფილი, სამაგალითო, სანიმუშო რამ. ამ ორივე გერმინით აღინიშნება ბერძნული და რომაული სამყაროს კულტურა, ლიტერატურა თუ მსოფლმხედველობა.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ძველს აღნიშნავს, მასში იგულისხმება არა ზოგადად ძველი სამყაროსათვის დამახასიათებელი, არამედ ის, რაც ნიშანდობლივია მხოლოდ საბერძნეთისა და რომისათვის. უამრავ სხვა ძველ კულტურათა (ჩინური, ინდური, შუამდინარული და სხვ.) აღსანიშნად გერმინი „ანტიკური“ დამკვიდრებული არ არის. „კლასიკური ფილოლოგია“ კი გულისხმობს სამეცნიერო დისციპლინების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე საკუთრივ ფილოლოგიურ ღარგებს, მასში ზოგადად ექცევა მთელი ანტიკური სამყაროს სიძველენი.

კლასიკური ენებია ძველი ბერძნული და ლათინური. ბერძნული ენის მრავალ დიალექტზე ბერძნები საუბრობდნენ, ლათინური კი რომაელთა ენა იყო. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

**ბერძნული ენა.** ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრი ბერძნული ენა დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულიდან ყოფილა გავრცელებული ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. ბერძნული ენა დიალექტებისგან შედგებოდა, რომელთაგანაც ძირითადი იყო: იონიური, დორიული, ეოლიური და აგიკური.

ათენის ეკონომიკურ-პოლიტიკურმა აღმავლობამ და მის მიერ ბერძენთა სხვა გომეებზე წინამძღოლობის სურვილმა აგიკურ დიალექტს პირველობა მიანიჭა საბერძნეთში და მან მიიღო სახელწოდება ბერძნული ენა (ή ἑλληνική γλώσσα). დღეს ამ ენას კლასიკურ ბერძნულს უწოდებენ. სწორედ ამ დიალექტზეა დაწერილი საისტორიო, ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის ბრწყინვალე ნიმუშები.

ძვ. წ. IV საუკუნეში ძლიერდება მაკედონია და ბოლო ედება ბერძნული პოლისების დამოუკიდებლობას. მთავრდება ბერძნული კულტურის ე. წ. ელინური პერიოდი და იწყება ელინისტური (ძვ. წ. IV-I სს.). ამ დროს, მართალია, ათენი კარგავს პირველობას ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ აგიკური დიალექტის გამოყენება უფრო ფართოვდება. ამიტომ ბერძნული ხდება ლიტერატურული ენა ყველა ბერძენისათვის. დროთა განმავლობაში კი მემობელი ქვეყნების ენათა გავლენით იგი იცვლის გრამატიკულ ფორმებს და ლექსიკას, რის შედეგადაც ყალიბდება სახეცვლილი აგიკური დიალექტი – კოინე (ή κοινή) ე. ი. საერთო ბერძნული ენა.

ახ. წ. I-III სს. ელინისტური ქვეყნები რომის იმპერიაში შედიოდნენ. ბერძნული ლათინურთან ერთად სახელმწიფოს ოფიციალური ენა იყო და იგი აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის, სახელმწიფო

ენა გახდა, რამაც საფუძველი დაუდო მისი განვითარების ახალ საფეხურს – ბიზანტიურ პერიოდს, რომელიც XV საუკუნემდე გაგრძელდა.

1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემასთან ერთად, დასრულდა საშუალო ბერძნულის პერიოდი და დაიწყო ახალი ბერძნული ენის ეპოქა. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ამ პერიოდში წარმოიშვა, იყო ე. წ. „ენობრივი პრობლემა“ ანუ ორი ენობრივი ნორმის არსებობა: არქაიზებული სამწერლობო ენისა და ცოცხალი სასაუბრო ენის. XVIII საუკუნეში უფრო მწვავედ დაისვა ამ ორი ნორმის ურთიერთმორიგების საკითხი. შემოთავაზებული იქნა კომპრომისული ვარიანტი ახალი ენის – კათარევუსას (καθαρεύουσα) დამკვიდრებით. იგი თავიდან ჩაფიქრებული იყო როგორც ხალხური და სამწერლობო ენების ურთიერთშემახამებელი ენობრივი ნორმა. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, რადგან ერთ მხარეს დარჩა ხელოვნური, განწმენდილი ენა კათარევუსა, ხოლო მეორე მხარეს სალაპარაკო დიმოტიკი (δημοτική).

მიუხედავად გარკვეული მემკვიდრეობისა, დღეს ძველი ბერძნული ენის მცოდნე სრულფასოვნად ვერ იგებს ახალ ბერძნულზე დაწერილ ტექსტებს და, პირიქით, დიმოტიკიზე მოლაპარაკე ბერძენს უჭირს ძველი ბერძნული ლიტერატურული ძეგლების წაკითხვა და გაგება.

**ლათინური ენა.** სახელწოდება „ლათინური“ წარმოიშვა სიცილიისაგან Latium (ლაციუმი), რომელიც იყო იტალიის ერთ-ერთი პატარა მხარის სახელი. ადგილობრივი მცხოვრებნი თავს ლათინებს (Latini) უწოდებდნენ, თავიანთ ენას კი – ლათინურს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ლაციუმმა მიიღო გროადან წამოსული ენვასი და სწორედ მისმა შთამომავალმა რომულუსმა დააარსა ქალაქი რომი (Roma) ძვ. წ. 753 წელს. რომი თავდაპირველად ლაციუმის მთავარი ქალაქი იყო, ძვ. წ. III საუკუნეში კი ლაციუმისა და რომის ძალა საგრძნობლად გაიზარდა და მათ პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა მოახდინეს ჯერ აპენინის ნახევარკუნძულის სხვა ტომებზე, შემდეგ კი – ხმელთაშუა ზღვის აუზის მიმდებარე ქვეყნებზე, რამაც რომი უკვე იმპერიის დედაქალაქად აქცია. ამ უდიდესი სახელმწიფოს მოქალაქეებს რომაელები ეწოდათ, ხოლო იმის მიუხედავად, რომ ლათინური საგრძნობლად გასცდა ლაციუმის ფარგლებს, იგი რომის იმპერიის სახელმწიფო

ენად იქცა.<sup>1</sup> ამ ენაზე მეტყველ ხალხს კი „რომაელები“ ქალაქ რომის სახელის მიხედვით ეწოდათ.

ლათინური ენა, სხვა ცოცხალ ენათა მსგავსად, მუდმივად იცვლებოდა. აქ, ძირითადად, ენის განვითარების რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა: არქაული (ძვ. წ. III-II სს.), კლასიკური ანუ იგივე ოქროს ხანის ლათინური (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.), რომელიც წარმოადგენდა ენისა და სტილის, ლიტერატურის განვითარების უმაღლეს საფეხურს და პროზისა და პოეზიის აყვავების ეპოქას. მომდევნო პერიოდი კი გვიანია, ანუ ვერცხლის ხანის ლათინურია (ახ. წ. III-VI სს.). მოგვიანებით, ლათინურ ენაში შემოიჭრა რომის იმპერიის პროვინციათა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სიგყვები, გამოთქმები, სინტაქსური კონსტრუქციები, რომელიც უცხო იყო კლასიკური ლათინურისათვის. ამის გამო ენაში დამკვიდრდა ბარბარიზმები და პროვინციალიზმები. სალიტერატურო ლათინურ ენაზე გავლენა მოახდინა გაუნათლებელ ხალხთა მეტყველებისათვის დამახასიათებელმა ლექსიკამ (sermo vulgarus). ლათინურმა შეავიწროვა ადგილობრივი ენები რომის იმპერიის ევროპულ ნაწილში, მოგვიანებით კი მის საფუძველზე კი თანდათან გაძლიერდა და წარმოშვა რომანული ენები: ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რომანული და კატალონიური.

თუმცა ლიტერატურულ ლათინურს, რომელმაც მაინც შეძლო მყარ ფორმათა შენარჩუნება, გამოკვეთილი ადგილი არ დაუკარგავს არც რომანული ენების კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებაში და არც იქ, სადაც ლათინურმა ნაკლებად შეავიწროვა ადგილობრივი ენები (გერმანული, ინგლისური, პოლანდიური და სხვ.). მხატვრული ლიტერატურის გარდა, ლათინურმა ენამ შეინარჩუნა მთავარი პოზიციები სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში და დარჩა სახელმწიფო ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობის, მეცნიერების, ეკლესიისა და განათლების ენად.

**ანტიკური ცივილიზაციის გავლენა თანამედროვე მსოფლიოზე.** ძველი ბერძნები ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი მემკვიდრეობა დღესაც ცოცხალია. ძველბერძნული გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იგრძნობა – ენაში, მედიცინაში,

<sup>1</sup> ამ იმპერიაში შექმნილ ლიტერატურას ეწოდა რომაული ლიტერატურა, რომელიც, ბუნებრივია, ლათინურ ენაზე იყო შესრულებული. ამიგომ არის რომაული ლიტერატურა და ლათინური ენა განსხვავებით ქართული ენა და ლიტერატურა, ბერძნული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა.

მეცნიერებასა და პოლიტიკაში, არქიტექტურაში და თეატრში. თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ერის დამწერლობა სათავეს ბერძნული ანბანიდან იღებს, ხოლო ბერძენი ფილოსოფოსების იდეები დღესაც მსჯელობის საგანია. რომაელთა სამართლის სისტემა საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის კანონმდებლობას. ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურული და საისტორიო თხზულებანი, მართალია, განეკუთვნება კონკრეტულ ხანას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის იმდენად ორიგინალური და ძლიერია, რომ შეინარჩუნა ინტერესი და მაღალმხატვრულობა მომდევნო ეპოქებშიც. ეს ლიტერატურები არის არა მხოლოდ ისტორიული დოკუმენტები, არამედ მხატვრული ღირებულების მაგარებელიც.

რომის იმპერიის დაცემიდან თითქმის 1000 წლის განმავლობაში რომაული ცივილიზაცია ევროპელებისათვის მისაბაძად რჩებოდა. რომაელთა ენა XVI საუკუნემდე ფართოდ იყო გავრცელებული ევროპელთა შორის. მისი დიდი გავლენის საფუძველი პოლიტიკურიც იყო, ეკონომიკურიც და კულტურულიც. ჯერ საბერძნეთმა, შემდეგ რომმა, ბოლოს კი ბიზანტიის იმპერიამ დიდი გავლენა იქონიეს ევროპაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხზე. თუმცა ეს არ მომხდარა მხოლოდ ენათა გავრცელების დონეზე, ანტიკურმა სამყარომ უდიდესი ბიძგი მისცა მომავალ ევროპულ კულტურასა და მეცნიერებას. ამიტომაც, რომ ანტიკური ცივილიზაცია და ცხოვრების წესი ევროპული მსოფლმხედველობის განმსაზღვრელად იქცა.

**გერმინთა წარმოების საფუძველი.** ცნობილია, რომ ძველი ბერძნული და ლათინური მკვდარი ენებია, თუმცა ისინი დღესაც აგრძელებენ არსებობას როგორც მეცნიერებისა და კულტურის, განათლების საზოგადოების ენები.

უნიკალური სიმდიდრის ბერძნულმა და ლათინურმა ლექსიკამ გავლენა მოახდინა სხვა ენების ლექსიკაზე, მათ შორის, ქართულზეც. ბერძნულიდან ქართულში შემოვიდა ისეთი სიტყვები, როგორცაა: აკადემია, სკოლა; მრავალი საკუთარი სახელი: ელენე, ანდრია, ფილიპე და სხვ.

ამ ენებიდან მომდინარეობს მრავალი გერმინი, თვით მეცნიერებათა აღმნიშვნელი სახელები: ფილოლოგია, ეკონომიკა, ფიზიკა... სამეცნიერო გერმინები: თეორია, ჰიპოთეზა, იდეა, ატომი; პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვები: მონარქია, დემოკრატია, ანარქია; ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხმარებული სიტყვები: დრამა, ლირიკა, ტრაგედია, პოემა, რომ არაფერი ვთქვათ განათლების (უნი-

ვერსიტეტი, ფაკულტეტი, ლექცია), სამედიცინო (ქირურგია, კარდიოლოგია) და სამართლის (იურისპრუდენცია, პედაგოგია) გერმინებზე.

თავდაპირველად ბერძნულ ენაზე, შემდეგ კი ლათინურზე შეიქმნა მრავალი სამეცნიერო ლექსიკის სისტემა, მოგვიანებით კი, როდესაც ევროპის ქვეყნებშიც განვითარდა მეცნიერებები და ითარგმნა სამეცნიერო ლიტერატურა, ცნების სიზუსტის აღსანიშნად უთარგმნელად გადაიტანეს ბერძნული და ლათინური სიტყვები, რომლებიც შემდეგ ტერმინებად იქცა. აქვე აღსანიშნავია, რომ ბერძნულ და ლათინურ ბირებზე დაყრდნობით დღესაც იქმნება გერმინები: მეცნიერების დარგი კიბერნეტიკა, რომელიც XX საუკუნეში ჩამოყალიბდა, სახელწოდებას იღებს ბერძნული სიტყვისაგან  $\kappa\upsilon\beta\epsilon\rho\eta\tau\iota\kappa\acute{o}\varsigma$  „მართვის ხელოვნება“.

გერმინთა გარდა, ძალზე პოპულარულია ლათინური სენტენციები, რომლებიც ხშირად უთარგმნელად გვხვდება. ითვლება, რომ ეს გამოთქმები თარგმანის გარეშეც ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს ყველა განათლებული ადამიანისათვის.

**გაკვეთილი № 1**

**1. გრამატიკა**

ლათინური ანბანი

ნიშანი		სახელწოდება
A	a	ა
B	b	ბე
C	c	ცე
D	d	დე
E	e	ე
F	f	ეფ
G	g	გე
H	h	ჰა
I	i	ი
K	k	კა
L	l	ელ
M	m	ემ
N	n	ენ
O	o	ო
P	p	პე
Q	q	ქე
R	r	ერ
S	s	ეს
T	t	ტე
U	u	უ
V	v	ვ
X	x	იქს
Y	y	იგრეკუსი
Z	z	ზეტა

დიფთონგები: ae – ე; oe – ე(ნ); au – ავ; eu – ევ

NB: თუკი მეორე ხმოვანს თავზე აქვს ორი წერტილი (oē) ან ხაზი (oē), მაშინ საქმე გვაქვს ორ მარტივ ხმოვანთან, რომლებიც ცალ-ცალკე უნდა წავეკითხოთ: მაგ. poēta / poēta – „პოეტი“

c  $\left\{ \begin{array}{l} \text{ქ} \\ \text{+ e, i, y, ae, oe – ც} \end{array} \right.$  factum – ფაქტი  
Cicero – ციცერონი

i გამოითქმის როგორც j, თუ ის შემდეგ ხმოვანთან ერთ მარცვალს ქმნის: Iulius – „იულიუს“.

k გამოიყენება მხოლოდ ორ სიტყვაში: Kalendae „კალენდები“ და Kaeso „კესო“ (მამაკაცის საკუთარი სახელი).

შუა საუკუნეებიდან ti + ხმოვანი გამოითქმის როგორც ცი. Iustitia – „იუსტიცია“.

ch – ხ	schola
ph – ფ	philosophia
th – თ	theatrum
rh – რ	rhetorica

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

a – z – ადან ზეტამდე – თავიდან ბოლომდე „ანიდან პომემდე“

a, b, c, d -arium – აბეცედარიუმი

i. e. / id est – ესე იგი

Lingua Latina – ლათინური ენა

Domina Roma – დედოფალი რომი

Magna Roma – დიადი რომი

Civis Romanus sum – რომის მოქალაქე ვარ (ხაზგასმა რომის იმპერიის მოქალაქის შეუვალ უფლებებზე)

SPQR / Senatus populusque Romanus – რომაელი სენატი და ხალხი (უმაღლესი ხელისუფლების ნიშანი)

Roma aeterna // Urbs aeterna – მარადიული რომი // მარადიული ქალაქი

An urbe condita – ქალაქის (რომის) დაარსებიდან ძვ. წ. 753

Urbi et orbi – ქალაქს (რომს) და ქვეყანას i. e. მთელს მსოფლიოს [ამცნეთ]

**3. დარგების სახელწოდებები თსუ ფაკულტეტების მიხედვით**

მექანიკა – μηχανική // mechanica

მათემატიკა – μαθηματική // mathematica

ფიზიკა – φυσική // physica

კიბერნეტიკა – κυβερνητική // kybernetica

ქიმია – χημία // chemia

გეოგრაფია – γεωγραφία // geographia

გეოლოგია – γεωλογία // geologia

ბიოლოგია – βιολογία // biologia

ფილოსოფია – φιλοσοφία // philosophia  
 ფილოლოგია – φιλολογία // philologia  
 ისტორია – ἱστορία // historia  
 ეკონომიკა – οἰκονομική // oeconomica  
 ფსიქოლოგია – ψυχολογία // psychologia  
 სოციოლოგია – sociologia  
 კომერცია – commercium  
 იურისპრუდენცია – iurisprudentia  
 ჟურნალისტიკა – diurnus > ფრ. journalistique  
 ორიენტიკალისტიკა – oriens, entis  
 მედიცინა – medicina

#### 4. დარგობრივი ტერმინოლოგია – განათლება

პედაგოგი, პედაგოგიკა, პედაგოგიური – παιδαγωγός „აღმზრდელი“  
 დიდაქტიკა – διδακτική „ვასწაველი“

მეთოდი, მეთოდური, მეთოდისტი – μέθοδος „მეთოდი“, „გა-  
 მოკვლევის წესი“

აკადემია<sup>1</sup> – Ἀκαδημία

ლიცეუმი<sup>2</sup> – Λύκειον

გიმნაზია<sup>3</sup> – γυμνάσιον „საეარჯიშო ადგილი“

უნივერსიტეტი – universitas, atis „მთლიანობა, ერთიანობა“

სკოლა<sup>4</sup> – schola

ფაკულტეტი – facultas, atis „შესაძლებლობა“

ლექცია – lectio, onis „კითხვა“

ლექტორი – lector, oris „მკითხველი“

<sup>1</sup> თავდაპირველად აკადემია ერქვა პლატონის ფილოსოფიურ სკოლას, რომელიც ათენში, აკადემოსის ჭალაში მდებარეობდა, იგი ძვ. წ. 388 წელს დაუარსებია პლატონს. მოგვიანებით აკადემია უმაღლესი სასწავლებლის სინონიმად იქცა.

<sup>2</sup> ათენში, აპოლონ ლინკევსის წმინდა ჭალაში არისტოტელემ ძვ. წ. 335 წელს დააარსა სკოლა. მოგვიანებით ეს სიგევა, როგორც სასწავლებლის აღმნიშვნელი ტერმინი, ლათინიზებული ფორმით (Lyceum) გავრცელდა.

<sup>3</sup> თავიდან გიმნასიონი მხოლოდ საგანგარჯიშო მოედანი იყო, სადაც ფიზიკურად წვრთნიდნენ ასალგამრდებს. მოგვიანებით კი სასწავლო დაწესებულებად იქცა, სადაც ფილოსოფიური საუბრები იმართებოდა. XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში გიმნაზიები ისეთ სასწავლებლებს ეწოდებოდათ, რომლებშიც ასალგამრდებს საუნივერსიტეტო განათლებისათვის ამზადებდნენ.

<sup>4</sup> როდესაც რომაელებმა გადაიღეს ბერძნული განათლების სტილი, გიმნასიონს სქოლე (σχολή – თავისუფალი დრო) ეწოდეს.

#### 5. სენგენციები

Non uno die Roma aedificata est – რომი ერთ დღეში არ აშენებულა

Si fueris (vivi) Romae, Romano vivito more – თუ ხარ რომში, იცხოვრე რომაული წესებით

Mille viae ducunt hominem per saecula Romam – ყველა გზა რომში მიდის

Romanus sedendo vincit – რომაელი დამჯდარიც კი იმარჯვებს

Malo hic esse primus, quam Romae secundus – უმჯობესია აქ იყო პირველი, ვიდრე რომში – მეორე

#### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**ფრთოსანი სიგევა** (ἔπεα πτερόειπτα)

ჟომეროსი ასე ეწოდებს მწყობრ, ლაკონურ, მოსწრებულ გამოხატულებას, რომელიც „მოქმედის ენიდან მსმენელის ყურამდე მიყვინავს“. ფრთოსან სიგევაში იგულისხმება ხშირად ციტირებული ფრაზა ლიტერატურული ან ისტორიული წყაროდან.

**მითი** (μῦθος) სიგევა, ნათქვამი

უძველესი ხალხური ფანტასტიკური თქმულებანი ქვეყნის გაჩენის, სიკოცხლის წარმოშობის, ბუნების ძალთა, ღმერთებისა თუ გმირების მოქმედების შესახებ. მითი ხალხის მიერაა შექმნილი. მასში აღწერილი მოვლენები, არასოდეს მომხდარა, თუმცა შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეთ გამოწვავთ ამბავში ბევრი სიმართლე შეიძლება იყოს. ამიტომ ხშირად მითოლოგიური ინფორმაცია სარწმუნო და ანგარიშგასაწევია.

მითების ერთობლიობას მითოლოგია ეწოდება.

> მითი – დაუჯერებელი ამბავი, სიცრუე, მონაჭორი, სიყალბე ან განზრახ შეთხზული რამ.

#### ზღაპარი

ფანტასტიკურ გამოწვავთ ამბავში აგებული თხრობითი ნაწარმოები, რომელიც სინამდვილესთანაა დაკავშირებული იდეით, თემატიკით, მოტივებითა და სიუჟეტებით. ზღაპარი ეროვნული კოლორიტით ხასიათდება.

ზღაპარს კომპოზიციური დასაწყისი და დაბოლოება აქვს (მაგ. ქართული ზღაპრის დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ და ა. შ.). ეს ფრაზა გვეუბნება, რომ ზღაპრის შინაარსი გადმოცემულია, როგორც ნამდვილად მომხდარი ამბავი, რომელიც

არასოდეს მომხდარა. ეს ყველამ იცის – მსმენელმაც და მოხრობელმაც. მღაპარი მხოლოდ შეთხზული ამბავია და თავიდანვე მოკლებული იყო იმ დამაჯერებლობას, რომელიც მითს ახასიათებს.

### ლეგენდა (legenda)

სიგყვასიგყვით ლეგენდა „საკითხავს“ ნიშნავს. იგი სათავეს იღებს ისტორიულად მომხდარი ამბის ან რეალური გმირის მოქმედებიდან. ტერმინი შუა საუკუნეებში დამკვიდრდა, როგორც წმინდანთა და ღვთისმსახურთა ცხოვრების აღმნიშვნელ კრებულთა (liber legendarium) სახელწოდება. რამდენადაც მსგავსი კრებულები განკუთვნილი იყო აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოსახდენად, რეალურ ფაქტებთან ერთად ყურადღება მახვილდებოდა დაუჯერებელ ამბებზე. ამიტომ ხშირად ლეგენდას ფანტასტიკური და სასწაულებრივი იერსახე აქვს. მღაპრისაგან კი იმით განსხვავდება, რომ კონკრეტულ მოვლენას ან პიროვნებას შეეხება. ლეგენდის შემეცნებითი და მნეობრივი ფუნქცია ყოველთვის განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი.

### თქმულება

ეპოსის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც დამახასიათებელია ხალხური სიგყვიერებისათვის. ჩვეულებრივ, ესაა მოთხრობა გარდასულ ამბავზე. გვხვდება პროზაული ლექსითი ან ლექსნარევი პროზის სახით.

## ბაკვეთილი №2

### 1. გრამატიკა

ბერძნული ანბანი

ნიშანი	სახელწოდება
A	ა
B	ბ
Γ	გ
Δ	დ
E	ე
Z	ჯ
H	ი
Θ	თ
I	ი
K	კ
Λ	ლ
M	მ
N	ნ
Ξ	ქ
O	ო
Π	პ
P	პ
Σ	ს
T	ტ
Υ	უ
Φ	ფ
X	ხ
Ψ	ფ
Ω	ω

### 2. მკვმოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

Λ – Ω – ალფადან ომეგამდე i. e. თავიდან ბოლომდე  
 ალფა (α) + ბეგა (β) – ალფაბეტი

<sup>1</sup> ψιλόν – მოკლე

<sup>2</sup> μικρόν – პატარა

<sup>3</sup> μέγα – დიდი

a. K. G. / ad Kalendas Graecas – ბერძნულ კალენდებამდე<sup>1</sup> i. e. გა-  
ნუსაზღვრელი დროით

ή Ἑλληνική γλῶσσα – ბერძნული ენა  
ή Ἑλλάς, αἶδος – ელადა (საბერძნეთი)  
Graecia Magna – დიდი საბერძნეთი (იტალია)

**3. გერმინთა წარმოება:** ὄνομα, ἄτος – სახელი

ψῆδ	}	(ο)νόμα
ἄν		
συσ		
ἄντ		
ὄμ		

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – ფილოლოგია**

ლიტერატურა – litteratura < littera „ასო“  
გრამატიკა – γράμμα „ასო“  
პოლიგლოტი – πῶλος „ბევრი“, γλῶσσα (γλῶττα) „ენა“  
ლინგვისტიკა – lingua „ენა“  
სინტაქსი – σύν „ერთად, თან“, τῆξις, εως „წყობა“  
ნეოლოგიზმი – νέος „ახალი“, λόγος „სიტყვა“  
ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფია, ბიბლია – βιβλίον „წიგნი“  
ორთოგრაფია – ὀρθός „სწორი“, γραφία „წერა“  
იუმორი – humor, oris „სითხე“ (იხ. გვ. 163)  
ვარიანტი – varia „სხვადასხვა“  
ინტონაცია – intonare „ხმამალა წარმოთქმა“  
კონტექსტი – contextus „გაბმა, კავშირი, უწყვეტი რიგი“  
კომენტარი – commentarium „შენიშვნა, განმარტება“  
პლაგიატი – plagium „არაკანონიერად მითვისება“

### 5. სენტენციები

Graecia capta ferum victorem cepit et artes intulit agresti Latio – დაპ-  
ყრობილმა საბერძნეთმა დაატყვევა გაუთლელი (ველური) გამარჯვე-  
ბული და შეიტანა ხელოვნებანი სოფლურ ლაციუმში (პორაციუსი)

<sup>1</sup> რომში კალენდები თვის პირველ რიცხვებს ეწოდებოდა. ძველ ბერძნებს კი კა-  
ლენდები არ ჰქონდათ, ამიტომ აქვს ამ გამოთქმას მნიშვნელობა: არასოდეს i. e.  
როდინობის კვირაში.

Graeca sunt, non leguntur – ბერძნულია, არ იკითხება i. e. ჩინურია,  
გაუგებარია

Fortuna caeca est – ბედისწერა ბრმაა

Habent sua fata libelli – წიგნებსაც აქვთ თავიანთი ბედი

Fuimus Troes, fuit Ilium – ვიყავით ტროელები, იყო ილიონი i. e. სი-  
ნანულის გამოხატვა გარდასულ დიდებამე (ვერგილიუსი)

**ნ. ილიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**ჰომეროსული ხარხარი**

შეუკავებელი ხარხარი. გულიანი სიცილი. საერთოდ, ჰომე-  
როსისეული მძლავრის, ამბულელების სინონიმია, რადგან სწორედ  
ასეთ მოვლენებს აღწერდა იგი.

**ლაკონია, ლაკონური** (Λακωνική – ლაკონიის დაბლობი, სადაც  
მდებარეობდა ქალაქი სპარტა)

აქ მოსახლე მშრომელი და მეომარი ხალხი სხარგად ლაპარა-  
კობდა. მათი სტილიც იმდენად დახვეწილი და საქმიანი იყო, რომ  
სხარის სახელი – ლაკონიკე – ლაკონური მეგყველების სიმბოლოდ  
იქცა. ლაკონური ნათქვამი ღრმააზროვან მოკლე ნათქვამს ეწოდება.  
მაგ: aut cum scuto, aut in scuto – ფარით ან ფარზე (ცოცხალი შინ ფარით  
ბრუნდებოდა, გარდაცვლილს კი ფარზე დაწვენის მოასვენებდნენ);  
ერთხელ მაკედონელთა მეფე სპარტელებს დამუქრებია, რომ თუ  
ქელოპონესოსის ნახევარკუნძულზე ფეხს დაადგამდა, აუცილებლად  
გაანადგურებდა მათ. სპარტელებმა მოკლე და სხარგი პასუხი შეუთ-  
ქალეს: „თუ“.

➤ ლაკონური სიტყვა – მოკლე, სხარგი, გონივრული ნათქვამი.

**ლაპიდარული სტილი** (lapidarius – ქვასთან დაკავშირებული, ძვე-  
ლი რომის საფლავის ქვათა წარწერებისათვის დამახასიათებელი)

მოკლე, სხარგი, მოხდენილი სტილი. ლაკონურისაგან განსხვავე-  
ბით მას მეტი ხატოვანება ახასიათებს.

**სარდონიული სიცილი** (Σαρδόνιος)

მძაფრი, გესლიანი სიცილი. ასე გაიცინა ოდისევსმა, როცა მათხოვ-  
რის სახით თავის სასახლეში მისულს პენელოპეს საქმროებმა პროხის  
ძვალი ესროლეს.

**ცრემლნარევი სიცილი**

სევდიანი, მწარე ღიმილი, როცა დარდი გვაცინებს. ცრემლნარევი  
სიცილით ვმშვიდობებოდა ანდრომაქე ჰექტორს.



**ბაკვეთილი №3**

**1. გრაზატიკა**

მეტყველების ნაწილები

nomen substantivum	არსებითი სახელი
nomen adiectivum	მედსართავი სახელი
nomen numerale	რიცხვითი სახელი
pronomen	ნაცვალსახელი
verbum	მზნა
adverbium	მზნიმედა
coniunctio	კავშირი
praepositio	წინდებული
interiection	შორისდებული

რიცხვი<sup>1</sup> – numerus

მხოლოდითი – singularis

მრავლობითი – pluralis

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

l. c. loco citato – ციტირებულ ადგილას

l. l. loco laudato – (ზემოთ) მოხსენებულ ადგილას

v. vide – იხილე

v. s. vide supra – იხილე ზემოთ

vs. versus – წინააღმდეგ

**3. ტერმინთა წარმოება:** μετά – თან, ერთად, შემდეგ; ἐπί – ზე, გამო, კენ, მღე

μετα(ά)	<ul style="list-style-type: none"> <li>μόρφασις</li> <li>στασις</li> <li>φορά</li> <li>φασική</li> </ul>	ἐπί/ι(ί)	<ul style="list-style-type: none"> <li>δημία</li> <li>γραμμα</li> <li>ληψία</li> <li>γραφή</li> <li>στολή</li> <li>θετον</li> <li>είσιδος</li> <li>κεντρον</li> <li>σκοπος</li> <li>αρχία</li> <li>τάφιος</li> </ul>
---------	--	----------	--

<sup>1</sup> ბერძნულში სამი რიცხვია: მხოლოდითი, მრავლობითი და ორობითი (dualis).



**4. დარგობრივი ტერმინოლოგია – განათლება**

პროფესორი – professor, oris „მცოდნე“

ლოცენტი – docens, entis „ვინც ასწავლის“

კანდიდატი – candidatus „კანდიდატი, პრეტენდენტი რაიმე პოსტზე“

რექტორი – rector, oris „მმართველი“

პრორექტორი – pro-rector, oris „რექტორის მოადგილე“

ასპირანტი – a-spirare „ვინც რაიმეს ესწრაფის“

სტიპენდია – stipendium „ჯარისკაცის ჯამაგირი, ქირა“

სტუდენტი – studens, entis „მეცადინე, გულმოდგინედ მომუშავე“

**5. სენტენციები**

Scientia potentia est – ცოდნა ძალაა (ფრენსის ბეკონი)

Fas est et ab hoste doceri – სწავლა მტრისგანაც შეიძლება (ოვიდიუსი)

Repetitio est mater studiorum – გამეორება ცოდნის დედაა

Sapienti sat – გამგები გაიგებს

Timeo Danaos et dona ferentes – მეშინია დანაელების თუნდაც საჩუქრები მოჰქონდეთ

**6. ილიოშები, ფრთოსანი გამოთქმები**

ბერძნული ლიტერატურის უძველესი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, არის ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. პოემები ძვ. წ. VIII საუკუნეში შეიქმნა. ესაა ნაციონალური ეპოსი, რომელიც ელინური ცივილიზაციის, ბერძენთა აზროვნების წესისა და სასიათის განმსაზღვრელად იქცა.

ჰომეროსის პოემები გროას ციკლის თქმულებებზეა აგებული, რომელთა ცენტრალურ მოვლენას, რა თქმა უნდა, გროას ომი წარმოადგენს.

„ილიადა“ (Ιλιάς, ἄδης)

„ილიადა“ ჰომეროსის უკვდავი ეპოსის პირველი ნაწილია, რომელშიც მხოლოდ გროას ომის მოვლენებია აღწერილი. ბერძნული ანბანის ასოთა რაოდენობის შესაბამისად, პოემა 24 სიმღერისაგან შედგება და ათწლიანი ომის უკანასკნელი 52 დღის ამბებს გადმოგვითხრობს. მასში არ არის მოცემული არც ომის დაწყების მიზეზები და არც დასასრული. ვრცელი თქმულების მხოლოდ ერთი ეპიზოდია აღებული (აქილევის რისხვა აგამემნონის მიმართ და ის მძიმე შედეგები, რომლებიც ამ დაპირისპირებას მოჰყვა: პატროკლოს სიკვდილი და



აქილევსის შურისძიება ჰექტორზე). ამის მიუხედავად, „ილიადა“ უამრავ ინფორმაციას გვაწვდის გროას ომის შესახებ. გმირების მიერ მოთხრობილი თავგადასავლებით და მისანთა წინასწარმეცხველებში დადასტურებული ცნობებით ამომწურავადაა გადმოცემული ათწლიანი ომის ისტორია.

➤ უბედურებათა ილიადა – უსასრულო უბედურებათა ჯაჭვი.

### პარისის სამსჯავრო (Πάρις, ἰδος // Ἄλεξανδρος)

გროას მეფის, პრიამოსის მეუღლეს ესიმმრა, რომ ვაჟი, რომელიც დღე-ღამე შესძენოდა, გროას დალუპვის მიზეზი გახდებოდა. ამ სამაზრელი სიზმრით შეშინებულმა მშობლებმა ახალშობილის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს და ერთ მწყემსს გადასცეს რათა მას გყვეში დაეგოვებინა. მწყემსს ჩვილი შეეცოდა, სახლში წაიყვანა, პარისი დაარქვა და ზრდიდა. მისი მეორე სახელი – ალექსანდროსი – „კაცთა მცველს“ ნიშნავს.

„ილიადაში“ გაკვერთია ნახსენები ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც, აქილევსის მშობლების – პელევსისა და თეტიის ქორწილზე მიუწვევლობით განაწყენებულმა ერისმა (განხეთქილების ქალღმერთმა) ღარბაში შეაგდო ოქროს ვაშლი წარწერით „უმშვენიერესი“. პარისს, გროას მეფე პრიამოსის ძეს, ყველაზე ღამამი ქალღმერთი უნდა ამოერჩია პერას, აფროდიტესა და ათენას შორის. სიმამაცეს, სიბრძნესა და დიდებას დაჰპირდა ათენა მეფისწულს. პერამ უთხრა, რომ თუ მას აირჩევდა, ძლევა მოსილ და გავლენიან მბრძანებლად აქცევდა. აფროდიტემ კი ამქვეყნად უმშვენიერესი ქალის გულის მოგება აღუთქვა.

პარისმა აფროდიტე აღიარა უმშვენიერესად დაპირებისამებრ, ქალღმერთმა ულამაზესი ელენე – მენელაოსის ცოლი – მოაგაცხებინა, რაც გროას ომის დაწყების მიზეზიც გახდა და საბაბიც. პარისი, როგორც მეომარი, ამ ომში ნაკლებად აქტიურობდა. მენელაოსთან ერთაბრძოლაში დამარცხებისგანაც აფროდიტემ იხსნა. თუმცა აპოლონის დახმარებით ომის დამთავრებისას სწორედ მან მოკლა აქილევსი.

➤ პარისის სამსჯავრო – დამღუპველი მოქმედება, რომელსაც ნგრევა, ომი და უბედურება მოჰყვება.

### აქილევსი (Ἀχιλλεύς)

ბერძენთა უდიდესი გმირი. მოკვდავი პელევსისა და უკვდავი თეტიის შვილი. მირმიდონელთა მეთაური. დედა თეტიისმა იგი სტიქსის



წმინდა წყალში განბანა, რომ იარაღი არ მიჰკარებოდა შვილს. აქილევსს მხოლოდ ქუსლი დარჩა მოწყვლადი, სადაც წყალი არ შეხებია, რადგან დედას ქუსლით ეჭირა. ღმერთებს აქილევსისთვის უკითხავთ, როგორი სიცოცხლე უჯობდა: ხანგრძლივი, მაგრამ მშვიდი, თუ ხანმოკლე და სახელოვანი. გმირს სახელოვანი, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლე აურჩევია. წინასწარმეცხველების მიხედვით, აქველები ომს ვერ მოიგებდნენ, თუ აქილევსი მონაწილეობას არ მიიღებდა ბრძოლაში. სახელოვანი გმირიც ერთგულ მეგობარ პატროკლოსთან ერთად ჩაება გროას ომში, სადაც უამრავი საგმირო საქმე ჩაიდინა. ომის მეათე წელს კი აგამემნონმა გმირს წაართვა გყვე ბრისეისი, რის გამოც განრისხებული აქილევსი ომს გამოეთიშა. ბოლოს, როცა აქველებს ძალიან გაუჭირდათ და ბრძოლას აგებდნენ, ნაწყენმა აქილევსმა აქველთა დიდი თხოვნის შემდეგ მეგობარ პატროკლოს სება დართო მისი ალჭურვილობით ჩაბმულიყო ომში. პატროკლოსს გამოჩენამ დაამინა გროელები, თუმცა ჰექტორმა მოკლა აქილევსის მეგობარი. შურისძიებით ანთებული აქილევსი ომში ჩაება და სამაგიერო გადაუხადა ჰექტორს. ამით მთავრდება „ილიადაში“ აღწერილი ამბები. გვიანდელი გადმოცემები კი გვამცნობს, რომ პარისს აპოლონის დახმარებით ქუსლში დაუჭრია გმირი, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გამხდარა.

➤ აქილევსის ქუსლი – სუსტი, დაუცველი ადგილი.

### აქილევსის ფარი (Ἀχιλλεύς)

მას შემდეგ, რაც აქილევსმა თავისი ალჭურვილობა პატროკლოსს ათხოვა, ჰეფესტოსმა გმირს ახალი ფარ-ხმალი გამოუჭედა. უძვირფასეს ფარზე ყველაფერი იყო გამოხატული: მზე, მთვარე, ციური ვარსკვლავები, ლხინი, ქორწილი, ჭირი და გირილი, სიხარული თუ წუხილი, ყოველდღიური ცხოვრების თანმხლები მოვლენები.

➤ აქილევსის ფარი – უნიკალური ნივთი, ხელოვნების ნიმუში.

**დანაულთა საჩუქარი** (Δαναοί – ბერძენთა ერთ-ერთი ძველი ტომი. იგივე ბერძენები, ელინები)

ბრძენმა ქურუმმა ლაოკოონმა გააფრთხილა გროელები, რომ დანაულთა ვერაგულ საჩუქარს მორიდებოდნენ. ლაოკოონს შხამიანი გველი დაეგრაგნა და საშველად მისულ შვილებთან ერთად დაახრჩო. ამიტომ გროელები არ ენდნენ მისნობას და ხის ცხენი ციხე-სიმაგრეში შეიტანეს. ღამით მეომრები გამოვიდნენ სამალავიდან და ქალაქი ცეცხლს მისცეს. დანაულთა საჩუქარი მგრის ხრიკი აღმოჩნდა.



- დანაელთა საჩუქარი – ვერაგული მახე, რასაც კაცი არ უნდა ენდოს. მიანის მომგანი მაცლური, საბედისწერო საჩუქარი.

**გროას ცხენი (Τροία)**

ომის ბოლო დღეებში დანაელთა გმირებმა საოცარ ხრიკს მიმართეს. ათენას თანადგომითა და ოდისეის მეთაურობით გააკეთეს ხის უმარმაზარი ცხენი – ბერძენთა რაზმის სამალავი, რომელიც ელინებმა ილიონის წინ დატოვეს: თითქოს ომზე ხელი აიღეს და ხომალდებით სამშობლოსკენ გასცურეს. გროელი ქურუმი – ლაოკონი დაეინებით ურჩევდა თანამოქალაქეებს, რომ დანაელთა საჩუქარს მორიდებოდნენ. გრძნეული კასანდრაც ამბობდა, რომ ცხენში მტრის ჯარი იმალებოდა. გროელებმა არ დაუჯერეს მოყვარულთა რჩევას, ცხენი ქალაქში შეაგორეს, რადგან ღვთის წყალობად მიიჩნიეს, ღმერთს შესწირეს და შემდეგ ნადიმი გამართეს.

ღამით, როდესაც ყველაფერი მიჩუმდა, ცხენიდან მეომრები გადმოვიდნენ და თანამებრძოლებს ალაყაფის კარები გაუღეს, რამაც გროას დაცემა გამოიწვია.

- გროას ცხენი – ვერაგული საჩუქარი, უბედურების წყარო. ✕

**ჰეკატომბე (ἑκατόμβη)**

ასი ხარის მსხვერპლშეწირვა. რელიგიური რიტუალი. კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ღმერთებს ას ხარს სწირავდნენ მსხვერპლად.

- ჰეკატომბე – ღიდი მსხვერპლი, ომი ან ეპიდემია.

**გაკვეთილი №4**

**1. გრამატიკა**

სქესი – genus

ლათინურ ენაში სამი სქესია:

masculinum	m	-us	მამრობითი	magnus – ღიდი
femininum	f	-a	მდედრობითი	magna
neutrum	n	-um	საშუალო	magnum

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

- Dei gratia – ღვთის წყალობა
- fiat lux – იყოს ნათელი (ბიბლ.)
- mater dolorosa – განჯული დედა
- via dolorosa – განჯვის გზა
- Dominus vobiscum – უფალი თქვენთანაა

**3. გერმინთა წარმოება: αὐτός, αὐτή, αὐτόν – თვითონ; θεός – ღმერთი**

αὐτο(ό)	{	βιογραφία*	πολύ	} θεός
		γενής	ἄ	
		νομία	ἀπό	
		ματος		
		γamos		
		γραφος		
		χθασ		

აეგონი, თეოლოგია, პანთეონი, თეოგონია, პანთეიზმი, მონოთეიზმი

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – რელიგია**

- ლოგმა – δόγμα, τος აზრი, დადგენილება
- პატრიარქი – πατήρ, πατήρ „მამა“, ἀρχός „მმართველი“
- დიაკვანი – διάκονος „მსახური“
- კათოლიკური – καθολικός „საერთო, ერთიანი“
- ესქატოლოგია – ἔσχατος „უკანასკნელი“
- ანგელომი – ἄγγελος „მაცნი“
- კონფესია – confessio, ονίς „აღმსარებლობა“
- ბარბაროსი – βάρβαρος „გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ბერძნები ასე მოიხსენიებდნენ თავიდან იმ ხალხს, რომელთა ენაც არ ესმოდათ. შემდეგ ბარბაროსებს უწოდებდნენ ველურ და უკულტურო ადამიანებს, განსა-



### 5. სენტენციები

Dum spiro, spero – სანამ ვსუნთქავ, იმედი მაქვს (ციცერონი)

Contra spem spero – იმედის გარეშე მჯერა

Carpe diem – დღეს ხელი სტაცე i. e. გამოიყენე დღევანდელი დღე (ეპიკურელთა დევიზი)

Carpe angelum – ხელი სტაცე მაცნეს i. e. გაიგე ახალი ამბები

Cuius regio, eius religio – ვისი ტერიტორიაცაა, ის განაგებს სარწმუნოებას

### ნ. ილიომები, ფრთოსანი გამოთქმები

#### მშვენიერი ელენე (Ἑλένη)

უმშვენიერესი ბერძენი ქალი. სწორედ მისი გატაცება პარისის მიერ გახდა გროას ომის დაწყების საბაბი.

➤ მშვენიერი ელენე – უკვდავი, უჭკნობი, მარადიული სილამაზის სინონიმი.

#### ლელას კვერცხი (Ἀθήνα)

ლელა მშვენიერი ელენეს დედაა. მითის მიხედვით, ზევსმა იგი მაშინ შეაყვინძა, როდესაც მდინარეში ბანაობდა. ზევსი გედის სახით მოეყვინძინა ქალს. ამ კავშირის ნაყოფია ელენე, რომელიც კვერცხისაგან წარმოიშვა.

➤ ლელას კვერცხი – რაიმე საქმის წამოწყება, დასაბამი.

#### ენეასი (Αἰνείας)

ტროელი გმირი. აფროდიტეს ვაჟი. ენეასს რომაელები თავიანთ წინაპრად მიიჩნევენ. ომში მამაცი, პატიოსანი და ბრძენი იყო. ხალხიც ისე სცემდა თავყვანს, როგორც ღმერთს. ხოლო რაკი რომაელები თავიანთ წინაპრად სწორედ ტროელ გმირებს თვლიდნენ, მათ ენეასიც თავის პანთეონში მიიღეს და სახელმწიფო კანონიზაცია აღიარეს კიდევ, როგორც იმპერიის დამფუძნებელი ღმერთკაცა. ცეცხლმოკიდებული ტროადან ენეასმა საკუთარი კერძის ღმერთები – პენატები იახლა, მხრებით გამოიყვანა მოხუცებული მამა, ჩვილი ბავშვი და ხანგრძლივი, ფათურაკიანი მოგზაურობის შემდეგ მიადგინა კიდევ იტალიას, სადაც თვითონ გახდა ბელადი და დიდ საქმეთა მოთავე.

➤ ენეასი – მამამშვილური სიყვარულის სიმბოლო.



### ენეიდა (Aeneis)

ვერგილიუსის უკვდავი ნაწარმოები, რომლის მიზანია ხამგასმა იმისა, რომ რომაელთა წინაპრებიც იყვნენ უძველესი კულტურული ტომები, რომლებიც წარმოიშვნენ არა მარტო იტალიკური ტომებისაგან, არამედ მათგანაც, ვისაც თავს დაესხა ბერძენთა გაერთიანებული მხედრობა. ავტორის შეხედულებით, ღვთაებრივი ნებით გადაწყდა, რომ ტროელთა ერთი ნაწილი მოსწყვეტოდა თავის სამკვიდრებელს და გადახვეწილიყო იტალიაში. ეს იყო არა ახალი ტერიტორიებისა და სამკვიდრებლის ძიება, არამედ მათი სამშობლო, რომელსაც გმირები კვლავ უბრუნდებოდნენ.

ვერგილიუსის მიზანი იყო აღეწერა წარმოშობა იმ დიადი ქვეყნისა და ხალხისა, რომელიც, მისი წარმოდგენით, შეეფერებოდა რომაელი ხალხის წარსულს.

ვერგილიუსის „ენეიდა“ იდეოლოგიური დაგვირთვის მაგარებელია.

➤ ენეიდა – ხანგრძლივი, ფათურაკიანი მოგზაურობა.

### პენატები (Penates)

რომაელთა მფარველი ღმერთები, წინაპართა განმასახიერებელი ძველი ღვთაებანი. მათი ქანდაკებები ოჯახში, კერძისთან ახლოს პქონდათ მოთავსებული, იქ, სადაც მუდამ ცეცხლი ენთო და ოჯახის წევრები იყრიდნენ თავს. დღესასწაულების დროს პირველ მსხვერპლს პენატებს სწირავდნენ. ისინი ოჯახს მფარველობდნენ, შველოდნენ შიამომაველთ, მათ ბედს საუკეთესოდ წყვეტდნენ და საუკეთესო რჩევებს აძლევდნენ.

➤ პენატები – ოჯახური კერის, მშობლიური სახლის სიმბოლო.

### თერსიგესი (Θερσίτης)

ბერძენთა შორის უსაძაგლესი, თავბედი და უბირი ადამიანი. ღირსეულთა და გმირთა მაგინებელი. სულით და ხორცილთ მახინჯი. თავად არიარობა, აძაგებდა და დასცილოდა თავისზე უკეთესებს. ჰომეროსის აღწერით, თერსიგესი იყო კოჭლი, ბეცი, დაღრეცილი, კუმბანი და მელოტი.

თერსიგესი ლიგურატურული გმირია და საანდამოდ ქცეულია მისი კორიკატურული სახე – არა როგორც დაჩაგრულის, არამედ როგორც უდიდისი მქირდავისა, რომელიც ადამიანურ ღირსეულებს არ ცნობს.

➤ თერსიგესი – აყვიასა და მქირდავის სინონიმი.

**მომოსი (Μῶμος)**

ავსიტყვაობის, ღაცინვისა და სიავის ღმერთი. შურისა და ღვარძლის განსახიერება. მომოსის ავეყიობით აღშოთებულმა ზვესმა ოლიმპოსიდან გამოაძევა იგი და მას შემდეგ ღეღამიწაზე ცხოვერობს. როცა აფროდიტეს ნაკლი ვერ უნახა და ვერ ღასცინა, ჭიპზე გასკდა ბრაზისაგან და მოკვდავად იქცა.

➤ მომოსი – ღაცინვა, ცილისწამება, ავეყიობა.

**ბაკვეთილი №5**

**1. გრამატიკა**

ბრუნვა – casus

ღათინურ ენაში არის 6 ბრუნვა:

Nominativus	Nom.	სახეღობითი
Genetivus	Gen.	ნათესაობითი
Dativus	Dat.	მიცემითი
Accusativus	Acc.	ბრალღებითი
Ablativus	Abl.	აბღატივესი
Vocativus	Voc.	წოღებითი

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

a. D. / anno Domini – ჩვენი წელთაღრიცხვით

a. C. n. / ante Christum natum – ქრისტეს ღაბაღებაღდე, ჩვ. წ. აღ-მღე

semel pro semper – ერთხელ ღა სამუღამოღ

vive valeque – იცოცხლე ღა ჯანმრთელად იყავი

pro forma – ფორმისათვის

**3. გერმინთა წარმოება: παρά – გან, თან, ახლოს, წინააღმღე;**

φασί – ხმა

παρ(α) {
 

- δειγμα
- δοξος
- γραφος
- νοια
- σιτος
- βολή
- μετρον \*

παρ {
 

- ἀλληλος
- αδία

φασί (ο) {
 

- λογία \*
- γραμμα \*
- ειδο(ν)σκοπος \*

 σν(μ) } φασία
 

- πoλσ

მეღათონი, ფონება, საქსაფონი, ტელეფონი, ღიქტოფონი, გრამოფონი, მიკროფონი

**4. ღარგობრივი გერმინოღოგია – რელიგია**

სინოღი – σν „თან“, ბბბ „გზა“ – შეკრება, ყრიღობა



აპოკალიფსი – ἀποκάλυψις, εως „გამოცხადება“  
 ὁρθολογία – ὀρθός „სწორი“, ὄρθα „აზრი“ – მართლმორწმუნე  
 იკონოგრაფია – εἰκών, ὄνος „ხატი“, γράφα „ვწერ“ – ხატწერა  
 ლიტურგია – λειτουργία – ღვთისმსახურება  
 სინაგოგა – συναγωγή < σύν „თან“, ἄγω „მივდივარ“ – საკრებულო  
 ეკლესია – ἐκκλησία „სახალხო კრება“  
 დიოფიზიტი – δῖος „ორი“, φῖσις, εως „ბუნება, თვისება“  
 მონოფიზიტი – μόνος „ერთი“, φῖσις, εως „ბუნება, თვისება“

### 5. სენგენციები

Vive memor leti – იცხოვრე სიკვდილის ხსოვნით

Vivere est militare – ცხოვრება ბრძოლაა (სენეკა)

Vitam regit fortuna, non sapientia – ცხოვრებას მართავს ბედი და არა

სიბრძნე

Vita sine libertate nihil – ცხოვრება თავისუფლების გარეშე არაფერია

Vita somnium breve – სიცოცხლე მოკლე სიმზარია

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**ოღისეა** (Ὀδυσσεΐα)

პომპროსის მეორე პოემა, რომელიც ასევე 24 სიმღერადაა დაყოფილი, რომლის ძირითადი თემაა გროას ომის გმირის – ოღისევის ხიფათიანი და თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა სახლში დაბრუნებისას. თუმცა აქაც აღწერილია არა მთლიანი მოგზაურობა, არამედ ბოლო ორი ეპიზოდი: კალიფსოს კუნძულ ოგიგიადან ფეაკთა სამეფომდე და იქიდან მშობლიურ ითაკაზე, სადაც შეხვდება შვილს და დახოცავს პენელოპეს საქმროებს. ყველაფერი კი, რაც მანამდე თავს გადახდენია ოღისევს, ირკვევა ფეაკთა მეფესთან – ალკინოოსთან საუბრის დროს. აქ მოცემულია მთელი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც „ილიადაში“ აღწერილი მოვლენების შემდგომ მოხდა, რასაც მოქმედ პირთა საუბრებიდან და მინიშნებებიდან ვიგებთ.

➤ ოღისეა – ხიფათიანი, განჯვით აღსავსე მოგზაურობა.

**ლოგოფაგოსების ქვეყანა** (οἱ Λογοφάγοι)

ლიბიაში მცხოვრები მითიური გომი, რომელიც ლოგოსის ყვა-ვილების ჭამით წარსულს ივიწყებდა. ოღისევსმა არ გაუსინჯა ტეზო ამ ყვავილს, სამშობლო რომ არ დავიწყებოდა.



➤ ლოგოფაგოსების ქვეყანა – ზღაპრული მხარე, სადაც ავიწყდება აღამიანს სამშობლო და დარდი.

**ალკინოოსის ამბავი** (Ἀλκίνοος)

ფეაკთა მეფე, რომლის კუნძულზეც ოღისევსი ზღვამ გამოიყვანა. მეფე-დელოფალმა გულუხვად უმასპინძლეს უცნობ მგზავრს, მის გასართობად კი ბრმა მომღერალი მოიწვიეს, რომელიც გროას ომის სახელოვან გმირებზე მღეროდა. ოღისევსს ამის გაგონებისას თვალზე ცრემლი მოადგა. ეს არ გამოჰპარვია ალკინოოსს, რაღაცას მიუხვდა სტუმარს და მას ვინაობის გამხელა სთხოვა. ოღისევსი დაჰყვა მის ნებას და უამბო ყველაფერი, რაც კი თავს გადახდენოდა.

➤ ალკინოოსის ამბავი – დაუსრულებელი, გაჭიანურებული მოთხრობა.

**კიკლოპი // ციკლოპი** (Κύκλας // Cyclops)

ბუმბერაში მითიური არსებები, უჩვეულო ძალის პაგრონები, შუბლზე ცალი თვალით. „ოღისეაში“ კიკლოპები პოსეიდონის შვილებად მიიჩნევიან. ერთ-ერთ მათგანს, პოლიფემოსს, ოღისევსმა თვალი გამოსთხარა, რის გამოც ზღვის სტიქიის მბრძანებელი მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა ითაკაზე დაბრუნების მსურველ გმირს.

➤ კიკლოპი – ცალთვალი ბუმბერაში.

➤ კიკლოპური (ციკლოპური) შენობა – გრანდიოზული, დიდი ქვით ნაგები.

**სირინომები // სირენები** (Σειρῆνες)

გრძნეული და გვილხმოვანი ქალღიგები. სირენების გულში ჩამწვდომ გალობას ცოგა ვინმე თუ გადაურჩებოდა. ზღვაში მცურავ გემებთან მიფრინდებოდნენ და მეზღვაურებს თავისკენ უხმობდნენ. ორფეესმა ამ კუნძულთან ჩავლისას სიმღერა დაიწყო და სირენების ხმა გადაფარა. ოღისევსიც, კირკეს რჩევით, გადაურჩა სირენებს – მეზღვაურებს ყურები ცვილით ამოუქოლა, თვითონ კი თანამგზავრებს თავი გემის ანძაზე მიაბმევინა.

თავიანთი ხმით მეგისმეგად გაამაყებულმა სირენებმა მუმბთან გაჯიბრება მოინდომეს. მუმბმა აჯობეს მათ და გამარჯვების ნიშნად თავები მათი ბუმბულებსაგან გაკეთებული გვირგვინებით შეიმკეს. სირენებმა წყალს მისცეს თავი და სიცოცხლეს გამოესალმნენ. მათ მანამ ეწერათ სიცოცხლე, სანამ გალობაში არ დამარცხდებოდნენ. მღერობმა სირენები კლდეებად აქციეს.



- სირინომები – ტკბილხმოვანი მომღერალი, ლამაზი და მაცდური.

### სკილა და ქარიბდისი (Σκύλλα και Χάρυβδις)

სკილა – ზღვის ურჩხული, რომელიც ერთ-ერთ სრუტეში ფრიალო კლდეზე ცხოვრობდა. საშინელი მორევის განსახიერება. გველის 6 თავ-კისრით. ყეფს და ღმუის. სკილა თავს ესხმის და ნთქავს ყოველ ცოცხალ არსებას. უფრო ქვემოთ, დაბალ კლდეზე მეორე საშინელება – ქარიბდისი ცხოვრობს. ვინც სკილას გადაურჩება, ქარიბდისის მსხვერპლი ხდება.

- სკილა და ქარიბდისი – ორმხრივი საფრთხე, ორ ცეცხლს შუა ყოფნა.

### იროსი (Ἴρος)

ითაკელი მათხოვარი. მისი ნამდვილი სახელი არმენონია, თუმცა ოდისევსის სახლში მოქეიფე პენელოპეს საქმროებმა „იროსი“ დაცინვით უწოდეს იმის გამო, რომ ლუკმა პურისთვის ასაქმებდნენ და მიკრიკად პყავდათ. როდესაც ოდისევსი გამოჩნდა, საქმროების წაქეშებით ჩხუბი გაუმართა იროსს. ერთი მუშგის დარგყმით გაუმკლავდა, ცოცხალ-მკვდარი გარეთ გაათრია და სახლის დარაჯობა დაავალა.

- იროსი – მათხოვარი, ღვთის გლახა.



## გაკვეთილი №6

### 1. გრაზატიკა

წინდებულები – praepositio

pros	+ acc.	შემდეგ
ante	+ acc.	მდე, წინ
contra	+ acc.	წინააღმდეგ
apud	+ acc.	შორის, თან, ში
trans	+ acc.	მიღმა, იქით
adversus	+ acc.	წინააღმდეგ
inter	+ acc.	შორის

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

idea fixa – აკვიატებული აზრი

quasi – ვითომც

lapsus { calami – უნებლიე შეცდომა წერისას  
linguae – უნებლიე შეცდომა საუბრისას  
memoriae – მეხსიერების შეცდომა

3. გერმინთა წარმოება: λόγος – სიტყვა; λογία – მოძღვრება (როულ სიტყვათა ბოლოს)

λογ(ο) { παιδεία\*      ἀνά  
                  πάνεια\*      ἐπί  
                  αριθμός\*      πρό  
                                  διά  
                                  κατά } λογος

ἀπο  
γεω  
βιο  
φιλο  
\* ψυχο  
\* χροιο  
θεο  
φυσιο  
\* μορφο  
\* ζαο } λογία

ალოგიზმი, სილოგიზმი



#### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – ფილოსოფია

ჰიპოთეზა – ὑπόθεσις „საფუძველი, ვარაუდი“

პარადოქსი – παράδοξος „აზრის საპირისპირო“

აქსიომა – ἀξίωμα, τὸς

სტოიკოსი – στοὰ „სტოა“ (კოლონადა, გრძელი და ვიწრო სვეტე-ბიანი შენობა) (იხ. გვ. 147)

კინიკოსი – κίνας, κύσις „ძალი“; cinici – ცინიკოსები (იხ. გვ. 148)

ეპიკურეიზმი – Ἐπικουρῶς (ბერძენი ფილოსოფოსი, ძვ. წ. 341-270) (იხ. გვ. 147)

სკეპტიკოსი – σκέψις, εἶδος „დაეჭვება“ – ეჭვის თვალთ მყურე-ბელი (იხ. გვ. 147)

პერიპატეტიკოსები – περιπατητικός „მოსეირნე“ (იხ. გვ. 148)

სოფისტები – σοφιστής „ბრძენი“ (იხ. გვ. 146)

#### 5. სენტენციები

Si tacuisses, philosophus mansisses – რომ განუმეებულყავი, ფილოსოფოსად დარჩებოდი

Amicus Plato, sed magis amica veritas – პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია

Nosce te ipsum // γνῶθι σεαυτόν – შეიცან თავი შენი

Scio nescio – ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი

Nil admirari // μηδὲν θαυμάσειν – არაფერი გაიკვირო (ჰორაციუსი)

πάντα ῥεῖ – ყველაფერი მიედინება (ჰერაკლიტოსი)

#### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**შვიდი ბრძენი** (ἑπτὰ οἱ σοφοί)

ძველი საბერძნეთის 7 გამოჩენილი ბრძენი (ძვ. წ. VII-VI სს.), მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პრაქტიკული ცხოვრების ცოდნითა და ბრძნული რჩევა-დარიგებებით. დელფოს გაძარბე იყო შვიდი გამონათქვამი. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ისინი თავისი დროის შვიდმა პოლიტიკოსმა და კანონმდებელმა დატოვა (შემდეგ მათ რიცხვს ან ვინმეს ამატებდნენ, ან სხვადასხვა გამონათქვამს მიაწერდნენ ხოლმე).

1. კლეობულოს ლინდოსელი – „მომიერება ყველაფერს სჯობს“

2. ქილონი – „შეიცან თავი შენი“

3. პერიანდროსი – „თავი შეიკავე რისხვისგან“

4. პიგაკოსი – „არაფერი შედმეტი“

5. სოლონი – „ყველაფერს ბოლო გამოაჩენს“



6. თალესი – „დაიცავი მომიერება“

7. ბიასი – „ადამიანთა უმრავლესობა ცუდია“

**შვიდი საოცრება** (ἑπτὰ θαύματα τῆς οἰκουμένης)

უკვე ანტიკურ ეპოქაში შეუმჩნეველად ხელოვნებისა და არქიტექტურის საუცხოო ნიმუშები, რომლებსაც ანალოგი არ ჰქონდათ მასშტაბების სიდიდისა და სილამაზის მიხედვით და ბერძნები მათ ასე უწოდებდნენ: ἑπτὰ θαύματα τῆς οἰκουμένης „დასახლებული სამყაროს შვიდი სანახაობა“. მოგვიანებით პოპულარული გახდა ამ გასლთქმის ლათინური ვარიანტი – septem miracula mundi „მსოფლიოს შვიდი საოცრება“. მათ რიცხვში ადრე შედიოდა სხვადასხვა ღირ-შესანიშნაობაც: ბაბილონის კედლები, კიროსის სასახლე, ასკლეპიოსის ქანდაკება, კაპიგოლიუმი, კოლოსეუმი, აია სოფია, ნოეს კილობანი, სოლომონის გაძარი იერუსალიმში და სხვ.

დიდი პირამიდა – ქ. გიზა (ეგვიპტე)

სემირამისის დაკიდებული ბალები – ქ. ბაბილონი (დღევანდელი ერაყი)

ალექსანდრიის შუქურა – ქ. ალექსანდრია (ეგვიპტე)

მეგისის ქანდაკება – ქ. ოლიმპია (საბერძნეთი)

მავსოლეუმი – ქ. ჰალიკარნასოსი (დღევანდელი თურქეთი)

როდოსის კოლოსი – კ. როდოსი (საბერძნეთი)

არტემისის გაძარი – ქ. ეფესოსი (დღევანდელი თურქეთი)

➤ მსოფლიო საოცრება – შესანიშნავი, არაბუნებრივი, ჯადოსნური.

➤ კოლოსალური – უდიდესი, გრანდიოზული.

**სოკრატეს ირონია** (Σωκράτης)

ირონია თავაზიანობით შენიღბული დაცინვა, ან გადაკვრით ნათქვამია. ანტიკურ ეპოქაში კი გაჩნდა ე. წ. „სოკრატეს ირონია“. ფილოსოფოსი სოკრატე მოწინააღმდეგეს თავს თანამოაზრედ მოაჩვენებდა და კვერთხს დაკვერთხით ნელ-ნელა მის შეხედულებებს აბსურდამდე დაიყვანდა. ესთეტიკურ ეფექტს კი ლოგიკური ფრაზების მონაცვლელობა და აზრთა მიმდინარეობა იძლეოდა.

**პლატონური სიყვარული** (Πλάτων)

ძველი ბერძენი ფილოსოფოს-იდეალისტი პლატონი მსჯელობდა საგანთა არასხეულებრივი ფორმების არსებობაზე, რასაც „სახეებს“ და „იდებებს“ უწოდებდა. მისი აზრით, იდეათა სამყარო ობიექტური



სამყაროა, რადგან ცალკე არსებობს ფიზიკური, მაგერიალურ საგანთა სამყარო. ამიგომ პლატონი ერთმანეთს უპირისპირებს ნეგრძობად იდეებსა და ამქვეყნიურ მოვლენებს. ეს ორი სამყარო ურთიერთსა-პირისპირო ნიშნებით განისაზღვრება: იდეების სამყარო ჭეშმარიტად არსებულია, მოვლენებისა და საგნებისა კი – მოჩვენებითი, არარსე-ბითი. იდეები არიან მარადიულნი, უცვლელნი და სრულყოფილნი, მოვლენები კი – ცვალებადი, წარმავალი და არასრულყოფილი. თუმცა ამ ორ სამყაროს შორის არის ურთიერთმიმართება: იდეები განსაზღ-ვრავენ და ექვემდებარებიან მოვლენებს, გრძობად სამყაროს.

პლატონის დიალოგში „ნადიმი“ იმართება ფილოსოფიური საუბარი მასპინძელსა და სტუმრებს შორის, სადაც ერთ-ერთი სტუმარი – სოკრატე მსჯელობს ამაღლებულ სიყვარულზე, რომლის საშუალებითაც შევიცნობთ მარადიულ ღირებულებებს სილამაზის, სიკეთისა და კეთილშობილების შესახებ.

- პლატონური სიყვარული – წმინდა, სულიერი, ამაღლებული, ხორციელ ტკობასთან დაუკავშირებელი.
- პლატონური – იდეალური, პრაქტიკულად განუხორციელებელი.

### აბდერიგები (Ἀβδηρίται)

ზღვისპირა ქალაქი საბერძნეთში, რომელიც, მითის მიხედვით, პერაკლეს დაუარსებია ძვ. წ. 650 წელს.

აბდერა ფილოსოფოსების – დემოკრიტესა და პროტაგორასის ქალაქი ყოფილა, თუმცა ბერძნებს ამ ქალაქში მცხოვრებნი რეგვენ და სულელ ხალხად მიაჩნდათ.

- აბდერიგები – ტეგია და მოსულელი ხალხი.



## ბაკვეთილი №7

### 1. გრამატიკა

წინდებულები – praepositio

sine	+ abl.	გარეშე
pro	+ abl.	მაგივრად, თვის, გამო
cum	+ abl.	თან, ერთად
prae	+ abl.	წინ
sub	+ acc.	საით?
	+ abl.	სად?
in	+ acc.	საით?
	+ abl.	სად?

Venio in Italiam – იგალიისკენ მივდივარ

Sum in Italia – იგალიაში ვარ

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

cantus cygneus – გედის სიმღერა

b. f. / bona fide – კეთილსინდისიერად

bene! – კარგად bene placito – კეთილი ნებით

NB. / nota bene – კარგად ჩაინიშნე (დაიმახსოვრე)

sine cura – უზრუნველად i. e. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი

ალგილი

### 3. გერმინთა წარმოება: εὖ – კარგად; τῆλε – შორს

εὖ	{	γευῖς		γραφός*
		φορία		γράμμα*
		πατρίδης		σκόπος*
		σταθῖς		τάθεια*
				φασῖ*
				visio*

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – მუსიკა

აკუსტიკა – ἀκουστικός „სმენისთვის განკუთვნილი“

მელოდია – μέλος „სიმღერა“

რაფსოდია – ῥαψωδία „რაფსოდია“

ქორეოგრაფია – χορός „გუნდი, ქორო“, γράφια „წერა“



ბარიტონი – βαρύς „მძიმე“, τόνος „ხმის აწევა“  
 ტენორი – tenor, oris „ხმის სიმაღლე“  
 ვოკალი – vocalis, e „ხმა, ტონი“  
 კანტატა – cantare „სიმღერა“  
 ოვატია – ovatio, onis „ზეიმო“  
 კომპოზიტორი – compositor, oris „შემღებელი“  
 სონატა – sonare „სმენა“  
 ლიბრეტო – liber, libri „წიგნი“

### 5. სენტენციები

Sic itur ad astra – ასე მიდიან ვარსკვლავებისკენ

Ars longa, vita brevis – ხელოვნება ხანგრძლივია, სიცოცხლე კი – ხანმოკლე (პიპოკრატი)

Ex oriente lux – აღმოსავლეთიდან მოდის სინათლე (კულტურა)

Fames artium magistra – შიმშილი ხელოვნების მასწავლებელია

Omnis ars naturae imitatio est – ყველანაირი ხელოვნება ბუნების მიბაძვაა (სენეკა)

### ბ. ილიოშვილი, ფრთოსანი გამოთქმები

**მუშების<sup>1</sup> კოცნა** (Μουσai)

შევის ბრძენი და ლამაზი ასულები. მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგის მფარველები. პომეროსი ცხრა მუზას ასახელებს:

ერატო (Ἔρατώ „საყვარელი“) – სატრფიალო ლირიკისა და ჰიმნების მუზა

მენტერპე (Μεντέρπη „მომხიბლავი“) – ლირიკული პოემების მუზა

კლიო (Κλειώ „მაუწყებელი“) – ისტორიისა და ეპიკური პოემების მუზა

მუზა

კალიოპე (Καλλιόπη „კეთილსმოვანი“) – ეპიკური სიმღერის მუზა

<sup>1</sup> მუსეონი (μουσειον „მუზათა ადგილსამყოფელი“) – თავდაპირველად მუზათა წმინდა ადგილი იყო. ძვ. წ. III საუკუნეში პტოლემეაოს სტერმა ეგვიპტის ალექსანდრიაში დააარსა სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც მუზები მფარველობდნენ. აქ ფილოლოგიური დარგების გარდა იკვლევდნენ ასტრონომიას, მათემატიკას, ბოტანიკას და სხვ. მუშეუმი – ანტიკურ ეპოქაში არ არსებობდა მუშეუმი თანამედროვე გაგებით, თუმცა ზოგიერთი ტაძრის ქურუმები ცდილობდნენ შეეგროვებინათ იმ დროს არსებული ხელოვნების ნიმუშები.



თალია (Θάλεια „ლხინი, სიუხვე“) – კომედიის მუზა  
 მელპომენე (Μελπομένη „მომღერალი“) – ტრაგედიის მუზა  
 პოლიჰიმნია (Πολύμηνα „მრავალჯერ ნადიდები ჰიმნებით“) – ლირიკული პოემების მუზა

ტერპსიქორე (Τερψιχόρη „ცეკვის მოყვარული“) – ცეკვისა და ფერხულის მუზა

ურანია (Οὐρανία „ციური“) – ასტრონომიის მუზა

➤ მუშების კოცნა – ღვთებრივი ნიჭისა და შთაგონების მომცემი. ციური მაღლი.

➤ შვათე მუზა – შვათე მუზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვინმე, ვინც შემოქმედისათვის შთაგონების მიმცემია (შეიძლება ირონიულადაც).

**კასტალიის წყარო** (Κασταλία)

წყარო პარნასოსის მთაზე. იქ, სადაც მუშები ცხოვრობდნენ და დროს აგარებდნენ. კასტალიის წმინდა წყალში განიბანებოდნენ დელფოში მიმავალი მლოცველნი.

➤ კასტალიის წყარო – შთაგონების წყარო.

**სამი გრაცია // ქარიგები** (Gratae // Χάριτες)

სილამაზის ქალღმერთები, ზევის ქალიშვილები, უფრო ცნობილი არიან გრაციის სახელით. ხელოვნებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხიბველულობის, მოხდენილობის, სინაგიფის და სხეულის მშვენიერების სინონიმად იქცა.

➤ გრაცია – გარეგნული მომხიბლაობა, პლასტიკურობა, სინაგიფი.

**პარნასოსი** (Παρνασσός)

მთა საბერძნეთში. მის ფერლობზე მდებარეობს დელფოს სამისნო, ამოლონის მიწიერი სამყოფელი და კასტალიის წყარო.

➤ პარნასოსი – პოეტური ოლიმპოსი, მგოსანთა და ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

**ორფეუსი** (Ὀρφεύς)

თრაკიელი მომღერალი. მუზა კალიოპეს შვილი. იგი ისე უკრავდა ქნარსა და კითარაზე, ისე ტკბილად მღეროდა, რომ ტალღები ჩერდებოდნენ, კლდეები კი ადგილიდან იძვროდნენ, მთელი ბუნება იხიბლებოდა მისი სიმღერით.



გარეგნულად სრულყოფილ ორფევს აპოლონსაც ადარებდნენ (მითის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სწორედ ეს ღმერთი იყო მისი მამა). პავშეობიდან იგი დედამ პელიონის ტყეში წაიყვანა, სადაც კენტავრმა ქირონმა ქნარზე დაკვრა ასწავლა.

ხალხს სწამდა, რომ ორფევსმა გამოიგონა ლექსი და მუსიკა. ორფევსს უსაზღვროდ უყვარდა ერთგული მეუღლე – ევრიდიკე. იგი გველმა დაგესლა და ქალმაც სული დალია. დამწუხრებულმა ორფევსმა მეუღლის საიქიოდან ამოყვანა გადაწყვიტა: მომაჯადოებელი სიმღერით დაატკბო კერბეროსი და მიწისქვეშეთის ღმერთები, მათაც ნება დართეს, რომ მეუღლე ჰადესიდან წაეყვანა, ოღონდ ერთი პირობით: საიქიოდან გამოსვლისას უკან არ უნდა მიეხედა. ორფევსმა დაარღვია პირობა, რითაც სამუდამოდ დაკარგა ევრიდიკე. ოთხი წელი გლოვობდა ორფევსი ევრიდიკეს და არცერთ სხვა ქალს არ გაჰკარებია. დიონისეს მხლებელმა ქალებმა შური იძიეს „ქალთ-მოძულე“ ორფევსზე – მას თავი მოკვეთეს, გვამი კი დაგლიჯეს.

➤ ორფევსი – შესანიშნავი მომღერალი.

**პეგასოსი** (Πήγασος)  
ფრთოსანი ცხენი, ზევსის (ან პერსევსის) მერანი, პოემიის ზღაპრული რაში. როდესაც მედუზა გორგოს მოკვეთილი თავიდან სისხლის წვეთები ზღვაში ჩაიღვარა, იქიდან ამოფრინდა ძლიერი ფრთოსანი ცხენი.

პეგასოსი მუმების რაში გახდა, რადგან მათი სიმღერით ალფრთოვანებულმა გაინაჟარდა ცაში, შემდეგ კი კლდეს ფლოქეი დაჰკრა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა.

➤ პეგასოსი – პოეტური შთაგონების სიმბოლო.



**ბაკვეთილი № 8**

**1. გრამატიკა**

იბრუნების არსებითი სახელები

იბრუნებით იბრუნის a ფუძიანი მდებლობითი სქესის არსებითი სახელები.

	sing.	pl.	sing.	pl.
Nom.	-a	-ae	ros-a	ros-ae
Gen.	-ae	-arum	ros-ae	ros-arum
Dat.	-ae	-is	ros-ae	ros-is
Acc.	-am	-as	ros-am	ros-as
Abl.	-a	-is	ros-a	ros-is
Voc.	-a	-ae	ros-a	ros-ae

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

a. m. / ante meridiem – შუადღემდე


p. m. / post meridiem – შუადღის შემდეგ

a priori – წინასწარ

memorandum – სამახსოვროდ ჩანიშნული

tabula rasa – სუფთა დაფა

**3. ტერმინთა წარმოება:** ἄνδρ – სიმღერა; πᾶς, πᾶσα, πᾶν – ყველა



პანორამა, პანკრეასი



#### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – თეატრი<sup>1</sup>

თეატრი – θέατρον „საყურებელი ადგილი“  
 ამფითეატრი – ἀμφι-θέατρον „ორივე მხრიდან, ირგვლივ“  
 დრამა, დრამატურგია – δράμα, τὸς „მოქმედება, წარმოდგენა“  
 ეპიზოდი – ἐπίσκιον „ცალკეული შემთხვევა“  
 მიმიკა, პანტომიმა – μιμῖκαι „ვბაძავ“  
 კინემატოგრაფია – κίνημα, τὸς „მოძრაობა“, γράφει „წერა“  
 იმიტაცია – imitari „ბაძვა“  
 სპექტაკლი – spectare „ყურება, ცქერა“  
 არენა – arena „ქვიშა“

#### 5. სენტენციები

Panem et circenses – პური და სანახაობა<sup>2</sup> (იუვენალისი)  
 Deus ex machina – ღმერთი მანქანიდან<sup>3</sup>  
 O tempora, o mores – ὦ, დრონი, ὦ, ჩვეულებანი (ციცერონი)  
 De gustibus non est disputandum – გემოვნებაზე არ დავობენ  
 Omnia praeclara rara – ყველაფერი მშვენიერი იშვიათია (ციცერონი)

#### 6. ადომები, ფრთოსანი გამოთქმები:

##### ბაკქანალია (Βάκχος)

ბაკქოსი დიონისეს სახელია, რომელიც მას პეროდოტოსის დროიდან ეწოდა იმის გამო, რომ დღესასწაულებზე ღვინის ღმერთის მთვრალი ამაღა ღრეობდა, ხმაურობდა და საკრავეებზე უკრავდა. ბაკქანალია დიონისეს სადიდებელი მისტიკურ-ორგიასტული ღვინისა-წაული იყო.

➤ ბაკქანალია – თავაშვებულობა, ალვირახსნილობა.

<sup>1</sup> თეატრი და თეორია – მზნა θέασις „ყურებას, ცქერას“ ნიშნავს. თეატრი საყურებელი ადგილია, თეორია – გონების თეალით დასახანი. თეორემა კი განსახილველი საგანი.

<sup>2</sup> გამოთქმა გამოხატავს ბროს სულისკვეთებას იმპერიის პერიოდში. პლებსი შეურიგდა პოლიტიკური უფლებების დაკარგვას და ასლა მარტო მაგერიალურ მოთხოვნაზე დაკმაყოფილება სურდა და მძაფრი სანახაობები იტაცებდა. რომანს იმპერიაში ყოველთვიურად 200 000 ადამიანს სორბალი უფასოდ ურიგდებოდა.

<sup>3</sup> მოგიერთ ანტიკურ დრამაში კონფლიქტი წყდებოდა არა საუკეთესო განვითარების საფუძველზე, არამედ ღმერთის უშუალო ჩარევით. მსახიობი, რომელიც ღმერთს განასახიერებდა, სცენაზე ეშვებოდა თეატრალური მანქანის მეშვეობით და გრაგედის კონფლიქტის კვანძს ხსნიდა.



#### ორგია (ὄργια)

ღვთისმსახურების განსაკუთრებული სახეობა, რაც სიგიჟემდე მისულ შინაგან ალკინებას, ექსტაზს, თავაშვებულ ღრეობას გულისხმობს.

➤ ორგია – ალვირახსნილი ქეიფი, უზომო დროსტარება.

#### თალიას ტაძარი (Θάλεια)

თალია კომედიის მუზაა.

➤ თალიას ტაძარი – თეატრი.

#### პანევირიკი (πανηγυρικός)

ორატორის სახოგბო სიტყვა ვინმეს პატივსაცემად.

➤ პანევირიკი – უზომო აღფრთოვანებული ხოგბა.

#### დიოთირამბი (δισθραμβος)

დიონისესადმი მიძღნილი საკულტო სიმღერა.

➤ დიოთირამბი – გაღამეგებული აღფრთოვანებისა და ხოგბის სინონიმი.

#### ქორიფე (χορῳφή)

ბერძნულ გრაგედიაში ქოროს, გუნდის ხელმძღვანელი.

➤ ქორიფე – მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე.

#### სატირები (Σάτυροι)

დიონისეს მხლებელი გყის ღვთაებები. წელს გემოთ ადამიანები, წელს ქვემოთ – თხები. განზე ხშირი ბეწვით, თავზე პატარა რქებით, ფეხებზე კი – თხებივით ჩლიქებით.

➤ სატირები – ავზორცი მთვრალი არსებები.

#### მენადები (Μαινᾶς, ἄδως)

დიონისეს მხლებელი ბაკქი ქალები, რომლებიც საკულტო მსვლელობისას გაშმაგებულნი მიჰყვებოდნენ ღვინის ღმერთს. ნახევრად შიშვლებს ლაქებიანი ირმის გყავი პქონდათ მოხვეული. გყე-ღრეში გავლისას პატარა ცხოველებს კლავდნენ და მათ სისხლს სვამდნენ, რითაც თითქოს ხდებოდა მათი ღმერთთან ზიარება. მენადები სარიტუალო ცეკვებსაც ასრულებდნენ.

➤ მენადები – გაგიჟებულები, ჭკუიდან შეშლილები.

**ბაკვეთილი № 9**

**1. გრამატიკა**

II ბრუნების მამრობითი სქესის არსებითი სახელები

II ბრუნებით იბრუნვის ო ფუძიანი მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომელთაც nom. sing.-ში აქვთ -us დაბოლოება.

	sing.	pl.	sing.	pl.
Nom.	-us	-i	domin-us	domin-i
Gen.	-i	-orum	domin-i	domin-orum
Dat.	-o	-is	domin-o	domin-is
Acc.	-um	-os	domin-um	domin-os
Abl.	-o	-is	domin-o	domin-is
Voc.	-e	-i	domin-e	domin-i

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

poeta doctus – განსწავლული პოეტი

poeta laureatus – შემკობილი პოეტი

furor poeticus – პოეტური აღმაფრენა

licentia poetica – პოეტური თავისუფლება (სენეკა)

ἀνεκδοτος – გამოუქვეყნებელი i. e. ამიტომ ახალი და საინტერესო

**3. გერმინთა წარმოება:** φιλῶ – მიყვარს; μισῶ – მძულს

φιλ(φιλ) {
 

- ἀθραπος
- ἀδελφεία
- ἵππος
- ἀρμოსία
- (ο)λογία
- (ο)σιφία
- (ό)γλωσσ

 }
 μισ {
 

- ἀθραπος
- (ό)γυσος

ელინოფილი, ქართველოფილი, ფილატელისტი

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – პოეზია**

ანთოლოგია – ἀνθός „ყვავილი“

ლირიკა – λύρα „ლირა“

ელეგია – ἔλεγος „სიმღერა“

პოემა – ποίημα, τὸς „შექმნილი“

პოეტი – ποιητής „შემქმნელი, შემოქმედი“

ტაეპი – τὰ ἔπη „სიტყვები“  
 რითმა – ῥυθμός „თანაფარლობა“  
 ლექსი – λέξις, ἔσθ „სიტყვა“

**5. სენტენციები**

Aurora musis amica – გარიერაჟი მუზების მეგობარია

Nascuntur poetae, fiunt oratores – პოეტებად იბადებიან, ორატორები ხდებიან

Poeta nascitur, non fit – პოეტად უნდა დაიბადო, პოეტი ვერ გახდება

Indignatio facit poetam – აღშფოთება წარმოშობს პოეტს

Quandoque bonus dormitat Homerus – ზოგჯერ დიდებული ჰომეროსიც კი თვლებს (პორაციუსი)

**6. ილიოშები, ფრთოსანი გამოთქმები**

**არიადნე** (Ἀριάδνη)

კრეტის მეფის, მინოსის ასულს დანახვისთანავე შეუყვარდა ახალგაზრდა გმირი თესევსი, რომელიც კრეტაზე იმ მიზნით ჩავიდა, რომ ეხსნა ათენი მინოტავროსის ხარკისაგან. ურჩხულთან ლაბირინთში საბრძოლველად მიმავალმა გმირმა თან გაიყოლა არიადნეს მიერ მიცემული გორგალი, რომლის ბოლოც შესასვლელთან დაამატრა, გაჰყვა, ლაბირინთის შუაგულში მინოტავროსს თავს დაესხა და გამარჯვებული ძაფს უკანვე გამოჰყვა.

➤ არიადნეს ძაფი – მხსნელი, რთული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალება.

**მინოტავროსი** (Μινώταυρος)

ლაბირინთში დამწყვდეული ურჩხული, რომელიც იკვებებოდა მოხარკე ათენიდან ჩამოყვანილ ქალ-ვაჟთა ხორციით. კრეტის მეფის ასულის – არიადნეს დახმარებით თესევსმა მოკლა საშინელი მინოტავროსი და ათენი მძიმე ხარკისაგან გაათავისუფლა.

**ლაბირინთი** (λαβύρινθος)

შენობა მრავალრიცხოვანი დახლართული დერეფნებით. კრეტის ლაბირინთი, რომელიც მინოსს აუგო დიდოსტატმა დედალოსმა, კაციჭამია მინოტავროსის სადგომად გამოიყენებოდა. იქ შესული ადამიანი თავს ვერ დააღწევდა მიწისქვეშა გალანებსა და დერეფნებს. ამოიხედავდა კი ურჩხულთან მოხვედებოდა, რომელიც მსხვერპლს გლეჯდა. ასეთი ბედი ჰქონდათ ათენელ 7 ვაჟსა და ქალს, რომლებიც ყოველწლიურად ხარკის სახით იგზავნებოდნენ ათენიდან კრეტაზე.



ასე გრძელდებოდა, ვიდრე ათენელმა უფლისწულმა თესევსმა არ მოკლა ურჩხული.

არსებობს ვარაუდი, რომ მითოს ლაბირინთის არსებობის შესახებ რეალური საფუძველი შეიძლება ჰქონოდა: კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი კნოსოსის სასახლე თავისი ურთულესი არქიტექტურით, უამრავი ღერუფნითა თუ ტალანით აოცებდა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე.

➤ ლაბირინთი – რთული, გამოუვალი მდგომარეობა.

### იკაროსის გაფრენა (Ἰκαρος)

იკაროსი ათენელი ხელოვანის, დედალოსის ვაჟი იყო, რომელიც კრეტის ლაბირინთის აშენების შემდგომ მამის დამზადებული ფრთებით კუნძულიდან მინოსის ციხეობას გაექცა და გაფრინდა. ყმაწვილს ფრთები ცვილით ჰქონდა განზე მიმაგრებული. მან ყურად არ იღო მამის დარიგება, მიუახლოვდა მზეს, ცვილი გალღვა, ფრთები დასცივდა და იკაროსი ზღვაში დაიხრჩო.

➤ იკაროსის გაფრენა – საბედისწერო, მაგრამ თამაში, თავგანწირული, მიმზიდველი საგმირო საქმე. მზისკენ სწრაფვის სიმბოლო.

### თესევსი (Θησεύς)

ათენელთა სახელოვანი გმირი. ათენის მეფის, ეგევსის ძე.

მეფე ეგევსს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ამიტომ ძმისწულები მისი ტახტის დასაკუთრებას ცდილობდნენ. დელფოს ორაკულის წინასწარმეცხველების თანახმად, ეგევსს გროიძენის მეფის ასულმა ვაჟიშვილი გაუჩინა. მამამ თავისი ძე გადაშალა, რათა მისთვის ბიძაშვილების რისხვა აეცილებინა. ჭაბუკობიდანვე უძლიერესი იყო თესევსი. როდესაც თავისი ვინაობა გაიგო, გროიძენიდან ათენისკენ გაემართა. გზად ბევრი ავაზაკი მოკლა (მათ შორის პროკრუსტესიც) და უამრავი სახელოვანი და კეთილი საქმე ჩაიდინა.

ათენელთათვის თესევსი ისეთივე დიდი გმირი იყო, როგორც მთელი საბერძნეთისთვის – პერაკლე. თუმცა იგი მარტო ჯან-ღონით აღსავსე არ ყოფილა – გონიერებით, გამჭრიახობით და სიბრძნითაც გამოირჩეოდა.

უკვე ანტიკურობაშივე მას რეალურ პიროვნებად მიიჩნევდნენ და არა მითიურად. ბერძენი ისტორიკოსის, პლუტარქოსის აზრით, მას ძვ. წ. XIII საუკუნეში უნდა ეცხოვრა.

გმირი თესევსი ათენში ძალზე პოპულარული ყოფილა. მას ეძღვნებოდა ყოველი თვის მერვე დღე.

## ბაკვითილი № 10

### 1. გრამატიკა

II ბრუნების საშუალო სქესის არსებითი სახელები

II ბრუნებას ასევე განეკუთვნებიან o ფუძიანი საშუალო სქესის არსებითი სახელები -um დაბოლოებით.

	sing.	pl.	sing.	pl.
Nom.	-um	-a	oppid-um	oppid-a
Gen.	-i	-orum	oppid-i	oppid-orum
Dat.	-o	-is	oppid-o	oppid-is
Acc.	-um	-a	oppid-um	oppid-a
Abl.	-o	-is	oppid-o	oppid-is
Voc.	-um	-a	oppid-um	oppid-a

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

de iure – სამართლებრივად

de facto – ფაქტობრივად

persona non grata – არასასურველი პიროვნება

alibi – სხვა ადგილას

veto – ვკრძალავ

### 3. გერმინთა წარმოება: facere – კეთება

a	} (f)fectum	} fac	tus
de			tura
con			tor
per			ultas, atis
e			

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – იურისპრუდენცია

ამნისტია – ἀμνηστία „პატიება“

იუსტიცია – iustitia „მართლმსაჯულება“

იურისდიქცია – iurisdictio, onis < ius, iuris „უფლება“, dicere „თქმა“

პეტიცია – petitio, onis „სარჩელი“

ადვოკატი – advocatus „მოსმობილი“

ლეგიტიმური – legitimus „კანონიერი“

ლეგალური – lex, legis „კანონი“

ალიმენტი – alimentum „საბრდო, საკვები“  
 კაზუსი – casus „შემთხვევა“  
 პროკურორი – procurere „ბრუნვა, მართვა“  
 ექსტრადიცია – extradare „(დამნაშავეის) გადაცემა“  
 კრიმინალი – criminalis, e „დანაშაულებრივი“  
 კარცერი<sup>1</sup> – carcer „ციხე“

### 5. სენტენციები

Dura lex, sed lex – კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია  
 Ex occidente lex – დასავლეთიდან მოდის კანონი  
 Manifestum non eget probatione – უჭკველს არ სჭირდება მტკიცება  
 Inter arma silent leges // Inter arma silent Musae – ომის დროს კანონები დუმან // ომის დროს მუშები დუმან  
 Novus rex, nova lex – ახალი მეფე, ახალი კანონები

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

#### დრაკონის კანონები (Δράκων, οντος)

პირველმა ათენელმა კანონმდებელმა დრაკონმა (ძვ. წ. VII ს.) ჩაწერა კანონები, რომლებიც გრადიციული ზეპირი ალათისა და სამართლის წერილობით ფიქსაციას წარმოადგენდა. დრაკონის კანონები, ძირითადად, სამ სფეროს მოიცავდა: თემის წევრთა შორის სამართალურთიერთობის რეგულირებას, ალათთა ანუ მორალურ ნორმათა მოწესრიგებას და სასჯელს მძიმე დანაშაულისათვის.

ეს კანონები განსაკუთრებით მკაცრი იყო თუნდაც უმნიშვნელო ქურდობის მიმართ. ხშირად კერძო საკუთრების მითვისებისთვის კანონები სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

➤ დრაკონის კანონები – სისხლით დაწერილი, უსასტიკესი კანონები.

#### თემის მსახური (ἑμέλις, ἑδός)

სამართლისა და მართლმსაჯულების ქალღმერთი. მიუკერძოებლობის ნიშნად თვალები რიდით ჰქონდა ახვეული, ხელში კი ხასწორი ეჭირა.

<sup>1</sup> რომის სახელმწიფოს ციხე, რომელიც მდებარეობდა კაპიტოლიუმის აღმოსავლეთ ფერდობზე. თითქმის 700 წლის მანძილზე ძვ. წ. III საუკუნიდან დაწყებული იქიმყოფებოდნენ სიკვდილმისჯილები განაჩენის სისრულეში მოყვანამდე.

➤ თემის მსახური – მოსამართლე, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის სინონიმი.

#### პროკრუსტესის სარეცელი (Προκρίστης)

ავაზაკი პროკრუსტესი ათენთან ახლოს გყეში ცხოვრობდა. გზაზე გამგულ-გამომგულს იჭერდა, თავის საწოლზე დააწვენდა და თუ გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს წააჭრიდა, ხოლო თუ მოკლე იყო, გაწელავდა და ლოგინის ზომამდე დააყენებდა. ერთხელ როდესაც თესვისი ათენში ბრუნდებოდა, გზად სწორედ ეს ავაზაკი შემოხვდა. გმირმა პროკრუსტესი მისსავე სარეცელზე დააწვინა, რაც ზედმეტი იყო წააჭრა და ასე მოკლა.

➤ პროკრუსტესის სარეცელი – გრაფარეგი, დახვესებული შაბლონი, რომლის ნორმა და წესიც სავალდებულოა. აზრების, იდეების შეზღუდვა.

#### თორმეტი დაფის კანონები (Lex duodecim tabularum)

რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები, კეთილშობილური გვარის წარმომადგენლები, პატრიციუსები, ხშირად სუბიექტურად და თავისი სურვილისამებრ ბოროტად იყენებდნენ არსებულ კანონებს. მდაბიო ხალხი, პლებსი, კი კანონების ყველასათვის გასაგები წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებას და საჯაროდ გამოცხადებას მოითხოვდა. ძვ. წ. 462 წ. პლებსმა შეადგინეს 10 კაციანი კომისია (დეცემვირი), რომლის წარმომადგენლებმაც ბერძნულ, კერძოდ, სოლონის კანონებზე დაყრდნობით შეადგინეს კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი – 10 ტაბულა, რომელსაც შემდეგ კიდევ ორი დაემატა. 12 ტაბულის კანონების ძირითადი წყარო ალათები და ალათობრივი სამართალია.

#### ეაკოსი (Αἰακός)

მევსისა და ნიმფა ეგინას შვილი. სამართლიანი და სათნო მეფე. კუნძულ ეგინას მკვიდრნი ჭირმა გაწყვიტა. უკაცრიელ კუნძულზე მბრძანებლობა დიდ ჰაგივად არ ითვლებოდა. მევსმა შეისმინა ეაკოსის ვედრება და ჭიანჭველები აღამიანებად უქცია შვილს. ამ ხალხს გმირმა მირმიდონელები დაარქვა.

ეაკოსი პოსეიდონთან და აპოლონთან ერთად გროას გალავანს აგებდა. მითის მიხედვით, სამმა გველმა ქალაქში შელწევა მოიწადინა, ორი ღმერთებმა მოკლეს, მესამე კი გალავანზე გადაძვრა. მაშინ მისანმა იწინასწარმეგყველა, რომ ეაკოსის შთამომავლები გროაში შეაღწევდნენ. გარდაცვალების შემდეგ ეაკოსი ქვესკნელში მო-



სამართლედ დაინიშნა, რადგან სიცოცხლეშივე კეთილშობილებით და სამართლიანობით გამოირჩეოდა.

➤ ეაკოსი – მოუსყიდველი და ძლიერი მსაჯული.

**მირმიდონელები<sup>1</sup>** (Μυρμιδόνες)

აქაველთა გომი თესალიაში. მითის ერთი ვერსიის მიხედვით, ეგი-ნას მოსახლეობა ჭირმა გაწყვიტა. მეფე ეაკოსის თხოვნით ზევსმა უკაცრიელ კუნძულზე ჭიანჭველები ადამიანებად აქცია. გროას ომში აქილევსმა სწორედ მირმიდონელები იახლა.

მირმიდონელები, ჭიანჭველების მსგავსად, მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან.

➤ მირმიდონელები – წყნარი, მორჩილი, ჭიანჭველებივით მო-ფუსფუსე ხალხი.

<sup>1</sup> μύρμιξ – ჭიანჭველა.



## გაკვეთილი № 11

### 1. გრამატიკა

დრო – tempus

ლათინურ ენაში არის ექვსი დრო:

tempus praesens	ახლანდელი დრო
tempus imperfectum	ნამყო (უსრული) დრო
tempus perfectum	ნამყო (სრული) დრო
tempus plusquamperfectum	ნამყო წინარეწარსული დრო
tempus futurum I	მომავალი I დრო
tempus futurum II	მომავალი II დრო

გვარი – genus

ლათინურ ენაში არის ორი გვარი:

genus activum	მოქმედებითი გვარი
genus passivum	ვნებითი გვარი

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

a. v. / ad valorem – უასის შესაბამისად

gratis – უფასოდ

c // cca circa – მიახლოებით

debet – ვალდებულია

netto – (იგალ.) < nitidus (ლათ.) სუფთა

brutto – (იგალ.) < brutus (ლათ.) მთლიანად

### 3. გერმინთა წარმოება: δῖα – გავლით, გამო

δῖα (δῖα)	δῖα γῖασις γῖαμμα λεκτος φῖαγμα σῖορα	δῖ { φῖογγος λῖμμα πῖαμα
-----------	--	-----------------------------------

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – ეკონომიკა

ინფლაცია – inflare „გაბერვა“

კონვერტირება – convertere „შეცვლა, გადაცემა“

ინვესტორი, ინვესტიცია – investis, e „ჩაუყენი, უქონელი“



კრედიტი – creditum „ვალი“  
 დეპოზიტი – depositum „რაიმე შესანახად მიცემული“  
 პრივატიზაცია – privatus „საკუთარი“  
 დივიდენდი – dividendum „გამოსაყოფი“  
 კაპიტალი – capitalis, e „ძირითადი, მთავარი“  
 კურსი, კონკურენტი, კონკურენცია – cursus „სროლა, მიმდინარეობა“  
 აქტივი – activus „მოქმედი, შემოსავალი“  
 პროცენტი – pro centum „ასზე“  
 ავერსი – aversus „წინა მხარე“  
 რევერსი – reversus „უკანა მხარე“  
 ლეგენდა – legenda „საკითხავი“ (წარწერა მონეტაზე)

### 5. სენტენციები

Pecunia non olet – ფულს სუნი არ აქვს (ვესპასიანუსი)  
 Semper avarus eget – ძუნწს ყოველთვის რაღაც ესაჭიროება (პორაციუსი)  
 Crescentem sequitur cura pecuniam – სიმდიდრის მატებასთან ერთად საზრუნავიც იზრდება (პორაციუსი)  
 Magis illa iuvat, quae pluris ementur – უფრო მეტად იმას აფასებ, რასაც ძვირად შეიძენ  
 Laudat venales qui vult extrudere merces – ყველა ვაჭარი თავის საქონელს აქებს (პორაციუსი)

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**ჰერაკლე // ჰერკულესი** (Ἡρακλῆς // Hercules)

ბერძენთა უდიდესი ეროვნული გმირი, ადამიანის დევგმირული ძალის განსახიერება. ზევისა და მოკვდავი ალკმენეს შვილი. ბუნებრივ სტიქიებთან და ბოროტებასთან მებრძოლი, დახელოვნებული მშვილდოსანი, მკურნალი, ურჩხულთა შემმუსკრელი და ბნელი ძალების რისხვაა. უამრავ საგმირო საქმეთაგან გამოყოფენ 12 ძირითად საგმირო საქმეს.

- ჰერაკლე – უჩვეულო ჯან-ღონის კაცი, სიკეთისათვის ბრძოლის განსახიერება.
- ჰერაკლეს ჯაფა – ერთი შეხედვით შეუძლებელი საქმე. უდიდესი შრომა.



**ჰეროიკული** (ἥρωας „გმირი“) – გმირული, საგმირო.

**ჰერაკლეს სვეტები** (Ἡρακλῆς)

მითის მიხედვით, ჰერაკლემ მთელი ევროპა და აფრიკა შემოირა და ამ ლაშქრობის უკვდავსაყოფად გიბრალტარის სრუტესთან ორი უმარმაზარი სვეტი აღმართა, ბერძნებს გიბრალტარის სრუტე დელაძი-წის უკიდურეს მიჯნად მიაჩნდათ, რომლის იქითაც მდინარე-ოკეანე მიედინებოდა.

- ჰერაკლეს (ჰერკულესის) სვეტებამდე მისვლა – უკიდურეს მიჯნამდე მისვლა. სანუკვარი ოცნების ასრულება. რაიმე დიდ და რთულ საქმეში წარმატების მიღწევა.

**ავგიასის თავლები** (Αὔεις) –

ელისის მეფის ავგიასის ურიცხვი საქონლის სადგომი 30 წლის მანძილზე არავის გაუსუფთავებია. ჰერაკლეს, ევრისტევის დავალებით, თავლები ერთ დღეში უნდა გაეწმინდა. ავგიასი კი საქონლის მეთაფის მიცემას დაჰპირდა, თუკი ჰერაკლე დავალებას შეასრულებდა, რადგან ღარწმუნებული იყო, რომ ასეთ რთულ ამოცანას ვერავინ გაართმევდა თავს. გმირმა ორ მდინარეს კალაპოტი უცვალა, ნაკელზე მიუშვა და თავლები გაწმინდა. ავგიასმა ჯოგის მიცემაზე უარი განაცხადა და გმირი მუქარით გამოაგდო. რამდენიმე წლის შემდეგ განრისხებული ჰერაკლე ჯარით დაბრუნდა, ქალაქი ააოხრა, ავგიასი ისრით განგმირა და გამარჯვების აღსანიშნავად დასაბამი მისცა ოლიმპიურ თამაშობებს.

- ავგიასის თავლები – რაიმე დიდი უწმინდურობა, წლობით უპაგრონოდ მიტოვებული სახლი ან სამეფო, რომლის გაწმენდაც განსაკუთრებით დიდ შრომასა და ჰერაკლეს ჯაფას მოითხოვს.

**კერინეას ირემი** (Κερυνίτις ἑλαφος)

მთებში მონავარდე ფურ-ირემი, რომელიც არკადიის მოსახლეობას აოხრებდა და მოსავალს უნადგურებდა. ოქროსრქიანი და სპილენძის-ჩლიქებიანი, რომლის ცოცხლად შეპყრობაც დაავალა ჰერაკლეს ევრისტევისმა. გმირმა დიდხანს სდია ირემს, ბოლოს ისრით ფეხში დაჭრა, შეიპყრო და მიჰგარა მეფეს, რომელმაც ქალღმერთ არტემისს დაუბრუნა საღმრთო ნადირი.

- კერინეას ირმის შეპყრობა – უმძიმესი შრომა, რომელიც დიდ ღონესა და სიმარდეს მოითხოვს.



### ანგეოსი (ἄνταϊος)

უძლიერესი გმირი, ლიბიის მბრძანებელი, პოხეილონისა და გეას შვილი. ბუმბერაში, რომლის დამარცხებაც არაგვის შეეძლო, ვიდრე მშობელ დედამიწაზე იღბა. ყოველთვის, როცა კი ანგეოსი მიწას შეეხებოდა, ძალებს აღიდგენდა. ყოველ უცხოელს საჭიდაოდ იწვევდა და დამარცხების შემდეგ კლავდა. ხელჩართულ ბრძოლაში პერაკლემ ანგეოსი მიწას მოსწყვიტა, ჰაერში აიგაცა და დაახრჩო.

➤ ანგეოსი – სიმბოლო გმირისა ან ხალხისა, რომელიც ძალას მშობელი მიწიდან იღებს.

### ტელეფოსი (Τηλεφος)

პერაკლეს ვაჟი, რომელიც მისიის მეფე გახდა. როდესაც ტროისაკენ მიმავალ აქაველებს გზა აებნათ, მისიელთა ქვეყანა ტროად მიიჩნიეს და მისი დარბევა დაიწყეს. მამაცი ტელეფოსი, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი იყო, მაინც შეება მომხდურთ, მრავალი გმირი მოკლა და აიძულა მტერი უკან დახეულიყო. ბრძოლისას აქილევსმა წაქცეული ტელეფოსი შუბით დაჭრა თემოში. დიდხანს არ ურჩებოდა ჭრილობა. მისანმა უწინასწარმეგყველა, რომ ვინც დაჭრა, ისევე ის თუ მოარჩენდა. ტელეფოსმა ძონძები ჩაიყვა, აქილევსი მონახა და სთხოვა, რომ თუ მოარჩენდა, ტროას გზას ასწავლიდა. აქილევსმა პელიონის მთაზე მოჭრილი მშვილდის ნათლით განკურნა, სამაგიეროდ ტელეფოსმა ფიცი დადო, რომ აქაველთა წინააღმდეგ არასდროს გაილაშქრებდა.

➤ ტელეფოსის ჭრილობა – ძნელად მოსარჩენი, მძიმე ჭრილობა.



## ბაკვეთილი № 12

### 1. გრამატიკა

ზმნის ძირითადი ფორმები

ლათინურ ზმნას აქვს ოთხი ძირითადი ფორმა, რომელთა მიხედვითაც ხდება მისი უღლება სხვადასხვა დროში.

praesens ind. act.	perfectum ind. act.	supinum	infinitivus praes. act.	
orno	ornavi	ornatum	ornare	მორთვა
habeo	habui	habitu	habere	ქონა
scribo	scripsi	scriptum	scribere	წერა
audio	audivi	auditum	audire	სმენა

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

ex libris – წიგნებიდან

ex cathedra – კათედრიდან, ავტორიტეტულად

omnibus – ყველას

mobilis in mobile – მოძრავი მოძრავში

perpetuum mobile – მუდმივად მოძრავი

### 3. ტერმინთა წარმოება: ἐκ (ἐξ) – გან, დან

ἐκ (ἐξ) {
 

- λογή
- στασις
- λεκτικός
- κλησία

### 4. დარგობრივი ტერმინოლოგია – გრანსპორტი

ტახომეტრი – ταχύς „სწრაფი“, μέτρων „ზომიდან“

აეროპორტი – aeroportus < ἀήρ, ἀέρας // aer, aeris „ჰაერი“, portare „ტარება“

ასფალტი – ἀσφαλτος „უსაფრთხო“

გრანსპორტი – transportare „გადატანა“

კონდუქტორი – conductor, oris „გამყოლი“

მაგისტრალი – magistralis, e „მთავარი“

ინსპექცია – inspectio, onis „დათვალიერება“

ტრანზიტი – transitus „გაველა“

აკუმულატორი – accumulator, oris „დამგროვებელი“



ველოსიპედი – velocitas, atis „სისწრაფე“, pes, pedis „ფეხი“  
 ავტომობილი – αὐτὰς „თვით“, mobilis „მოძრაი“

### 5. სენტენციები

Malesuada fames – შიმშილი ცუდი მრჩეველია

Nemo sapiens, nisi patiens – არავინაა ბრძენი, თუ მოთმენა არ შეუძლია

Omne principium difficile – ყოველი დასაწყისი ძნელია

Sic transit gloria mundi – ასე მიდის ამქვეყნიური ღირებულება

Aut viam inveniam, aut faciam – ან გზას ვიპოვებ, ან თვითონ გავიყვებ

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

#### არგონავტები (Ἀργοναῦται)

50 გმირი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მთრეულ ლაშქრობაში ოქროს საწმისის ჩამოსაგანად. არგონავტებს იასონი მეთაურობდა, რომელიც იძულებული იყო ბიძის, პელიასის რთული დავალება შეესრულებინა. მუხთალი პელიასი დარწმუნებული იყო, რომ ძმისწული ან გზაში დაიღუპებოდა, ან კოლხები მოკლავდნენ. იგი ფიქრობდა, რომ ამით თავიდან აიცილებდა ტახტის მოზიარეს. არგონავტებმა ათენას დახმარებით ააგეს ხომალდი „არგო“ და უამრავი წინააღმდეგობისა და ხიფათის გადაგანის შემდეგ კოლხეთში ჩავიდნენ.

➤ არგონავტები – თამაში მეზღვაურები. დაცინებით უწოდებდნენ სიმდიდრის მაძიებელ ავანტიურისტებს.

#### ოქროს საწმისი (μύρα κινᾶς)

ოქროს ვერძის გყავი, ფრიქსოსის მიერ კოლხეთში ჩამოტანილი, რაც შემდეგ არგონავტების ლაშქრობის მიზეზად იქცა. ოქროს საწმისს საშინელი ღრაკონი იცავდა, რომელიც მედეამ დააძინა. სწორედ მისი დახმარებით გაიგაცეს ოქროს საწმისი არგონავტებმა. ამ მითში უდავოდ აისახება ისტორიული სინამდვილე; ბერძნებმა ოდიტგანვე იცოდნენ, რომ კოლხები ოქროს მოპოვების ხერხს ფლობდნენ. ისინი გახვრეტილი ვარცლებითა და ბეწვიანი გყავით მდინარიდან მოიპოვებდნენ ოქროს მცირე დანალექებს. რეალურად, არგონავტები, ალბათ, ეძებდნენ არა უშუალოდ რომელიმე ვერძის ოქროს გყავს, არამედ სურდათ მიეგნოთ ოქროს მოპოვების წესისათვის.

➤ ოქროს საწმისი – სიმდიდრის, განძის სიმბოლო.



### მედეა (Μήδεια)

კოლხეთის მეფე აიეგის ასული, პელიოსის შვილიშვილი. როდესაც არგო კოლხეთს მიადგა, ეროსმა მედეას იასონის სიყვარული ჩაუნერგა გულში. სწორედ გრძნეული მედეას დახმარებით შეასრულა იასონმა აიეგის ურთულესი დავალება. კოლხეთის მეფე მიხვდა, რომ მას უღალატეს, მედეამ მამის რისხვის თავიდან აცილებისა და იასონის სიყვარულის გამო დაგოვა კოლხეთი და საგრფოს საბერძნეთში გაჰყვა. მისივე რჩევით მოკლა იასონმა აიეგის ძე, აფსირგოსი, რომელიც ღის დასახსნელად გამოუდგა არგონავტებს. მრავალი ხიფათის გადალახვის შემდეგ იასონი და მედეა საბერძნეთში ჩავიდნენ.

მედეა ჯადოქრობის წყალობით სასტიკად გაუსწორდა მეფე პელიასს, რას შედეგად იოლკოსიდან მოუწია გაქცევა. მედეა და იასონი 10 წელს ბედნიერად ცხოვრობდნენ კორინთოსში. შემდეგ იასონმა ფიცი გატეხა და უღალატა მეუღლეს, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა კორინთოსის მეფის ასულის – კრეუსას ცოლად შერთვა. მედეა მათაც საშინლად გაუსწორდა. ევრიპიდეს ტრაგედიაში „მედეა“ აღწერილია კოლხი ქალის მიერ შვილების საზარელი მკვლელობა, რომელიც ქალმა ქმრის დასასჯელად ჩაიდინა. გაუბედურებული მედეა შემდეგ ათენში მივიდა ეგეესთან, იქიდან კი აზიაში გადაიხვეწა. გარდაცვალების შემდეგ ნეგართა კუნძულებზე დაიღო ბინა.

### კირკე//ცირცე (Κίρκη // Circe)

პელიოსის ჯადოქარი ასული. მედეას მამიდა. ცბიერი გრძნეული ქალი. სწორედ მისგან ისწავლა წამალთა დამზადება და მაგია. კირკე მამაკაცებს ცხოველებად აქცევდა ხოლმე. მას ოდისევსის მეგზურნი ღორებად გადაუქცევია, მაგრამ გმირისავე თხოვნით მალევე მოუხსნია ჯადო მათთვის. კირკეს რჩევით გაემგზავრა ოდისევსი ჰადესში, რათა თავისი მომავალი შეეცყო გირესიასისგან.

➤ კირკე – გრძნეული, მაცდური ქალი, მზაკვარი, კაცებისათვის მახის დამტეხი.

**ბაკვეთილი № 13**

**1. გრამატიკა**

კილო – modus

indicativus	ind.	თხრობითი
imperativus	imper.	ბრძანებითი
coniunctivus	coni.	კავშირებითი

esse – „ყოფნა“ ზმნა

praes. indicativi

praes. imperativi

	sing.	pl.
p. p.	sum – ვარ	sumus – ვართ
p. s.	es – ხარ	estis – ხართ
p. t.	est – არის	sunt – არიან

	sing.	pl.
p. p.	—	—
p. s.	es – იყავი	este – იყავით
p. t.	—	—

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

etc. / et cetera – და სხვა

hic et nunc – აქ და ახლავე i. e. დაუყოვნებლივ

m. p. / manu propria – პირდაპირ ხელში

cf. / confer – შეადარე

e. c. / exempli causa – მაგალითისთვის

**3. გერმინთა წარმოება:** ობა, ὄβας – წყალი; aqua – წყალი

ობა(ó)	{	μέτρον*	aqua {	rium
		σφαίρα*		toria
		μέρη*		(ინგლ.) lung
		φίλι*		
		φίβια*		

პიდრა, პიდრიდი, პიდროკულგურა  
აკვამარინი, აკვარელი, აკვაპარკი

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – პიდრომეტეოროლოგია**

სინოპტიკოსი – συναπτικός „ყველაფრის ერთად დაშვებები“

ციკლონი – κύκλος „წრე“

კლიმატი, აკლიმატიზაცია – κλίμα, τος „კლიმატი“

პიდრომეტრი – ὄβας, ὄβας „წყალი“, μετρεῖ „ვზომავ“

ბარომეტრი – βαρῶν „ღრმა“, μετρεῖ „ვზომავ“  
თერმომეტრი – θερμῶν „თბილი“, μετρεῖ „ვზომავ“  
პროგნოზი – πρόγνωση, ἔσας „წინასწარ განსაზღვრა“

**5. სენტენციები**

Tibi et igni – შენ და ცეცხლს i. e. წაიკითხე და დაწვი

Igni et ferro // Ferro ignique – ცეცხლითა და მახვილით

Maria montesque polliceri – ზღვებისა და მთების შეპირება

In aqua scribere – წყალზე წერა (კატულუსი)

Ignis sanat – ცეცხლი კურნავს

**6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**პრომეთეს ცეცხლი** (Προμηθεύς)

უგონიერესი გიგანი, აღამიანთათვის ყოველგვარი სიკეთის მომნიჭებელი და მფარველი, რის გამოც დაისაჯა კიდეც და ზევსის ბრძანებით კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს. პრომეთე სიბრძნესა და ცბიერებას კაცთა მოდგმის დასაცავად იყენებდა, იმ მოდგმისა, რომლის შემქმნელადაც თვითონ მოიაზრება. პრომეთეს აღამიანები თიხისაგან შეუქმნია. პრომეთესეული სიბრძნე თვით ზევსსაც კი სჭირდება. კლასიკური ოლიმპიური. მითოლოგია ვერ აიგანდა ორ ერთნაირად ბრძენ და ამასთანავე კაცობრიობაზე მზრუნავ ღმერთს. ზევსისა და პრომეთეს დაპირისპირება გარდაუვალი იყო. ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო არა ფიზიკური პაექრობა, ისეთი როგორც ზევსსა და გიგანებს შორის, არამედ გონებრივი. ზევსისა და პრომეთეს წინააღმდეგობის არსის ასახსნელად ორი ვერსია არსებობს: ერთი, რომლის მიხედვითაც, პრომეთე ჰერას, ზევსის მეუღლის შვილია, მეორე ვერსიის მიხედვით კი პრომეთემ მეკონაში ზევსი მოაგყუა და უამრავი ოლიმპიელი ღმერთის თვალწინ დასცინა. ამას ისიც დაერთო, რომ პრომეთემ ცეცხლი მოიპარა და ლერწმით ჩამოუგანა დედამიწაზე ხალხს. განრისხებულმა ზევსმა დასაჯა თავნება პრომეთე და კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა.

➤ პრომეთეს ცეცხლი – კულტურის, წინსვლის, ნიჭისა და განათლების სიმბოლო, ამაღლებული მიზანი.

**მიჯაჭვული პრომეთე**

პრომეთე აღამიანთა მოდგმის მფარველია. იგი გიგანებთან ბრძოლაში ზევსს დაეხმარა ახალი წესრიგის დამყარებაში. მაგრამ წინ აღუდგა იმავე ზევსს, რომელმაც კაცთა მოდგმის განადგურება

გადაწყვიტა ადამიანთა უვიცობისა და უხეშობის გამო. პრომეთემ ხალხს ცეცხლი მისცა, დაეხმარა, ასწავლა ხელოსნობა, ნაოსნობა, ვარსკვლავებზე დაკვირვება, ანგარიში, წერა-კითხვა, მკურნალობა და გახადა გონიერი. დაუნდობელმა ზევსმა სწორედ ამიგომ მიაჯაჭვა იგი კავკასიონის ქედზე, სადაც მას არწივი უკორგნიდა ღვიძლს. თუმცა მოგვიანებით ისევ ზევსისავე ბრძანებით ჰერაკლემ მოკლა არწივი და გაათავისუფლა პრომეთე.

➤ მიჯაჭვული პრომეთე – ხალხის კეთილდღეობისათვის დასჯილი და წამებული.

### **ეპიმეთესი** (Ἐπιμηθεύς)

პრომეთეს ძმა. ადამიანებზე გამწყრალმა ზევსმა სწორედ მას გაუგზავნა პანდორა თავისი ყუთით. ძმამ ურჩია, რომ არ შეერთო ეს ქალი და არც ყუთი გაეხსნა, მაგრამ უგუნურმა ეპიმეთესმა ყური არ დაუგდო პრომეთეს რჩევას, პანდორა ცოლად შეირთო, ყუთის გახსნის შემდეგ კი მთელ ქვეყანას ჭირი და უბედურება მოეფინა.

➤ ეპიმეთესი – უჭკუობისა და გულუბრყვილობის სიმბოლო.

### **პანდორა** (Πανδώρα)

მაცდური ციური ქალი, რომელიც ზევსმა კაცთა მოდგმის დასადუპად წყლისა და მიწისაგან შეაქმნევინა ჰეფესტოს. შემდეგ ყველა ღმერთმა თავისი წილი საჩუქარი უბოძა (ზმა, სინამე, სინაგიფე), რათა ეპიმეთესი მოეხიბლა და კაცობრიობის დამღუპველი ყუთი ღეღამიწაზე ჩამოეგანა პრომეთესთვის სამაგიეროს მისაგებად. ეპიმეთესს მოეწონა ქალი და ცოლად შეირთო. ცნობისმოყვარე პანდორამ ყუთს თავი აპხადა, რაც აკრძალული იყო. იქიდან კი ყოველგვარი უბედურება ამოფრინდა: დარდი, ნალველი, ჭირი, სნეულებანი და სხვ. შეშინებულმა ქალმა ყუთს თავი დაახურა, მაგრამ გვიანი იყო. ყუთში იმედოღობა დარჩენილიყო. ამით გადაუხადა ზევსმა პრომეთეს სამაგიერო იმისათვის, რომ მან ადამიანებს ცეცხლი უბოძა. ზევსის მზაკერულმა საჩუქარმა კი ხალხთა მოდგმას ათასნაირი უბედურება დაატეხა თავს.

➤ პანდორას ყუთი – ჭირისა და უბედურების წყარო.

### **პიგმალიონი** (Πυγμαλίων)

პიგმალიონი კვიპროსის მეფე იყო, რომელიც თვლიდა, რომ ქალებს უზნეო ხასიათი ჰქონდათ და მას უბედურებას მოუგანდნენ. მეფე შესანიშნავი მოქანდაკე იყო. ერთხელაც, სწილოს ძვლისაგან გასაოცარი ქალწული გამოაქანდაკა. იგი ისე მოიხიბლა საკუთარი

ქმნილებით, რომ თვალს ვერ სწყვეტდა ქალს და ისე ექცეოდა, როგორც ცოცხალ არსებას: ხილს და სამკაულებს უძღვნიდა, ართობდა და ეთაყვანებოდა.

ერთხელ სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს შეევედრა, რომ ამ ქმნილების მსგავსი ქალი მოევლინა მისთვის. ქალღმერთს შეებრაღა პიგმალიონი, ქანდაკებას სული შთაბერა და გააცოცხლა. გახარებულმა ხელოვანმა ღმერთისგან სულჩადგმულ ქალს გალაგვა დაარქვა. პიგმალიონმა ქალწული ცოლად შეირთო და შვილებიც შეეძინათ.

➤ პიგმალიონი – თავისსავე ქმნილებაზე შეყვარებული ხელოვანი.



## ბაკვეთილი № 14

### 1. გრამატიკა

გვარი – genus

activum	act.	მოქმედებითი
passivum	pass.	ენებითი

მოქმედებითი გვარის პირის ნიშნებია:

	sing.	pl.
p.p.	-o	-mus
p.s.	-s	-tis
p.t.	-t	-nt

ინფინიტივის ნიშანი – re

I ულლების მზნები

ლათინურ ენაში მზნები ოთხ ჯგუფად იყოფა, შესაბამისად, არის ოთხი ულლება: I ულლებაში შედის *ā* ფუძიანი მზნები:  
მაგ: amo – მიყვარს (inf. amā-re – სიყვარული)

praesens activi

	sing.	pl.
p.p.	am-o	ama-mus
p.s.	ama-s	ama-tis
p.t.	ama-t	ama-nt

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

manibus puris – სუფთა ხელებით

p.s. / post scriptum – მინაწერი წერილზე

p. f. / post factum – მომხდარის შემდეგ

op. / opus – ნაშრომი

op. cit. / opere citato – დამოწმებულ ადგილას



3. გერმინთა წარმოება: ἀστὴρ, ἀστέρως – ვარსკვლავი; κόσμος – სამყარო<sup>1</sup>; σκοπέω – ვაკვირდები

ἀστρο	$\left\{ \begin{array}{l} \text{λογία} \\ \text{νομία} \\ \text{νόμος} \\ \text{ναύτης*} \\ \text{φυσική*} \end{array} \right.$	$\left\{ \begin{array}{l} \text{γούνα} \\ \text{λογία*} \\ \text{πολίτης} \\ \text{ναύτης*} \end{array} \right.$
-------	---	--

καλ — ειδο — σκόπος  
ἀρο

4. დარგობრივი გერმინოლოგია – ასტრონომია, ასტროლოგია

გალაქტიკა – γαλακτικός „რძიანი“

კოსმოსი – κόσμος „წესრიგი“

პლანეტა – πλανήτης „ცთომილი, მთარული“

ტელესკოპი – τηλε „შორს“, σκοπέω „ვეყურებ, ვაკვირდები“

ჰელიოცენტრული – ἥλιος „მზე“, κέντρον „ცენტრი“

ზოდიაქო – ζῳδιακός „ცოცხალ არსებათა წრე“

კომეტა – κομήτης „კულიანი“

ობსერვატორია – observare „თვალყურის დევნება“

ორბიტა – orbis, is „მრგვალი“

სატელიტი – satelles, itis „თანამგზავრი“

### 5. სენტენციები

Per aspera ad astra – ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ (სენეკა)

Sol omnibus lucet – მზე ყველაფერს ანათებს (პეტრონიუსი)

Astra regunt homines, sed regit astra Deus – ვარსკვლავები მართავენ ადამიანებს, ვარსკვლავებს კი ღმერთი მართავს

Post nubila Phoebus – ღრუბლის შემდეგ ფებუსი (მზე)

Flat ubi vult – სადაც სურს, იქ უბერავს

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

ჰაღესი („Αἰδής)

ქვესკნელი და თავად ამ ქვესკნელის აჩრდილთა მბრძანებელი. მიცვალებულთა სულებს ჰერმესი მიაცილებს ჰადესამდე. იქ კი თითო

<sup>1</sup> კოსმოსი და კოსმეტიკა – ორივე ბერძნული ძირიდან კოსმ- მომდინარეობს, რაც წესრიგს აღნიშნავს. ბერძენისათვის წესრიგის უმაღლესი სახე, მაგალითი, კოსმოსი, სამყარო იყო. კოსმეტიკა კი არის მორთვის, გალამაზების ხელოვნება.



ობოლოსად<sup>1</sup> გადააყვას მებორნე ქარონს იმ ექვს მდინარეზე, რომლებიც ჰადესს არგყია გარს.

ჰადესში ჩასული მიცვალებულთა სულები გზაჯვარედინზე სამსჯავროზე წარდგებიან. მსაჯულები ეაკოსი, მინოსი და რადამანთისი არიან. ჩადენილ სიკეთეთა და დანაშაულთა მიხედვით თითოეული აჩრდილი სამიდან ერთ-ერთ გზას დაადგება. ისინი, ვინც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ცხოვრებაში კარგიც უკეთებიათ და ცუდიც, ასფოდელოსის ველებისაკენ მიდიან. ელისიონის მინდვრებზე კეთილ და სათნო ადამიანთა აჩრდილები დასახლდებიან, ხოლო ბოროტებსა და დამნაშავეებს გარტაროსში ელით განჯვა.

➤ ჰადესი – მიცვალებულთა სამყარო, საიქიო.

### გარტაროსი (Τάρταρος)

მიწისქვეშა სამყაროს ერთი მხარე. ეს არის ქვესკნელის სამეფოს შორეული და უბნელესი ნაწილი, სადაც განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეები არიან. გარტაროსში ჩაყარა მევსმა ძლეული კრონოსი და გიგანები. ეს ჯოჯოხეთი მიწიდან ისევე შორსაა, როგორც ცა. იქ მუდამ სიბნელე და ქარიშხალია. გარტაროსში ცხოვრობენ ქიმერა, ექიღნა, ერინიები და სხვ.

➤ გარტაროში – ქრისტიანები ასე უწოდებენ საგანას, ჯოჯოხეთის მეუფეს.

**ელისიონის // ელისიუმის მინდვრები** (τὸ Ἑλισιον πεδῖον // Elysium).

მიცვალებულთა სამკვიდრებელი ნეგარი სამეფო, საიქიოს ის ნაწილი, სადაც მარადიული გაზაფხულია და მხოლოდ დირსეულ ადამიანთა სულები ხვდებიან ერთმანეთს. უმრუნველად არიან და დარდი არ იციან. აქ ცხოვრობენ: ორფეუსი, დიომედესი, მენელაოსი და სხვ.

➤ ელისიონის მინდვრები – სამოთხე, ედემი, სულთა ბედნიერი და მშვენიერი სამეფო.

### ნეგართა კუნძულები (Μακάρων νῆσοι)

ეს კუნძულები ელისიონის მინდვრებთან ახლოს მდებარეობდა. აქ მხოლოდ ისეთ ადამიანთა აჩრდილები ხვდებოდნენ, რომლებიც უკვე სამჯერ დაიბადნენ, კეთილნი, სათნონი და სახელოვანნი იყვნენ, გარდაცვალების შემდეგ კი მსაჯულებმა სამჯერვე ელისიონის მინ-

<sup>1</sup> ობოლოსი – ფულის ერთეული საბერძნეთში, სპილენძის მონეტა, რომელსაც პირში უდებდნენ მიცვალებულს, რათა ქარონი მის სულს მიწისქვეშა სამეფოში გაძლოლოდა.



დვრებზე დაასახლეს. აქ ბინადრობდნენ: აქილეუსი, ელენე, კადმოსი და პარმონია და სხვანი.

### მორფეუსი<sup>1</sup> (Μορφεύς)

ძალის დმერთის, ჰიპნოსის ფრთოსანი შვილი და მსახური, რომლის ნებითაც მოკვდავთ ფანტაზიები და სიმზრები ეცხადებათ. ის ფრთიანი მოხუცია, რომელიც ადამიანებს სხვადასხვა სახით ევლინება.

➤ მორფეუსის სამეფოშია – სძინავს, ნეგარ სიმმარშია.

### ლიბიტინა (Libitina)

მიცვალებულთა ქალღმერთი რომში. მიწის ნაყოფის, ბალ-ვენახთა, ჭკნობის და განახლების სიმბოლო. მისი თაყვანისცემის ადგილი, ფაქტობრივად, სარიტუალო მომსახურების ცენტრი იყო, სადაც ინახებოდა მიცვალებულთა სიები. დამკრძალავს ლიბიტინარიუსი ერქვა, მის საქმეს კი ლიბიტინა.

➤ ლიბიტინას სტუმრობა – ირონიულად იგყოფდნენ ხოლმე უნიჭო იმპერატორის გასვენებისას.

### ენდიმიონი (Ἐνδυμίων)

ულამაზესი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც პერას შეუყვარდა. ამის გამო ზევსმა სასტიკად დასაჯა: მარადიული ძილით მიაძინა, თუმცა მომხიბვლელობა და ახალგაზრდობა შეუნარჩუნა.

➤ ენდიმიონის ძილი – ლეთარგიული ძილი.

### ლეთეს წყლის დაღევა (Λήθη)

დავიწყების მდინარე ქვესკნელში, რომლის წყალსაც მიცვალებული სულები სვამდნენ, რათა სააქაო დავიწყებოდათ.

➤ ლეთეს წყალი დაღია – ყველამ დაივიწყა.

<sup>1</sup> μορφή – სახე, ფორმა.

## გაკვეთილი № 15

### 1. გრამატიკა

II ულლების ზმნები

II ულლებაში შედის ἔ ფუძიანი ზმნები:

მაგ: habeo – მაქვს (inf. habē -re – ქონა)

praesens activi

	sing.	pl.
p.p.	habe-o	habe-mus
p.s.	habe-s	habe-tis
p.t.	habe-t	habe-nt

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

terra incognita – უცნობი მიწა i. e. რაიმე ამოუცნობი და მიუწვდომელი

mare ad mare – მღვიდან მღვამდე

aequo animo – მშვიდი სულით i. e. აუღელვებლად მშვიდად (სენეკა)

cornu copiae – სიუხვის რქა

aurea mediocritas – ოქროს შუალედი (პორაციუსი)

### 3. გერმინთა წარმოება: σφαιρα – სფერო; ordo, inis – რიგი

λιθό  
ἵππῳ  
στρατό  
βίβ  
τροπῶ

σφαιρα\*

ordin

alis  
arius  
ator  
atura

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – გეოგრაფია

ატლასი – Ἄτλας, αὐτός<sup>1</sup> ტიტანი (იხ. გვ. 79)

კრატერი – κρατήρ, ἦρος „ძაბრისებრი თავი“

მაგმა – magma „ცომი“ < μάζα „ვზელ“

ეპიცენტრი – ἐπίκεντρον

მერიდიანი – meridianus „საშუაღდეო“

კონტინენტი – continens, entis „მყარი მიწა“

გლობუსი – globus „ბურთი“

<sup>1</sup> ატლასი არქიტექტურაში ეწოდება მამაკაცის ქანდაკებას, რომელიც ბოძის მაგივრობას სწევს და მხრებით სახურავი უჭირავს.

ოკეანე – Oceanus – წყლის ღმერთი

ვულკანი – Vulcanus – ცეცხლის ღმერთი

აბორიგენი – ab origenes „დასაბამიდან, თავიდან“

### 5. სენტენციები

In silvam ligna ne ferat – ნუ წაიღებ ტყეში შეშას (პორაციუსი)

Medio flumine quaerere aquam – შუა მდინარეში წყლის ძებნა

Hic Rhodus, hic salta<sup>1</sup> – აქაა როდოსი, აქ გადახტე

Vox clamantis in deserto – ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა

Mare interbibere – ზღვის დალევა i. e. შეუძლებლის გაკეთება

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

გორდიასის კვანძის გახსნა (Γορδίας)

ფრიგიის მეფე, რომელმაც ძალაუფლება მისნობის წყალობით მოიპოვა. გორდიასი უბრალო გლეხი იყო, მიწას ხნავდა, როდესაც უღელზე არწივი დააჯდა, რის გამოც ერთმა მისანმა სამეფო ტახტი უწინასწარმეგყველა. ფრიგიელებმა თავიანთი მეფე რომ განდევნეს, მისანმა ხალხს ურჩია: მეფედ ის აერჩიათ, ვინც პირველი გაივლიდა მევსის გზაზე ოთხთვალა ეგლით, ასეთი გორდიასი აღმოჩნდა და გამეფდა კიდეც. მან მევსის ტაძარში აპეურებისაგან ისეთი ნასკვი შეკრა, რომლის გახსნაც უბრალო მოკვდავს არ შეეძლო. ითვლებოდა, რომ ვინც გორდიასის ნასკვს გახსნიდა, ამის მბრძანებელი გახდებოდა. ამ ამოცანას თავი აღექსანდრე მაკედონელმა გაართვა, რომელმაც ხმლის ერთი დაკვრით გაკვეთა კვანძი და გახდა კიდეც უდიდესი იმპერიის მბრძანებელი. გორდიასის სამეფო გვარმა არსებობა მე. წ. VI ს-ში შეწყვიტა.

➤ გორდიასის კვანძის გახსნა – რაიმე მძიმე თავსაგების უბრალო და თამაში გადაწყვეტა.

### ტენესის ნაჯახი (Τέννης)

ტენესი ტროადის მეფის შვილი იყო, რომელიც დედინაცვალმა შეიყვარა, მაგრამ გერმა მისი გრძნობა უპასუხოდ დატოვა. მამის დედი-

<sup>1</sup> ეზოპეს იგავ-არაკის „მკვეხარა ხუთჯიღელის“ პერსონაჟი, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა. ათლეგი თავს იმით იწონებდა, რომ კუნბულ როდოსზე ჩაგარებულ შეჯიბრში ისე შორს გადახტა, რომ მისი შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შესძლო. თან ყველას ეუბნებოდა, რომ მის სეცვევება ნებისმიერი როდოსელი დაადასტურებდა. მისი კვეხით შეწუხებულმა ერთ-ერთმა კაცმა კი უთხრა: აქაა როდოსი და აქ გადახტე.



ნაცვალმა ქმართან დაასმინა ტენესი, თითქოს მისმა შეიღმა ნამუსი აპხადა. მეფემ ნათქვამი დაიჯერა, შეიღი ყუთში ჩასვა, დაგმანა და ზღვაში გადააგდო. ტალღებმა ყუთი კუნძულზე გარიაყა. მოგვიანებით ტენესი გამეფდა და ამ მიწას ტენედოსი უწოდა. შემდეგ, როდესაც მეფემ სიბართლე გაიგო, მაგყუარა ცოლი ცოცხლად დამარხა, თვითონ კი შეიღთან გაემურა პატიების სათხოვნელად. ტენედოსზე გემით მისული მამა ტენესმა კუნძულზე არ აუშვა, პირიქით, ბაგირი ნაჯახით გადაჭრა და გემი ნაპირს მოწყვიტა.

➤ ტენესის ნაჯახი – რაიმე გადაწყვიტე ნაბიჯი, მოქმედება, როდესაც ერთი დაკერით წყდება ვინმესთან კავშირი.

### ამალთეა (Ἀμάλθεια)

ღვთაებრივი თხა თუ ნიმფა, რომელმაც ზევსი გამოკვება. ზევსის დედამ, რემ მეუღლეს – კრონოსს გადაუმალა ყრმა ზევსი კრეტაზე, რათა მამას შეიღები არ გადაეყლაპა. რეას მსახურნი იარაღის ქღარუნით ახშობდნენ ზევსის ბავშვურ გირილს. ერთხელ ამალთეას რქა მოსტეხია, ნიმფებს იგი ყვავილებითა და ხილით აუვსიათ. დიდი სიყვარულია და პატივისცემის ნიშნად ზევსს ამალთეას რქისთვის ჯადოსნური თვისება მიუნიჭებია: სავსე იყო ყველა იმ სიკეთით, რასაც პატრონი ისურვებდა.

### სიუხვის რქა

ამალთეას რქა. მას შემდეგ, რაც ზევსმა ამალთეა ციურ ვარსკვლავად აქცია, მისი მოგებილი რქა ნიმფებმა ხილით აავსეს და ყვავილებით მორთეს. ზევსმა მას ჯადოსნური თვისებები მიანიჭა: ივსებოდა ყველა სიკეთით, რასაც კი ნიმფები ისურვებდნენ. სიუხვის რქა ბედის წყალობის სიმბოლოდ იქცა.

➤ სიუხვის რქა – სიკეთისა და სიუხვის წყარო.

### ეგისი//ეგილა (Αἴγης, ἔδος)

ზევისის ფარი, რომელიც თხის გყავისაგან იყო დანმზადებული ჰეფესტოსის მიერ გამოტეხილი, მყარი და იარაღისათვის შეუვალი. როცა ზევსი მარჯვენა ხელით მებს სგყორცნიდა, მარცხენათი ეგისს არხევდა, ქარიშხალს ტეხდა და თავმარს სცემდა ქვეყნიერებას. რადგან ეგისი თხის გყავს ნიშნავს, მიიჩნევა, რომ ზევსს გიგანტებთან ბრძოლის წინ ორაკულმა ურჩია, გამზრდელი თხის, ამალთეას გყავზე მედუმას თავის დაკვრა და ბრძოლაში გამოყენება. ძვ. წ. VI საუკუნე ნიდან ეგისი უკვე ათენას განუმორებელი ატრიბუტია.

➤ ეგისით (ეგილით, ეგილის ქვეშ) – დაცვის, მფარველობის ქვეშ.



## ბაკვეთილი № 16

### 1. გრამატიკა

esse – „ყოფნა“ გმნა

imperfectum activi

	sing.	pl.
p.p.	eram – ვიყავი	eramus – ვიყავით
p.s.	eras – იყავი	eratis – იყავით
p.t.	erat – იყო	erant – იყვნენ

### III ულლების გმნები

III ულლებას განეკუთვნება თანხმოვანფუძიანი გმნები. პირის ნიშანი გმნის ფუძეს ერთვის შემაერთებელი ხმოვნის შემდეგ. შემაერთებელი ხმოვნებია:

r-ს წინ e;

n-ს წინ – u;

დანარჩენ შემთხვევებში – i;

მღრ. III ულლება – scribere „წერა“

II ულლება – habere „ქონა“

praesens activi

	sing.	pl.
p.p.	scrib-o	scrib-i-mus
p.s.	scrib-i-s	scrib-i-tis
p.t.	scrib-i-t	scrib-u-nt

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

canina facundia – ძალღური მჭევრმეტყველება

cave canem – უფრთხილდი ძაღლს

rara avis – იშვიათი ჩიგი (იუვენალისი)

lupus in fabula – მგელი არაკში i. e. ძალღი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე

anguis in herba – გველი ბალახში i. e. ფარული საფრთხე



### 3. გერმინთა წარმოება: βίος – სიცოცხლე; ἄλγος, εὐς – ტკივილი

βιο(ό)	{	λογία	συσ-βίωσις
		γραφία	ἀντι-βιωτικός*
		γένεσις*	ἀν-αλγικός*
		σφαίρα*	νιστ-αλγία

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – ბიოლოგია

ბოტანიკა – βοτάνη „მცენარე“  
 ანატომია – ἀνατομή „გაკვეთა“  
 ბოლოლოგია – ζῷον „ცოცხალი არსება“  
 ὄρνιθολογία – ὄρνις, ὄρνιθις „ჩიტი“  
 კინოლოგია – κίνηση „ძალი“  
 იქთიოლოგია – ἰχθύς, ἰχθύσις „თევზი“  
 ქრომოსომა – χρώμα, τὸς „ფერი“, σάμα, τὸς „სხეული“  
 პლაზმა – πλάσμα, τὸς „გამონაძერწი“  
 ὄργανο – ὄργανον „იარაღი“  
 ბაქტერია – βακτηρία „ჩხირი“  
 ანთროპოლოგია – ἀνθρώπος „ადამიანი“, λογία „მოდვრება“  
 ჰერბარიუმი – herba „ბალახი“  
 ფაუნა – Fauna „ცხოველთა სამყაროს“ ღმერთი  
 ფლორა – Flora „მცენარეთა სამყაროს“ ქალღმერთი

### 5. სენგენციები

Una hirundo non facit ver – ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს  
 Auribus teneo lupum – მგელი ყურებით მიჭირავს i. e. გამოუვალია  
 მდგომარეობა  
 Ex ungue leonem – ლომს ბრჭყალებით [შეიცნობს]  
 Aquila non captat muscas – არწივი ბუმბებს არ იჭერს  
 Asinus Buridani inter duo prata – ბურიდანის ვირი ორ მოლს შორის<sup>2</sup>

<sup>1</sup> უკვე ანტიკურ ხანაში ამ სიტყვას ბევრი მნიშვნელობა ჰქონია. პირველ რიგში ის მუსიკალურ ინსტრუმენტებს (ფიქრობენ, რომ მისგან მომდინარეობს ორლანი) და ქირურგიულ იარაღებს აღნიშნავდა. შემდეგ გამოიყენებოდა სხეულის ნაწილთა და გრძნობით ორგანოთა აღსანიშნავად.

<sup>2</sup> გამოთქმა უკავშირდება XIV საუკუნის ფრანგ ფილოსოფოს ბურიდანს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ადამიანთა და ცხოველთა ქცევას მთლიანად განსაზღვრავს მოტივები: თუკი ვირს ორ თვის ზვინს დაუდგამ, თანაც ორივეს მისგან თანაბრად დამორებულს, იგი მიმშლით მოკვდება, რადგან არჩევანის გაკეთება გაუჭირდება.



### 6. იდიოშები, ფრთოსანი გამოთქმები

#### ექიდნე (Ἐχίδνα)

ქალ-გველი, გარგაროსისა და გეას ასული, რომელიც ღრმა მიწისქვეშეთში ცხოვრობდა. ჩაითრევადა ხოლმე გამგლელებს და შთანთქავდა. ექიდნეს გიფონისაგან მრავალი შვილი გაუჩნია: კერბეროსი, ლერნეს ჰიდრა, ნემესა ლომი, სფინქსი და სხვ.

- ექიდნე – მზაკვარი, ბოროტი, გველური ბუნების ადამიანი.
- ექიდნური ღიმილი – მზაკვრული ღიმილი.

#### გიფონი (Τυφάν)

საშინელი ურჩხული, პირველყოფილი ბნელი ძალის განსახიერება, ტეასა და გარგაროსის შვილი. აქვს ადამიანისა და ცეცხლისმურქვეველი ურჩხული-მხეცის სახე, ასი დრაკონის თავი, რომელთაგან ზოგი ღმერთივით მეტყველებს, ზოგი გველივით სისინებს ან ძალღივით ყეფს. გიფონს შეეძლო ქვეყნიერების მპყრობელიც გამხდარიყო, მაგრამ ამაში ხელი ზევსმა შეუშალა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ზევსმა გიფონს თავზე დაამხო ეტნას მთა, საიდანაც დღემდე ამოდის მების ცეცხლი და ვულკანი. როცა გიფონი ქვესკნელში იგრინება ან დედამიწაზე ამოძვრება, მისი სხეულის სიმძიმისაგან მიწა ირყევა.

- გიფონი – წყვლიადისა და ბოროტების მეუფების განსახიერება. სიბნელე, რომელიც ნთქავს სინათლესა და სიკეთეს.

#### კერბეროსი (Κέρβερος // Cerberus ცერბერი)

ქვესკნელის სამეფოს სამთავიანი ნაგაზი, რომელსაც სხეული გველებით აქვს დაფარული. ვეებერთელა, ენაგადმოგდებული ზახიდან კი შხაშიანი ნერწყვი ჩამოსდის.

ყველასათვის საშინელი და ამაზრზენია კერბეროსი. მიწისქვეშეთში არავის უშვებს მბრძანებლის ნებართვის გარეშე. ჰადესის სამარული მცველი მხოლოდ მუსიკის მიმართ არ არის გულგრილი. ევრიდიკეს სამშეომე აყვანის მსურველმა ორფევსმა ისე მოხიბლა კერბეროსი, რომ მან დაუბრკოლებლად შეუშვა მომღერალი მიწისქვეშეთის სამყაროში.

- კერბეროსი – სასტიკი დარაჯი, ავი კაცი ან ავი ძალი.

#### ქიმერა (Χίμα.ρα)

ცეცხლისმურქვეველი ურჩხული. ექიდნესა და გიფონის შვილი. თავისი გველური ბუნებით დედას, ექიდნეს წააგავს, ურჩხულის გარეგნობით კი – მამა გიფონს. იმდენად თავზარდამცემი გარეგნობა ჰქონდა, რომ ულდანაცემი მნახველი ხშირად ვერც იხსენებდა ურჩხულის სახეს.



ქიმერას ლომის თავ-მკერდი, თხის განი და გველეშაპის ბოლო პქონდა. გუდავდა და სპობდა ყოველივე ცოცხალს და აოხრებდა ქვეყანას. გმირმა ბელეროფონმა ლიკიის მეფის დავალებით და პეგასოსის დახმარებით მოკლა ქიმერა.

➤ ქიმერა – ურჩხული, ფანტაზიის დაუჯერებელი ნაყოფი, უამრო გამონაგონი.

### ერინიები (Ἐρινύες)

შურისძიების ქალღმერთები. სინდისის ქეჯნის განსახიერებანი, რომლებიც ქვეყნად მნეობისა და სიმართლის დამკვიდრებისათვის იბრძვიან. ქვესკნელში სძინავთ და თუ სადმე უსამართლო მკვლელობა მოხდა (განსაკუთრებით სისხლით ნათესავთა შორის), თან ბოროტებაამაც იმეიმა, მრისხანე ერინიები აღდგებიან და არც თვითონ მოისვენებენ და არც დამნაშავეს, ვიდრე ქვეყნიერებაზე კვლავ წესრიგი არ დამყარდება. მკვლელსა და ფიცის გამტეხს არა მარტო დედამიწაზე ებრძვიან, არამედ ჰადესშიაც სჯიან. დევნიან იმასაც, ვინც მოკლულის სისხლს არ აიღებს. ყველაზე ხშირად კი მაინც მაშინ აქტიურობენ, როცა ბუნებრივი კანონი ირღვევა (მშობლების, შვილების მოკვლა). აგიჟებენ დამნაშავეს, ძალღვივით მისდევენ და გონებას ურევენ, ჭკუიდან შლიან და ძილს უფრთხოებენ, ერინიები გამოღვიძებული სინდისის ხმას განსახიერებენ. თუმცა მათი რისხვა მაინც არაა უსაშველო – თუკი დამნაშავემ მოინანიდა და ვინმე ღირსეულმა განწმინდა ცოდვისაგან, ერინიები მას მოეშვებიან და კეთილ ქალღმერთებად – ევმენიდებად იქცევიან.

➤ ერინიები – შურისმაძიებელი არსებები.

### მეგერა (Μεγαιρα)

ერთ-ერთი ერინია – მახინჯი, შურისმაძიებელი დედაბერი, რომელსაც თავზე თმის ნაცულად გველები ეხვია. გველის ტყავის მოლგითა და ჩირაღდნით ხელში. უღმობელი რისხვის განსახიერება.

➤ მეგერა – ავი, ანჩხლი, ბოროტი ქალი.

### ფურიები (Furiae)

შურისძიებისა და სინდისის ქეჯნის ქალღმერთები. ქვესკნელის ავი დემონები (ი. ე. ბერძნ. ერინიები), დაუნდობლნი არიან მათ მიმართ, ვინც სიწმინდეს შელახავს.

➤ ფურიები – ავი, გაშმაგებული ქალები.



### ნემესისი (Νέμεσις)

შურისმაძიებელი ქალღმერთი, რომელიც დაუწერელი კანონების დარღვევისთვის სამაგიეროს მიუზღავდა ყველას. მართალია, ნემესისის შურისძიება ბევრს არ ასცდება, მაგრამ სიკეთის ჩამდენთ სიკეთითვე აჯილდოებს. სჯის ქედმაღალთ, უღირსებს კალაპოტში აქცევს და აღადგენს ადამიანურ უფლებებს. ის სამაგიეროს მიზღვის ქალღმერთიცაა, რომელიც სამართლიანად მიუზღავს არა მხოლოდ ცუდს, არამედ კარგსაც.

ნემესისი არ ჰგავს ერინიებს, რომლებიც მხოლოდ სისხლით ნათესავთა მკვლელებს დევნიან.

➤ ნემესისი – დამსახურებული ბედის, შურისძიების სინონიმი.



## ბაკავთილი № 17

### 1. გრამატიკა

IV ულლების გზნები

IV ულლებას განეკუთვნება i ფუძიანი გზნები:  
მაგ: audio – მესმის (inf. audi-re – სმენა)

praesens activi

	sing.	pl.
p.p.	audi-o	audi-mus
p.s.	audi-s	audi-tis
p.t.	audi-t	audi-unt

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

ad acta – საქმეში, არქივში i. e. აღნიშვნა საქმიან ქაღალდებზე  
ad notam – ცნობისათვის  
ad verbum – სიტყვასიტყვით  
a primo visu – ერთი შეხედვით  
in corpore – მთელი შემადგენლობით

### 3. გერმინთა წარმოება: ἰδῆς – გზა; secare – გაჭრა

$\left. \begin{array}{l} \kappa\acute{\alpha}\theta\iota \\ \acute{\alpha}\nu \\ \eta\lambda\epsilon\kappa\tau\rho \\ \sigma\acute{\upsilon}\nu \\ \mu\acute{\epsilon}\theta\iota \end{array} \right\} \text{ ἰδῆς}$ 
 $\left. \begin{array}{l} \text{tor, oris} \\ \text{ia} \end{array} \right\} \text{ sec}$

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – ფიზიკა

ელექტრონი, ელექტროდინამიკა, ელექტრონიკა – ἠλεκτρον „ქარვა“  
დინამიკი, დინამო – δῖναμις, εἰς „ძალა“  
ენერგია – ἐνέργεια „მოქმედება“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ენერგია და კატორღა – ძირი ἐργ- ნიშნავს „შრომას, მუშაობას“. წინდებული ἐν ნიშნავს „შიგნით“. ენერგია არის ის, რაშიც მდგომარეობს მუშაობის შესაძლებლობა. წინდებული κατά კი ნიშნავს „ქვემოთ“. შუა საუკუნეებში კატორღა ერქვა ბანაკებს მსჯავრდებულთათვის, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ მიწისქვეშა სამუშაოები ე. ი. კატორღა – მიწის ქვემოთ სამუშაო. ἐργ ძირი აღვილად გადადის ბერძნულში // ὄργ ძირში. აქედან კი ვიღებთ სიტყვებს ორგანო, ორღანი, ორგანიზმი, ორგანიზაცია, ქირურგია, მეტალურგია, ღრამაგურგია და სხვ.



პერმეტული – Ἐρμης „პერმესი“  
ოპტიკა – ὀπτική „ყურება“  
პლაზმა – πλάσμα, τὸς<sup>1</sup> „გამონადერწი“  
მაგნიტი – μαγνήτης, ἰδῆς „ქვა, რომელიც იზიდავს რკინას“  
ელემენტი – elementum<sup>2</sup> „პირველსაწყისი“  
ილუმინაცია – illuminare „ნათება“  
ტურბულენტობა – turbulentus „უწესრიგობა“ < turbare „ტრიალი, არევა“  
ვაკუუმი – vacuum „ცარიელი სივრცე“  
ვექტორი – vector, oris „წამყვანი“

### 5. სენტენციები

Deliberandum est saepe, statuendum est semel – ხშირად უნდა განსაჯო და ერთხელ გადაწყვიტო (პუბლიუს სირუსი)  
Faber est suae quisque fortunae – ყველა თავისი ბედის მჭედელია  
Oleum addere camino – ბუხარში ზეთის შესხმა i. e. ცეცხლზე ნათის დასხმა (პორაციუსი)  
Equi donati dentes non inspiciuntur – ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეინჯება  
Mens agitat molem – გონება ამოძრავებს მასას (ვერგილიუსი)

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

აგლასის გვირგოთი (Ἄγλας, αὐτός)

გიგანი, პრომეთეს და ეპიმეთევის ძმა, უდიდესი ძალის პატრონი. აგლასი ბრძენი ბუმბერაზი იყო, ზღვათა წიაღის და ცის კარგი მცოდნე. მითის მიხედვით, ცის პირველი სურათიც მან შექმნა. ღმერთებთან

<sup>1</sup> პლაზმა πλάσμα – „ნადერწი“. მომდინარეობს გზნიდან πλάσσω – „ვპერწავ“. აქედანვე იწარმოება სიტყვები: πλαστικός – საძერწი, πλαστικός – გამოძერწილი, პლასტმასი, პლასტელინი. სიტყვა „პლაზმასთან“ დაკავშირებით მოხდა ერთი გაუგებრობა. XIX ს-ში ერთ-ერთმა ბიოლოგმა, რომელმაც ნაკლებად იცოდა ძველი ბერძნული ენა, ასე უწოდა სისხლის უფორმო და თხევად შემადგენელ ნაწილს. ხოლო XX საუკუნეში ფიზიკოსებმა ბრმად გადაიღეს ეს გერმანი ნივთიერების უფორმო მდგომარეობის აღსანიშნავად.

<sup>2</sup> ელემენტი, სტიქია – στίχος – 1. რიგი, მწყობრი; 2. ლექსი (მღრ. რუსული стих). ლექსი სწორედ ასეთა მწყობრია; ლექსის ყველაზე მცირე ერთეული, ელემენტი სწორედ ასოა. ელემენტი elementum – 1. პირველმაგერია, პირველსაწყისი; 2. ასოები, ელემენტი იგივე სტიქიაა.



შებრძოლების გამო ზევსმა სასტიკად დასაჯა – ცის თალი დააღვა მხრებზე. როცა პერაკლე პესპერილების ოქროს ვაშლების მოსაპოვებლად წავიდა, მცირე ხნით ცის თალი თვითონ შეიღვა, რათა აგლასი დავალების შესრულებაში დახმარებოდა. შემდეგ გიგანმა აღარ იხეზა შემსუბუქებული მხრებით ცის თალის გვირგვინი, მაგრამ პერაკლემ ხერხს მიმართა: სთხოვა აგლასს ერთი წუთით შეშველებოდა და ცის თალს შედგომოდა, სანამ იგი ლომის გყავს მხრებზე მოივლებოდა აგლასმა დაუჯერა. პერაკლემ ვაშლები აიღო და წავიდა. ამ გიგანის სახელს ატარებს ოკეანეც და დედამიწის რუკების კრებულიც. მასვე მიეწერება ლეგენდარული აგლანგისის მბრძანებლობაც.

➤ აგლასის გვირგი – მძიმე გვირგი.

### სისიფოსი (Σίσυφος)

კორინთოსის ლეგენდარული დამაარსებელი და მისი პირველი მეფე. კორინთოსი სავაჭრო და სანაოსნო ქალაქი იყო. ცბიერი, გაიძვერა და მოხერხებული სისიფოსი ღმერთებს აცყუებდა, ხალხს ძარცვავდა, ერთხელ ზევსიც კი გასცა. განრისხდა უზენაესი მბრძანებელი და სიკვდილის ღმერთს – თანაგოსს უბრძანა, რომ თავივე მეფე ჰადესში ჩაეყვანა. სისიფოსმა მოგყუებით თანაგოსიც კი დაატყვევა და რამდენიმე წლის მანძილზე აღარავინ კვებოდა. იცოდა სისიფოსმა, რომ როდესმე მასაც წაიყვანდნენ ჰადესში და ცოლს დაუბარა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მიწისქვეშეთის მეუფისათვის მსხვერპლი არ შეეწირა. არესის დახმარებით, თანაგოსი გაანთავისუფლეს და მანაც თავის პირველ მსხვერპლად სისიფოსი აირჩია. მოკვდა სისიფოსი, მისი მეუღლე კი მსხვერპლს არ სწირავდა. მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი ჰადესი გაოგნებული და გაოცებული იყო. ცბიერმა სისიფოსმა ჰადესს სთხოვა, რომ კვლავ დედამიწაზე დაებრუნებინა ურჩი ცოლის დასასჯელად. მოგყუება ჰადესი: სისიფოსს არც ცოლი დაუსჯია და არც უკან დაბრუნებულა. მოგყუებულმა ჰადესმა ხელმეორედ გაუგზავნა თანაგოსი. ამჯერად სისიფოსი სასტიკად დასაჯა: ვეებერთელა ლოდის ციციბო აღმართზე ატანა დაევალა, მაგრამ როდესაც აღმართი მთავრდებოდა, ლოდი მიწას სწყდებოდა და თავიდან იწყებოდა საგანჯველი. ღმერთებთან შებრძოლი სისიფოსი ვერასდროს აღწევს მიზანს – მთის მწვერვალს.

➤ სისიფოსის ოინები – საანდამოდ ქცეული მოხერხება და ცბიერება.



➤ სისიფოსის შრომა – მძიმე, დაუსრულებელი ჯაფა, რითაც მიზანს ვერ აღწევს.

### დანაიდების კასრი (Δαναΐδες)

არგოსის მეფე, დანაოსი და ეგვიპტის მეფე, ეგვიპტოსი ძმები იყვნენ. დანაოსს 50 ასული ჰყავდა, ეგვიპტოსს კი – 50 ვაჟი. ერთი ძმა მეორეს ავიწროებდა და გახტეს ეცილებოდა. შეშინებულმა დანაოსმა ქალიშვილები არგოლისში გადაასახლა. ეგვიპტოსის ვაჟები საპატარძლო ბიძაშვილებს ყველგან ეძებდნენ. ბოლოს არგოლისში ჩავიდნენ და მეფე-ბიძას მოსთხოვეს ასულები. დანაოსი დაეთანხმა, ქალიშვილები კი გააფრთხილა, რომ ღამით ქმრები დაეხოცათ. შვილებმა შეასრულეს მამის დავალება, მხოლოდ ყველაზე უმცროსმა – ჰიპერმნესტრამ შეიცილა მეუღლე. მოგვიანებით სიძემ მოკლა მუხთალი სიამბოძი. ღმერთებმა კი იმით დასაჯეს დანაიდები, რომ ჰადესში დაუსრულებლივ ეზიდებიან წყალს ძირგახერეგილი კასრის ასაგებად.

➤ დანაიდების კასრი – აუვსებელი რამ, ამაო ჯაფის, უნაყოფო შრომის სინონიმი.

### ოკნოსის ბაწრის დაწნა (Ὀκνός)

ბერიკაცი, რომელიც სიკვდილს წინ აღუდგა. ღმერთებმა იმით დასაჯეს, რომ ქვეყნელში ჩალის ბაწარს წნავს, მეორე ბოლოს ვირი ჭამს და ამ შრომას დასასრული არ აქვს.

➤ ოკნოსის ბაწრის დაწნა – უსასრულო დ მომავებრებელი უამრო შრომა.

### პენელოპე (Πηνελόπη)

ოდისეუსის მეუღლე. გროას ომში ოდისეუსი მაშინ წავიდა, როცა მისი და პენელოპეს ვაჟი – გელემაქოსი პატარა იყო. სახლში დარჩენილი პენელოპე კი ერთგული ცოლი აღმოჩნდა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ელოდა მეუღლეს და ყველა ღონეს ხმარობდა, აბეზარი საქმროების თავიდან მოსაცილებლად. ახალგაზრდა ყმაწვილები დაკინებით ითხოვდნენ, რომ ქალს ერთ-ერთი მათგანი ამოერჩია. ის კი პპირდებოდა, რომ არჩევანს მაშინ გააკეთებდა, როდესაც მამამთილისთვის სუღარის ქსოვას დაამთავრებდა. მაგრამ რასაც დღე ქსოვდა, ღამით არღვევდა.

➤ პენელოპე – ერთგული ცოლის სიმბოლო.

➤ პენელოპეს ჯაფა – დაუსრულებელი შრომა (ზნეობრივი სიწმინდისათვის).



- პენელოპეს საქმროები – თავმჯდომარეობა, მოცლილი მოქმედება უსაქმროები, რომელნიც სხვის ავლადიდებას ანიავებენ და თავი მოაქვთ იმ ღირსებით, რაც არ გააჩნიათ.

### განგალოსი (Γάγγαλος)

ფრიგიის მეფე, მეფის ვაჟი. ოლიმპოსის ხშირი სტუმარი იყო, თუმცა ხან ღმერთებს შპარავდა ნექტარსა და ამბროსიას, ხან ადამიანებს გაანდობდა მეფის საიდუმლოს. ერთხელ ღმერთების გამოცდა განიზარაბა. აინტერესებდა, მართლა ხვდებოდნენ თუ არა ისინი ყველაფერს. ამისათვის საკუთარი შვილი დაკლა და სტუმრად მისულ ღმერთებს მიართვა. ღმერთები მიუხვდნენ, მობეზრდათ განგალოსის ოინების ატანა და შადესში ჩააგდეს. განგალოსი ყელამდე წყალში დგას, ხილით დახუნძლული გოგები მის თავთანაა დახრილი, მას კი შია და სწყურია, მაგრამ როდესაც დაიხრება, წყალი ქრება, ხელს ასწევს და გოგებიც ვემოთ იწევიან.

- განგალოსის განჯვა – ამოო სურვილი, მიზნის მიუწვდომლობა.



## გაკვეთილი № 18

### 1. გრამატიკა

მედსართავ სახელთა ხარისხები

gradus positivus	დადებითი ხარისხი	clarus	ცნობილი
gradus comparativus	შედარებითი ხარისხი	clarius	უფრო ცნობილი
gradus superlativus	აღმატებითი ხარისხი	clarissimus	ყველაზე ცნობილი

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

a dato – ხელმოწერის დღიდან

addenda – დამატება, დანართი

consilio manuque – რჩევითა და ხელის გამართვით

compos mentis – ჯანსაღი (ფხიზელი) გონებით

dictum factum – ითქვა, გაკეთდა i. e. სიტყვა საქმიანი, საქმე სიტყვიანი

### 3. გერმინთა წარმოება: forma – ფორმა; nomen – სახელი

form { ula in } formatia  
 { atia trans }  
 { alis, e de }

nomen { clatura nomin }  
 { clator, oris }  
 { alis, e }  
 { ativus }  
 { atia }

### 4. ღარგობრივი გერმინოლოგია – ქიმიკა

არგონი – ἀργόν „უმოქმედო“

ანალიზი – ἀνάλυσις, ἔσθ „გადაწყვეტა“

ჰელიუმი – ἥλιος „მზე“

ორგანული – ὄργανον „იარაღი“

ატომი – ἄτομος „დაუნაწევრებელი“

ოქსიდი – ὀξύς „მზაფრი, ეანგიანი“

ქლორი – χλωρός „მწვანე“

კატალიზატორი – κατάλυσις, ἔσθ „გაშეება, განადგურება“

ინერტული – inerts, ertis „უმოქმედო“

რეაქცია – reagere „თავიდან ამოძრავება“

ექსპერიმენტი – experimentum „ცდა“

ლაბორატორია, ლაბორანტი – laborare „მუშაობა“

მოლეკულა – molleculus „რბილი, ნაზი“



სულფატი, სულფიდი – sulphur, uris „გოგირდი“  
ვალენტობა – valens, tis „ძლიერი, ჯანმრთელი“  
აზბესტი – ἄσβεστος – უქრობი  
ფოსფორი – φῶς „შუქი“, φῶς „მზილი“<sup>1</sup>

### 5. სენტენციები

Ommes nimium nocet – ყველაფერი გადამეტებული ვნებს  
Montes auri polliceri – ოქროს მთების შეპირება (გერენციუსი)  
Aurum summi materies mali – ოქრო – ყველა უბედურების მიზეზი  
Ignis aurum probet – ოქრო ცეცხლში იწრთობა (სენეკა)  
Non omne, quod nitet (splendet) aurum est – რაც ბრწყინავს ყვე-  
ლაფერი ოქრო არ არის

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

#### ადონისი ("Αδωνις, ინოს)

ხის ქერქისაგან შობილი ადონისი სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ მიცვალებულთა დედოფალ პერსეფონეს გაუგზავნა მარ-  
დახშით. ადონისი უმშვენიერესი ყმაწვილი გაიზარდა. პერსეფონესა  
და აფროდიტეს მოხიბლულნი იყვნენ მისი სილამამით და ყმაწვილს  
დასაკუთრება სურდათ. მათ შორის დაეაზრეს ბრძანებით გადაწყდა:  
ადონისს წელიწადის ერთი მესამედი ქვესკნელში პერსეფონესთან  
უნდა გაეგარებინა, მეორე – დედამიწაზე აფროდიტესთან, დანარჩენი  
დრო კი – მისი სურვილისამებრ მოეხმარა. ადონისი ნადირობის  
გრფიალი იყო და სწორედ მას ემსხვერპლა. არესმა, რომელმაც  
აფროდიტეზე იეჭვიანა, მძვინვარე ტახის სახე მიიღო, თავს დაესხა  
ჭაბუკს და სასიკვდილოდ დაჭრა. ადონისი გამთარში ბუნების მიძინე-  
ბისა და გაზაფხულზე მისი გამოღვიძების სიმბოლოა. თვითონ კი ნაყო-  
ფთა და მცენარეთა ჭკნობისა და აყვავების ღვთაებაა. მის პატივსაცე-  
მად იმართებოდა დღესასწაულები – ადონისიები.

- ადონისი – მლაპრული სილამამის ჭაბუკი. ხშირად ირონი-  
ულადაც.
- ადონისის ბალები – დროებითის, წარმავალის განსახიერება,  
რაც ჭკნება და მალევე ქრება.

<sup>1</sup> ცისკრის ვარსკვლავი, ზეციურ მანათობელთა განსახიერება (ვენერა). იგივე რო-  
მაული ლუციფერი (lux „შუქი“, ferro „ღამაქვს“). შუა საუკუნეებში ლუციფერი  
სატანას სინონიმად იქცა.



### დაფნისი (Δάφνις)

კრეტულ მწყემსთა მშვენიერი ჭაბუკი გმირი, პერმესის ძე, რო-  
მელიც პანთან გაიზარდა. მასთან დაეუფლა სალამურზე დაკერის  
ხელოვნებას. ნახირის ძოვებისას მწყემსურ სიმღერებს თხზავდა. დაფ-  
ნისი ნაძვა ნომიამ შეიყვარა და ჭაბუკმაც პირობა დადო, რომ არას-  
დროს უღალატებდა სატრფოს. მთვრალი დაფნისი ნიმფა ქიმერამ  
შეაყდინა და ნომიამაც დააბრმავა ფიცის გამტეხი. პერმესმა იგი ზეცაში  
აიყვანა, ხოლო იქ, სადაც ჭაბუკი ქვად იქცა, ანკარა წყარო ააჩუხრუხა.

➤ დაფნისი – მშვენიერი ჭაბუკი.

### ნარკისოსი // ნარცისი (Νάρκισσος // Narcissus)

უმშვენიერესი ჭაბუკი, რომელმაც ნიმფა ექოს სიყვარული უარყო.  
შეურაცხყოფილი ნიმფა კლდედ იქცა და მხოლოდ ხმას გამოსცემდა.  
ნარკისოსი ღმერთებმა კი იმით დასაჯეს, რომ ისედაც უგულოს  
მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა და სხვა არავინ მიაჩნდა თავის  
გოლად. ერთხელ წყლის დასალევად დახრილმა ნარკისოსმა საკუთარ  
გამოსახულებას მოჰკრა თვალი და იმდენად მოიხიბლა, რომ  
უსამღვროდ შეუყვარდა თავი. დიდხანს იღარდა ნარკისოსმა და  
დანაღვლიანებულმა დაასრულა სიცოცხლე. ღმერთებმა იგი ყვავილად  
გარდასახეს.

➤ ნარკისოსი (ნარცისი) – უკარება, თავის თავზე ავადმყოფურად  
შეყვარებული ადამიანი.

### ექო (Ἔχω)

ნიმფა ექოს ამპარტავანი ნარკისოსი შეუყვარდა. ჭაბუკმა უარყო  
იგი. შეურაცხყოფილი ნიმფა ისე ჩამოდნა, რომ კლდედ იქცა და მისგან  
მხოლოდ ხმა დარჩა.

➤ ექო – გამოძახილი.



## ბაკვეთილი № 19

### 1. გრამატიკა

ზედსართავ სახელთა სუპლეტური წარმოება

ლათინურ ენაში ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებს სხვადასხვა ფუძისაგან აწარმოებს:

gradus positivus		gradus comparativus	gradus superlativus
bonus, a, um	კარგი	melior, melius	optimus, a, um
malus, a, um	ცუდი	peior, peius	pessimus, a, um
magnus, a, um	დიდი	maior, maius	maximus, a, um
parvus, a, um	პატარა	minor, minus	minimus, a, um
multi, ae, a	მრავალი	plures, plura	plurimi, ae, a

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

carissimo amico – უძვირფასეს მეგობარს

iners negotium – უსაქმო საქმიანობა i. e. ცრუ საქმიანობა

bona mente – კეთილი განზრახვით

bona venia vestra – თქვენის ნებართვით

bono sensu – კარგი გაგებით

### 3. გერმინთა წარმოება: venire – მოსვლა; capere – დაჭერა

pre	} ventia	con	} ceptia
inter		re	
con			

prin	{	ceps <sup>1</sup>
		cipatus <sup>2</sup>
		cipialis
		cipium

ინვენტარი, ავენიუ

რეცეპტი, რეცეპტორი, ოკუპაცია, პრინციპი

<sup>1</sup> რომის რესპუბლიკის ხანაში ის სენატორები, რომლებიც პირველები აძლევდნენ ხმას (მაგ. სციპიონი და პომპეუსი). იმპერიაში კი – იმპერატორის ტიტული.

<sup>2</sup> ძველ რომში ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი სახელმწიფო წყობილება, რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო ზოგი რესპუბლიკური დაწესებულება, მაგრამ ხელისუფლება, ფაქტობრივად, ეკუთვნოდა ერთ პირს – იმპერატორს.



### 4. დარგობრივი ტერმინოლოგია – ტექნიკა

პოლიტექნიკა – πολίτης „მრავალი“, τέχνη „ხელობა“

დინამიკა – δυναμικός „ძალისმიერი“

ჰიდრაულიკა – υδραυλικός „წყლისმიერი“

ტექნოლოგია – τέχνη „ოსტატობა, ხელობა“, λογία „მოძღვრება“

დეტონაცია – detonare „გრგვინვა“

გენერატორი – generator, oris „წარმომშობი“

ინდუსტრია – industria „საქმიანობა“

ინფრასტრუქტურა – infra „ქვეშ“, structura „აგებულება“

ირიგაცია – irrigatio „მორწყვა“

ტრანსფორმატორი – transformare „გარდაქმნა“

კომუნიკაცია – communicatio, onis „ერთი ადგილის მეორესთან დაკავშირება, ცნობის გადაცემა“

### 5. სენტენციები

Bona fama divitiis est potior – კარგი სახელი საუკეთესო სიმდიდრეა

Vulgis pessimus rerum interpres – ბრბო ყველაზე ცუდი მსაჯულია

Melius dictum quam amicam perdere – ნათქვამის დაკარგვა სჯობს

მეგობრის დაკარგვას

Potius mori, quam foedari – სჯობია სიკვდილი, ვიდრე შერცხვენა

Potius sero, quam nunquam – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს (ტიტუს ლივიუსი)

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**ტერმეროსის სასჯელი** (τέρμερος)

შარაგმის ყაჩაღი, რომელიც გამვლელ-გამომვლელს თავს უხეიქავდა. ასევე გაუპო თავი ჰერაკლემ თესალიელ ავაზაკს. ეს მოხდა პესპერიდების ვაშლის ძებნის დროს.

➤ ტერმეროსის სასჯელი – დაუმსახურებელი სასჯელი.

**იაპეტოსი** (Ίαπετός)

ურანოსისა (ზეცა) და გეას (მიწა) შვილი. იაპეტოსი კაცთა მოღვმის მამამთავარია. პრომეთეს, ეპიმეთესის და ატლასის მამა. მისი შვილები სიმბოლურად ასახიერებენ ადამიანთა ძალასა და სისუსტეს, მათ სულიერ სამყაროს: პრომეთემ ადამიანი გამოძერწა, ატლასს ცის თალი უჭირავს, ეპიმეთესი სუსტი და უგუნურია. ოლიმპიური ღმერთე-



ბის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული იაპეტოსი სხვა ტიტანებთან ერთად ტარტაროსშია ჩამწყვდეული.

➤ იაპეტოსივით მოხუცი – სიბერის სინონიმი.

**კრონოსი//სატურნუსი** (Κρόνος // Saturnus)

პირველი თაობის დიდი ღმერთი, ურანოსისა და გეას შვილი. ზევსის, პოსეიდონის, პადესის, დემეტრასა და პერას მამა. გეამ უწინასწარმეტყველა, რომ მასაც შვილი დაამხოდა. შეშინებული კრონოსი თავის შვილებს ყლაპავდა, რომ თავისი ბატონობა უზრუნველყო. მისმა მეუღლე რეამ ცბიერებით იხსნა თავისი შვილები. როდესაც ზევსი შვა, შეშინებულმა რეამ ჩვილი კრეტაზე გადასაღწა. მეუღლეს ჩერებში გახვეული დიდი ქვა მიუტანა. კრონოსმა იმის იმედით გადაყლაპა ქვა, რომ ახალდაბადებულ ვაჟს უსპობდა სამეფო ტახტისათვის მეგობრობის საშუალებას.

იზრდებოდა ზევსი ამაღლეთასა და ნიმფების პაგრონობითა და მზრუნველობით. ხოლო კრონოსისათვის სამაგიეროს მიზღვის დრო რომ დადგა, გეას (ბეიის) ღარიგებით, დაამარცხა მამა და უკანვე ამოანთხევინა თავისი და-ძმა, რომლებმაც მადლიერების ნიშნად უმკროს ძმას მისცეს უმენაისი მმართველობა.

- კრონოსი – გამოჩერჩეკებული, ხავსმოღებული მეფე, ტირანი, რომელიც პატივმოყვარეობის სენით დაბრმავებულა და ძალაუფლებას არ თმობს.
- ἔπι Κρόνῳ – კრონოსის ქამს, უხსოვარ დროში.
- სატურნუსი (პლანეტა) – უბედურების სიმბოლოა.
- სატურნუსის შვილები – მათხოვრები, ბუნწები.

**ოქროს საუკუნე** (χρυσήων γένος)

ბედნიერი დრო, როდესაც ჯერ კიდევ კრონოსი იყო ქვეყნიერების მმართველი. ამ დროს იშენენ და გამრავლდნენ ადამიანები. ოქროს საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო უზრუნველი და უდარდელი ცხოვრება. ჯანმრთელმა ადამიანებმა არ იცოდნენ რა იყო სნეულება, თვით მათი აღსასრულიც გარდასახვა უფრო იყო, ვიდრე სიკვდილი.

ოქროს საუკუნეში მცხოვრებ ადამიანებს არც სმენოდათ რაზე შიშა და მწუხარებაზე. მცირედი შრომითაც კი ბარაქა თავზე გადასდიოდათ.

შემდეგ ადამიანთა ცხოვრება თანდათან გაუარესდა. ოქროს საუკუნე ვერცხლის საუკუნით შეიცვალა, ვერცხლისა – სპილენძის საუკუნით. IV საუკუნეს „გმირთა მოდგმის ხანას“ უწოდებდნენ, რომელსაც რკინის საუკუნე მოსდევდა. ადამიანთა ცხოვრება სულ უკან მიდიოდა.



**ბაკვეთილი № 20**

**1. გრამატიკა**

რაოდენობითი რიცხვითი სახელი – numeralia cardinalia

1	unus, a um	6	sex
2	duo	7	septem
3	tres, tria	8	octo
4	quattuor	9	novem
5	quinque	10	decem

X – 10    L – 50    C – 100 (Centum)    D – 500    M – 1000 (Mille)


LXXX – 80                    CM – 900

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

unus pro multis – ერთი ყველასათვის  
rebus dictantibus – საქმის კარნახით i. e. როგორც მოითხოვს ვითარება

status quo – არსებული მდგომარეობა  
statu quo – მდგომარეობამდე არსებული  
app. / appendix – დანართი, დამატება

**3. ტერმინთა წარმოება:** unus, a, um – ერთი; tres, ia – სამი



<sup>1</sup> „სამი მამაკაცის კავშირი“. ძვ. წ. I საუკუნის 60-იან წლებში კერძო შეთანხმების საფუძველზე სამი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის კავშირი, რომლის მიზანი იყო უმაღლესი ძალაუფლების ხელში ჩაგდება.



#### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – მათემატიკა

არიტმეტიკა – ἀριθμητική „თვლის ხელოვნება“

ლოგარიტიმი – ἀριθμός „რიცხვი“

დიაგრამა – διάγραμμα, τὸς

გეომეტრია – γεωμετρία < γῆ „დედამიწა“, μετρήω „ვზომავ“

თეორემა – θεώρημα, τὸς

კათეტი – κάθετος „შვეული“

დიაგონალი – diagonalis, ε „სწორი ხაზი“

კოეფიციენტი – coefficientis, entis „ხელისშემწყობი“

კალკულატორი – calculator, oris „დამთვლელი“

პროპორცია – proportia „თანაფარდობა“

მოდული – modulus „ზომა“

#### 5. სენგენციები

Duobus certantibus tertius gaudet – როცა ორი დავობს, მესამე ხარობს

Nemo duobus dominis servire potest – არავის შეუძლია ორ ბატონს მსახურობა

Duabus sedere sellis – ორ სკამზე ჯდობა (სენეკა)

Tria verba non potest iungere – სამი სიტყვის გადაბმა არ შეუძლია (სენეკა)

Unus castigabis, centum emendabis – ერთს დასჯი, ასს გამოასწორებ

#### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**აპოლონი** (Ἄπλλων)

ზევისა და ლეტოს შვილი, სინათლის, პოემიის, ხელოვნებისა და მკურნალობის ღვთაება, უძლიერესი და უმშვენიერესი. მუშების წინამძღოლ აპოლონს თვითონვე ჰქონდა ქნარსა და კითარაზე დაკვირისა და სიმღერის ნიჭი.

ზევისაგან მუცლადღებულ ლეტოს ეჭვიანი ჰერა პითონის მეშვეობით სღვენიდა. მძვინვარე ქალღმერთმა დედამიწასაც კი აუკრძალა მშობიარე ქალის მიღება. მაშინ ზევის ბრძანებით ეგეოსის შღვაში კუნძული დელოსი ამოიზიდა, რომელზეც ლეტომ ტყუპები: აპოლონი და არტემისი შვა. მოგვიანებით აპოლონმა მოკლა ურჩხული და იმ ადგილას დელფოს სამისნო დააარსა, სადაც ადამიანები ზევის ნებას შეიგყობდნენ ხოლმე. ასე რომ, აპოლონი მისანთა და წინასწარმეტყველთა ღმერთიცაა. აპოლონი ოლიმპოსზე დიდხანს არ ჩერდებოდა;



უყვარდა დედამიწაზე ჩამოსვლა და ადამიანებთან ურთიერთობა, მოკვდავთა ასულებთან და ნიშნებთან გამიჯნურება.

სინათლისა და სიმღერის, სიჭაბუკისა და სიხარულის ღვთაება აპოლონის სადიდებელი ღღესასწაულები გაზაფხულობით იმართებოდა.

➤ აპოლონი – ახოვანი და მშვენიერი ჰაბუკი.

**დელფო** (Δελφοί)

სამისნო პარნასოსის მთაზე. აპოლონს თავად აურჩევია ადგილი ორაკულის დასაარსებლად (იმ ადგილას, სადაც ურჩხული პითონი მოკლა), რომ ზევის ნება ეუწყებინა ქვეყნისათვის.

დელფო ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში იყო კულტურული ცენტრი. მოგვიანებით კი, უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან აქ დიდებული გაძარი აღუმართავთ. სავაჭრო გზების გასაყარზე მდგარი დელფო მალევე გამხდარა სავაჭრო და საკულტო ცენტრი. თუმცა დელფოს სამისნოს უმთავრესი ფუნქცია მაინც ზევის ღვთაებრივი ნების ხალხისთვის გამჟღავნება ყოფილა. ამბობდნენ, რომ ამ ადგილებში მიწიდან ამოდიოდა ბოლი, რომელიც განსაკუთრებულად მოქმედებდა ადამიანის გონებაზე. ბერძნებმა ეს უცნაური ადგილი „დედამიწის ჭიპად“ მიიჩნიეს. სწორედ აქ წინასწარმეტყველებდა ოქროს სამფეხზე ჩამომჯდარი პითია, რომელიც ღმერთის ნებას აუწყებდა ხალხს. უცნაური ბოლი მას გონებას უბინდავდა და ექსტაზში მყოფი წამოისროდა გაურკვეველ სიტყვებს, რომელთაც შემდგომ ქურუმები მისნობის მსურველთ თავისებურად უმარტავდნენ. ხშირად ეს წინასწარმეტყველება ბუნდოვანი და ორაზროვანი იყო.

დელფოს სამისნო არცერთ ბერძნულ პოლისს არ ეკუთვნოდა. თუმცა ქალაქებს პირობა ჰქონდათ დადებული, რომ გაჭირვების ქამს დაიცავდნენ ამ საკულტო ადგილს. არცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ბერძნები ისე არ მიიღებდნენ, ორაკულისთვის რომ არ ეკითხათ. იმის გამო, რომ მისნობათა უმრავლესობა ხშირად გაურკვეველი იყო, ქურუმები ყველაფერს თავისი სურვილისამებრ განმარტავდნენ. ამიტომ საფიქრებელია, რომ დელფო იყო არა მარტო საკულტო ცენტრი, არამედ იგი მნიშვნელოვან გავლენასაც ახდენდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ოთხ წელიწადში ერთხელ (ისევე როგორც ოლიმპიაში) გარდებოდა საერთო ბერძნული პითიური თამაშები (პითონის სახელთან დაკავშირებით). ოლონდ სპორტულ თამაშებს თან ერთვოდა მუსიკალური შეჯიბრებაც – ღირასა და ფლეიგამე დაკვრა.



### პითია (Πυθία)

დელოფოში აპოლონის ტაძრის ქურუმი ქალი. მისანი, რომლის რჩევის მოსასმენად ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ.

➤ პითია – წინასწარმეტყველი ქალი.

### მარსიასი (Μαρσύας)

ფრიგიელმა მარსიასმა ათენას მიერ გადაგებული კითარა იპოვა. მალე დახელოვდა დაკვრაში და გაამაყებულმა თვით მუსიკის მფარველი ღმერთი, აპოლონიც კი გამოიწვია პაექრობაში.

ღმერთს უარი არ უთქვამს შეჯიბრზე. მხარეებმა პირობა დადეს, რომ გამარჯვებული სასტიკად გაუსწორდებოდა დამარცხებულს. ბუნებრივია, მარსიასი დამარცხდა. პირობის თანახმად, გამარჯვებულმა აპოლონმა მარსიასი სასტიკად დასაჯა: ფეხებით დაკიდა და ცოცხლად გააძრო ტყავი.

მითის ერთი ვერსიის მიხედვით, ღმერთისა და მუსიკოსის პაექრობაზე მსაჯულად მეფე მიდასი მოუწვევიათ, რომელმაც მარსიასს არგუნა გამარჯვება. მიუხედავად ამისა, აპოლონს მაინც დაუსჯია მუსიკოსი, რომელმაც ღმერთთან გაჯიბრება ისურვა. უეციი მსაჯული კი ვირის ყურებით დაუსაჩუქრებია.

### მიდასი (Μίδας)

ფრიგიის მეფე, გორდიასის ძე, რომელმაც დიონისეს მოხუცებულ აღმზრდელს, სილენოსს გულუხვად უმასპინძლა და შემდეგ მთვრალი ბერიკაცი ისევ დიონისეს მიჰგვარა. მაღლიერი ღმერთი ყველაფრის ასრულებას დაჰპირდა მიდასს, რასაც კი იგი ინატრებდა. მეფის სურვილი იყო, რასაც ხელს შეახებდა, ყველაფერი ოქროდ ქცეულიყო. ნაგვრა კი აუხდა, მაგრამ რადგან წყალიც და სასმელიც ოქროდ იქცეოდა ხოლმე, ამიგომ მიდასი მშიერი რჩებოდა და მალევე მიხვდა, რომ დაღუპავდა ნანატრი ოქრო. მაშინ მიდასმა ისევ დიონისეს მიმართა სამველად. ღმერთმაც ურჩია, რომ მდინარეში ებანაეა და ოქროს საფრთხისაგან განიკურნებოდა.

ვირის ყურები აპოლონმა მას შემდეგ უბოძა საჩუქრად მიდასს, რაც მისი და მარსიასის (მოგი ვერსიით პანი) მუსიკალური პაექრობისას მიდასმა მარსიასს მიანიჭა პირველობა. შერცხვენილი მიდასი ყურებს ქედით იფარავდა, რაც არ გამოჰპარვია მის დალაქს, რომელმაც, მართალია, საქვეყნოდ თქმა ვერ გაბედა, მაგრამ მიწა ამოთხარა და შიგ ჩასძახა: „მეფე მიდასს ვირის ყურები აქვსო!“ და მიწა დააყარა. იმ



ადგილას ლერწამი ამოვიდა და დამარხული საიდუმლო ფოთლების შრიალთ მოსდო მთელს ქვეყანას.

➤ მიდასის ყურები – სამარცხენო საჩუქარი, რომელსაც ვინმეს რეგენობისა და უგნურობისათვის მიუღია, თან იმდენად სამარცხენოა, რომ დასამალია, მაგრამ ვერ დამალავ, რადგან მაინც გამოძკრება და გამოჩნდება.

➤ მიდასის სამსჯავრო – უმეცრების ზეიმი.

### არგემისი // დიანა (Ἄρτεμις // Diana)

აპოლონის გყუპისცალი, ბერძენთა მარადქალწული ღვთაება, მონადირეთა და ცხოველთა მფარველი სპეგაკი და სასტიკი ქალღმერთი. შურისმაძიებელია და ამიგომ ხშირად ისრით მუსრავს ადამიანებსა და ცხოველებს. არგემისმა აპოლონთან ერთად დახოცა ქედმაღალი ნიობეს შვილები, რადგან ნიობემ ლეგო შეურაცხპყო. არგემისი მფარველობს მღვაოსნებსა და მწყემსებს. ბუნების წიაღში ყოფნა და ნადირობა სიამეს ჰგვრის და არ უყვარს, როცა სიმშვიდეს ურღვევენ.

აპოლონისაგან განსხვავებით, მწირია მისი ინტერესების სფერო. მართალია, გყუპების სამლოცველოები ერთად იყო ხოლმე, მაგრამ ეფესოსში განსაკუთრებით ძლიერი იყო არგემისის კულტი, შვიდი სასწაულიდან ერთ-ერთი სწორედ არგემისის ტაძარი იყო, რომელიც შემდეგ პეროსტრატემ გადაწვა.

➤ არგემისი – სიქალწულის, უმანკობის სიმბოლო.

### ნიობე (Νιόβη)

თებეს თავმომწონე დედოფალი, რომელიც თავისივე ქედმაღლობის მსხვერპლი გახდა. ნიობემ ღმერთებთან ქიშპობით დაიღუპა თავი. მას 7 ქალი და 7 ვაჟი ჰყავდა და ამიგომ დასცინოდა ქალღმერთ ლეტოს, აპოლონისა და არგემისის დედას, რომელმაც მხოლოდ ორი შვილი შეა და ამაყობდა შვილთა სიმრავლით. მოთმინებიდან გამოსულმა ლეტომ შესჩივლა შვილებს, რომ მოკვდავი ნიობე თავს უტოლებდა და შვილთა სიმრავლით გაამაყებულმა, სიცოცხლეს უმწარებდა. აპოლონმა და არგემისმა ერთიანად ამოუხოცეს შვილები ამპარტავან ნიობეს. დარდმა და ტკივილმა ის ქვად აქცია, მაგრამ ცივი ლოდიც კი გრძნობდა იმ მწუხარებას, რაც ღმერთებმა დაატყვეს თავს, იღვა და მარმარილოს ცრემლები სდიოდა.

➤ ნიობე – მწუხარე დედის, დარღისაგან გაქვავებული ადამიანის განსახიერება.







ესკადრონი – ex quardere „ოთხი კუთხის გაკეთება“  
 ფრონტი – frons, frontis „წინა ხაზი“  
 მაიორი – major, oris „უფროსი“  
 ადიუტანტი – ad-iutare „დახმარება, გვერდით დგომა“  
 ოფიცერი – officium „თანამდებობა“  
 ლეგიონი – legio, onis „ჯარის ნაწილი“  
 გენერალი, გენერალისიმუსი – generalis, e „მთავარი“  
 კაპალერია – caballicare „ცხენი, ცხენის ჭენება“  
 კატაპულტა – catapulta „სასროლი მანქანა“  
 ვეტერანი – veteranus „მოხუცი, გამოცდილი ჯარისკაცი“

### 5. სენტენციები

Vae victis! – ვაი დამარცხებულებს!

Paritur pax bello – მშვიდობა ომით მიიღწევა

Turpe senex miles – საცოდავი სანახავია ბებერი მეომარი (ოვიდიუსი)

Salus populi – suprema lex – ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია (ციცერონი)

Honesta mors turpi vita potior – სახელოვანი სიკვდილი სამარცხვინო სიცოცხლეზე უმჯობესია (ტაციუსი)

### 6. ილიომები, ფრთოსანი გამოთქმები:

**არესი // მარსი** (Ἄρης // Mars)

ომის მრისხანე ღმერთი, მევისა და ჰერას შვილი, ავი და სისხლით გაუმადლარი, რომელსაც ახარებს მხოლოდ ზოცვა-ქლევა, შუბებისა და მუზარადების ქლარუნი, დაჭრილთა კენესის მოსმენა. მუდამ გვერდში უდგანან ერისი – განხეთქილების ქალღმერთი, დეიმოსი (საშინელება) და ფობოსი (შიში). ბერძნებს არ უყვარდათ არესი, ამიტომ მისი სახელობის გაძარი ცოცხალი იყო საბერძნეთში, მისი კულტი კი – ნაკლებად გავრცელებული. სამაგიეროდ რომაელებმა არესი-მარსი ერთ-ერთ უპირველეს ღვთაებად აქციეს, რომაული კალენდრის პირველ თვეს მარსს – მისი სახელი უწოდეს.

- არესის (მარსის) საქმე – ბრძოლა, ომი, ხოცვა-ქლევა.
- არესის (მარსის) შვილები – მეომრები.

**არეოპაგი** (Ἄρειος πᾶγος)

ბორცვი ათენში, სადაც სამსჯავრო მდებარეობდა.



პოსეიდონის ძეს არესის ასული მოსწონებია. არესმა რომ გაიგო, წუვბრალელებად მოკლა ახალგაზრდა. განრისხებულმა პოსეიდონმა მეცხს მკვლელის დასჯა მოსთხოვა. ოლიმპიელთა მთავარმა ღვთაებამ ერთ მალალ ბორცვზე მოიწვია ღმერთები, რომელთა წინაშეც არესი წარსდგა. მოწმე არავინ იყო და ღმერთებმა გაამართლეს იგი. ეს იყო მკვლელობასთან დაკავშირებული პირველი სამსჯავრო, რითაც დასაბამი მიეცა სამსჯავროს – არეოპაგს, სადაც წარჩინებულთა სათათბირო იკრიბებოდა, რომელიც თვალყურს ადევნებდა კანონთა აღსრულებას და შეეძლო თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემა. მოგვიანებით, არეოპაგი მხოლოდ სასამართლოს ფუნქციებს ატარებდა.

- არეოპაგი – სამსჯავრო, სასამართლო.

**ბელონა** (Bellona)

რომაელთა ომის ქალღმერთი, მარსის მეუღლე. მის გაძარში, მარსის მოედანზე, ელჩებს, სარდლებს, საპატიო პირებს სენატის წევრებს ხელებოღნენ. აქვე სრულდებოდა ომის გამოცხადების ცერემონიალი.

- ბელონას მსახური – მეომრები (ირონიულად)

**ამაძონები** (Ἀμαζόνες)

არესისა და ნიმფა ჰარმონიას ასულები, მითიური მებრძოლი ქალები, რომელთაც მძლავრი სამხედრო სამეფო ჰქონდათ. სძაგდათ მამაკაცები და მათ თავიანთ ქვეყანაში არ აჩერებდნენ. მხოლოდ გვარის გასაგრძელებლად მოიწვევდნენ ხოლმე. ახალშობილ ვაჟებს მამებს უგზავნიდნენ, ქალებს კი თვითონ იტოვებდნენ. ამამძონები შეუპოვარი მეომრები იყვნენ. უყვარდათ ლაშქრობა, არბევდნენ ქალაქებს, თავყვანს სცემდნენ არესსა და არტემისს.

- ამამძონები – მამაცი მეომარი ქალები.

**პიროსის გამარჯვება** (Πύρρος)

ისტორიული პირი. მოლოთა ქედმაღალი მეფე (ძვ. წ. 319-272). მას ეგონა, რომ ალექსანდრე მაკედონელივით შეეძლო მსოფლიოს დაპყრობა. მართალია, მისი გამარჯვება საარაკოდ დარჩა, ოღონდ ირონიული შინაარსით. უდავოდ დიდი სარდალი და ელინიზმის ეპოქის დიდი ავანტიურისტი იყო, რომელმაც უზარმაზარი არმია შეკრიბა, დაიპყრო მაკედონია, თესალია და აუსკულუმთან გაიმარჯვა კიდევ, მაგრამ ისე ძვირად დაუჯდა, რომ წარმოსთქვა ისტორიული სიკვდილი: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ერთი მეომარიც აღარ მეყოლება“.

- პიროსის გამარჯვება – დიდი დანაკლისით მოპოვებული გამარჯვება, რაც დამარცხების გოლფასია.



**ბაკვეთილი № 23**

**1. გრამატიკა**

პირის ნაცვალსახელები – pronomen personale

	sing.	pl.
p.p.	ego – მე	nos – ჩვენ
p.s.	tu – შენ	vos – თქვენ

უკუქცევითი ნაცვალსახელი – pronomen reflexivum

nom.	—
gen.	sui – თვითონ
dat.	sibi
acc.	se
abl.	se

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

- noli me tangere – არ შეემხო (ევანგელე)
- eo ipso – სწორედ ამის გამო
- alter ego – მეორე მე (პითაგორა)
- pro et contra – მომხრე და მოწინააღმდეგე
- caput mundi – სამყაროს თავი i. e. სამყაროს ცენტრი, გული. რომის, როგორც მსოფლიო იმპერიის დედაქალაქის დასახელება.

**3. გერმინთა წარმოება: ἀρχή – ძალაუფლება, საწყისი;**

κράτος, εως – ძალაუფლება

μον	} αρχία	γυμναίκο	} κρατία
ბლი		δημο	
ბ		τιμο	
		ბლი	
		ბლი	

ბიუროკრატია

არქიტექტორი

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – პოლიტიკა**

პოლიტიკა – πολις, εως „ქალაქი“

ტირანი – τυραννος „მეფე“



პეგემონი – ἡγεμῶν „ბელადი, მხედართმთავარი“  
 დემაგოგი – δειμαγωγός < δῆμος „ხალხი“, ἄγω „მიმყავს“ – ხალხის წინამძღოლი

რესპუბლიკა – res publica „სახალხო საქმე“

პლემბისციტი – plebiscitum „სახალხო გადაწყვეტილება“

მანდატი – mandatum „დავალება, ბრძანება“

სოციალიზმი – socialis, e „სამოგალოებრივი“

კაპიტალიზმი – caput, itis „თავი“

პროლეტარიატი – proletarius „უპოვარი, ღარიბი“

კონსტიტუცია – constituo, onis „დადგენილება“

პრეზიდენტი – praesidere „წინ ჯდომა“

რეზიდენცია – residentia „ერთ ადგილზე ყოფნა“

დელეგატი – delegatus „გაგზავნილი“

დეპუტატი – deputatus „დანიშნული, გამწესებული“

კოალიცია – coalitio „კავშირი საერთო მიზნისთვის“

ინაუგურაცია – inauguratio „აუსპიციების შემდეგ“ (იხ. გვ. 105)

**5. სენტენციები**

Divide et impera – გათიშე და იბატონე (იმპერიალისტური პოლიტიკის პრინციპი)

Malum consilium est, quod mutari non potest – ცუდია გადაწყვეტილება, რომლის შეცვლაც არ შეიძლება (პუბლიუს სირუსი)

Nec sibi, nec alteri – არც თავისთვის, არც სხვისთვის (ციცერონი)

Ignoscito saepe alteri, nonquam tibi – სხვას ხშირად აპატიე, საკუთარ თავს – არასოდეს (პუბლიუს სირუსი)

Imperare sibi maximum imperium est – საკუთარ თავზე მბრძანებლობა ყველაზე დიდი ძალაუფლებაა (სენეკა)

**6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**მენგორი (Μέντωρ)**

ოდისეუსის მეგობარი და მისი ძის – გელემაქოსის აღმზრდელი. ტროას ომში წასვლის წინ ოდისეუსმა სწორედ მას ჩააბარა სახლი და იჯახი. მენგორიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას: წინ ეღობებოდა გათავებებულ საქმროებს, ზრდიდა გელემაქოსს, უვლიდა სახლს და ა. შ.

➤ მენგორი – მრჩეველი, მოძღვარი. (ირონი) მომაბეზრებელი დამრიგებელი.



➤ მენგორული ტონი – დამრიგებლური (ცოგა აბეზარი) ტონი.

### **ნესტორი** (Νέστωρ)

გამოჩენილი ბერძენი გმირი, პილოსის ბრძენი და ჭკვიანი მეფე. ხანდაზმულმა მონაწილეობა მიიღო ტროას ომში. მგერიც კი პატივს სცემდა დიდსულოვან და ტკბილმოუბარ ნესტორს. მოხუცი მახვილი-თაც ისევე კარგად იბრძოდა, როგორც სიჭყვიით. ყველგან ჭრიდა მისი ბრძნული აზრი და რჩევა, ყველა ენდობოდა და მოკრძალებით იხრიდა თავს მის წინაშე.

➤ ნესტორი – ბრძენი, მჭევრმეტყველი და მამაცი გმირი.

### **ფილოქეტესი** (Φιλοκτήτης)

დიდი ბერძენი მშვილდოსანი. ტროას ომის მონაწილე, რომელმაც 50 მოისარი შეაგროვა და ტროასკენ გაეშურა, მაგრამ გზაში გველმა დაგესლა. ჭრილობა ისე საშინლად ყარდა, რომ ყველას აწუხებდა. ამიტომ მიძინებული ფილოქეტესი ოდისევეს რჩევით კუნძულ ლემნოსზე დაგოვეს.

ფილოქეტესს თვით პერაკლემ არუქა მშვილდ-ისარი, რომელიც მიზანს არ სცდებოდა.

ტროას ომის მეათე წელს, როდესაც ბერძენთა მხედრობა უკვე სულით დაეცა, მისანმა კალქასმა იწინასწარმეტყველა, რომ ტროას ადებას მხოლოდ პერაკლეს ისრებით თუ შეძლებდნენ, ისრები კი ფილოქეტესს ჰქონდა. მაშინ ოდისევესი ჩავიდა კუნძულ ლემნოსზე, ხელში ჩაიგდო პერაკლეს მშვილდ-ისარი, განაწყენებული ფილოქეტესი კი ტროაში გაყოლაზე დაიყოლია და ტროა მართლაც დამარცხდა.

➤ ფილოქეტესი – სწორუბოვარი მოისარი.

### **პატროკლოსი** (Πάτροκλος)

ტროას ომის გმირი, აქილევსის მეგობარი. პატროკლოსი და აქილევსი ბავშვობიდანვე განუყრელი მეგობრები იყვნენ. გმირს ტროას ომშიც კი უყოყმანოდ გაჰყვა პატროკლოსი. აგამემნონთან დაპირისპირების შემდეგ აქილევსი ბერძენებს რომ ჩამოსცილდა, პატროკლოსმაც უარი თქვა ბრძოლაზე. მოგვიანებით, როცა აქაველებს გაუჭირდათ, პატროკლოსმა აქილევსს სთხოვა, რომ მისთვის მაინც მიეცა ბრძოლაში ჩაბმის საშუალება. გმირმაც დართო ნება. აქილევსის საჭურველში პატროკლოსი შიშის მარს სცემდა ტროელებს, თუმცა ტროელებმა გმირმა პეეტორმა სიცოცხლეს გამოასალმა იგი. მეგობრის სიკვდილით თავზარდაცემული აქილევსი შურის საძიებლად ჩაება



ბრძოლაში: მოკლა პეეტორი, ხოლო აქაველებმა მენელაოსის სიმამაცით დაიბრუნეს პატროკლოსის გვაში.

პატროკლოსი არა მარტო აქილევსის მეგობარია, არამედ მისი სიმბოლური განსახიერებაცაა. მამაცი და შეუპოვარი მეომარი, რომელიც პეეტორის ხელითა და აპოლონის დახმარებით მოკლეს. „ილიადაში“ ყველგანაა მინიშნებული, რომ აქილევსსაც იგივე მოეღის. მართლაც, აქილევსი აპოლონის დახმარებით, ოღონდ უკვე პარისის ხელით კვდება, თუმცა ეს ამბავი „ილიადაში“ აღარაა აღწერილი.

➤ პატროკლოსისა და აქილევსის მეგობრობა – სანიმუშო, უანგარო მეგობრობა.

### **პილადესი** (Πυλάδης)

ფოკისის მეფის შვილი, ორესტესის ერთგული მეგობარი.

მამას – აგამემნონის მოკვლის შემდეგ, ელექტრამ პაგარა ძმა – ორესტესი გახიზნა ფოკისში, რათა მკვლელებს ისიც თავიდან არ მოეშორებინათ. პილადესი მუდამ თან ახლდა ორესტესს და გვერდით ედგა ბიფათსა და გაჭირვებაში. ბოლოს კი მეგობრის და – ელექტრა შეერთო ცოლად.

➤ პილადესი – უანგარო, ერთგული მეგობარი.

### **ერთგული აქატესი** (Ἄχατης)

ენეასის მეგობარი და განუყრელი მეგობარი, რომელიც ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა მეგობარს.

➤ ერთგული აქატესი – საიმედო, თავდადებული მეგობარი.



**ბაკვეთილი № 24**

**1. გრამატიკა**

კითხვითი ნაცვალსახელები – pronomen interrogativum

quis? quid? – ვინ? რა?

qui? quae? quod? – რომელი?

qualis? – როგორი?

quantus? – რამდენად დიდი?

მიმართებითი ნაცვალსახელები – pronomen relativum

	sing.	pl.	
m.	qui	qui	ვინც
f.	quae	quae	ვინც
n.	quod	quae	რაც

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

homo { faber – შემოქმედი ადამიანი  
sapiens – გონიერი ადამიანი (ადამიანის, როგორც  
ზოოლოგიური ტიპის სახელწოდება)  
novus<sup>1</sup> – ახალი ადამიანი i. e. მეგიჩარა

ecce homo – აი, ადამიანი

honoris causa – პატივთაგამო i. e. დამსახურებათა გათვალისწინებით

in honorem – პატივისცემით

**3. ტერმინთა წარმოება: regere – მართვა; rex, regis – მეფე; impe-**

rare – მართვა; ἀρχῆς – ძველი

reg { io  
ionalis cor }  
ina pro } rector  
alia di }  
ens, entis }  
imper { ator  
ium  
ativus

<sup>1</sup> ჯერ კიდევ ყველა ასათვის ამოუცნობი ადამიანი. რომში ასე მოიხსენიებდნენ მათ, ვინც თავისი მღაბიო წარმოშობის მიუხედავად მაღალ თანამდებობას იკავებდა. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო ციცერონი.



რეგლამენტი, რეგულარული, რეგულირება, კორექტურა, დირექტივა  
არქეოლოგია, არქაიკა, არქიპელაგი

**4. დარგობრივი ტერმინოლოგია – არქიტექტურა**

არქიტექტურა – ἀρχι „საწყისი“

არქიტექტორი – ἀρχιτέκτων, οὐδος „ხუროთმოძღვარი“

გრაფიკა – γραφική „ფერწერა“

აია სოფია – Ἁγία Σοφία „წმინდა სიბრძნე“

ბაზილიკა – βασιλικός „მეფური“

მონუმენტი – monumentum „ძეგლი“

სკულპტურა – sculptura „ამოჭრა“

სკულპტორი – sculptor, oris „მოქანდაკე“

**5. სენტენციები**

Homo homini lupus est – ადამიანი ადამიანისათვის მგელია (პლატონი)

Homo sum, humani nihil a me alienum puto – ადამიანი ვარ და არა-ფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის (ტერენციუსი)

Homo proponit, sed deus disponit – კაცი ბჭობს, ღმერთი განაგებს

Homines dum docent, discunt – ადამიანები როცა სხვას ასწავლიან, თავადაც სწავლობენ

Hominem quaero – ვეძებ ადამიანს (ლიოგენესი) (იხ. გვ. 148)

**6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**ავგურის ღიმილი (Augur, uris)**

რომაელი ქურუმები, რომლებიც მისნობდნენ ატმოსფერული მოვლენებისა და ღმერთთაგან გამოგზავნილი სხვადასხვა მინიშნებების მიხედვით (გარეულ ცხოველთა შეხვედრა, სხვადასხვა ხმების გამოცემა და ა. შ.). დროთა განმავლობაში მათი წინასწარმეტყველებანი, ძირითადად, ფრინველებს დაუკავშირდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩიგთა ფრენას (აუსპიციას) და მათი ძახილის მიხედვით მისნობდნენ. არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა (არჩევნები, ბრძოლები) ავგურთა რჩევის გარეშე არ იმართებოდა. ისინი დიდი წარმატებით სარგებლობდნენ, ომში ახლდნენ ლაშქარს და თან მიჰყავდათ შინაური ფრინველები, თუმცა გარეულ ფრინველთა ენაც „ესმოდათ“. თუ ყვავი მარცხნიდან დაიჩხავლებდა, გამარჯვების ნიშანი იყო, თუ ფრინველი მარცვალს აკენკავდა, ან წარმატების იმედი უნდა ჰქონოდათ ან მარცხის შიში.



დროთა განმავლობაში ავგურთა მისნობა ფორმალობად იქცა. ცი-ცერონის გადმოცემით, ავგურებს აუსპიციების შესრულების დროს ერთმანეთზე ეყინებოდათ, რადგან თვითონვე არ სჯეროდათ თავი-ანთი წინასწარმეტყველების.

- ავგური – ცრუ, მატყუარა.
- ავგურის ღიმილი – სიცრუის, ტყუილის ნიშანი. როდესაც ტყუილის მთქმელმა კარგად იცის, რომ ცრუობს.

### ვესტალები (Vestales)

ვესტას (პესტას) ქურუმი ქალები, რომლებსაც ირჩევდნენ დიდებული გვარის 6-10 წლამდე გოგონებს შორის. ყოველგვარი მიწიერი-საგან თავისუფალი დედ-მამას აღარ ექვემდებარებოდნენ და ვესტას მსახურებად ითვლებოდნენ. მათი უმთავრესი მოვალეობა ვესტას ტაძარში მარადიული ცეცხლის შენარჩუნება იყო. თუ ჩაუქრებოდათ, რომგი ელოდათ. თუ შეცდებოდნენ და უმანკოებას დაკარგავდნენ, ცოცხლად დაიმარხებოდნენ. მათ სიგყვას სასამართლოზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ გზად სიკვდილმისჯილს შეხვდებოდნენ, დამნაშავეს ათავისუფლებდნენ. 30 წლისანი ტაძარს ტოვებდნენ და გათხოვების უფლება ეძლეოდათ. ქურუმობა ახ. წ. IV საუკუნემდე გრძელდებოდა.

### კალქასი (Κάλχας)

აპოლონის შვილიშვილი, აქაველთა მისანი გროას ომში. ავლისში ქარი რომ აღარ ჩადგა, სწორედ მან იწინასწარმეტყველა: მთავარ-სარდლის ასული იფიგენია მსხვერპლად შეეწირათ და ღმერთებიც ზურგის ქარს მოუვლენდნენ. მანვე იმისა, რომ ომი 10 წელს გაგრძელდებოდა და რომ აქაველთა ბანაკში გაჩენილი ჭირის მიზეზი აპოლონის რისხვა იყო. მაგრამ კალქასს მალე გამოუჩნდა მოქიშპე მოფსოსი, რომელთან პაექრობაშიც დამარცხდა და მალე ჯავრით გარდაიცვალა.

### კასანდრა (Κασσάνδρα)

პრიამოსისა და ჰეკაბეს უმშვენიერესი ასული. თვლიან, რომ მისნობა ან გველმა ასწავლა, ან აპოლონმა წინასწარმეტყველების ნიჭი იმ პირობით უბოძა, რომ შეიყვარებდა. სიგყვის გამტეხი ქალი უარყოფილმა ღმერთმა იმით დასაჯა, რომ მის ნაწინასწარმეტყველებას არავინ უჯერებდა. იგი ვევედრებოდა პარისს, ელენე არ შეერთო ცოლად, არ შეეშვათ გროელებს ხის ცხენი ქალაქში.



გროელთა დამარცხების შემდეგ აგამემნონმა შინ წაიყვანა კასანდრა. მაგრამ სარდლის ორგულმა ცოლმა კლიტემნესტრამ საყვარელ ვეისთოსთან ერთად მოკლა აგამემნონიც და კასანდრაც.

- კასანდრა – გულჩათხრობილი, იდუმალი მისანი.
- კასანდრას მისნობა – აუცილებლად ასახდენი, თუმცა არავის სჯერა ამ წინასწარმეტყველების.

### ჰელენოსი (Ἑλένη)

პრიამოსისა და ჰეკაბეს ვაჟი, კასანდრას ძმა, რომელსაც ფრინველთმისნობისა და წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა. წინასწარ იცოდა გროას ბედი, ამიტომ დათმო მშობლიური ქალაქი და ბერძენთა მხარეს გადავიდა. კალქასმა ბერძენებს უწინასწარმეტყველა, რომ გროას დაღუპვის საიდუმლო მხოლოდ ჰელენოსს ეცოდინებოდა. აქაველებმაც დაატყვევეს იგი და ყველაფერი ათქმევინეს. ჰელენოსმა სამშობლოს უღალატა.

### ტირესიასი (Τειρεσίας)

სახელგანთქმული ბრმა თებელი მისანი, რომელიც ყველა სხვა მოკვდავისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ჯერ მამაკაცი იყო, შემდეგ ქალი, ბოლოს ისევ მამაკაცი გახდა. მითის ერთი ვერსიით, ათენამ დააბრმავა, რადგან ტირესიასმა შიშველი ქალღმერთი იხილა, მეორე ვერსიით კი – პერამ, რომელმაც ზევსთან პაექრობაში ქალღმერთი გაამტყუნა. დაბრმავებულ ტირესიასს ღმერთებმა მისნობის ნიჭი მისცეს და 7 თაობით გაუხანგრძლივეს სიცოცხლე.

### სიბილა (Σιβύλλα)

ნათელმხილველი ქალი, რომელსაც მისნობის ნიჭი ღმერთმა უბოძა. პირველი სიბილა გროელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ მათი რაოდენობა გაიზარდა, თუმცა წინასწარმეტყველ ქალთა სახელისა და ეინაობის დადგენა ძნელდება. ჩანს, სიბილა თავდაპირველად რომელიმე მათგანის საკუთარი სახელი იყო და შემდეგ იქცა მისან ქალთა სამოჯაღო სახელად. სიბილები მხოლოდ ღმერთის ზეშთაგონებით, კრუნჩხვით, ალკინებითა და ექსტაზით მისნობდნენ. ისინი, ძირითადად, ავს წინასწარმეტყველებდნენ. სიბილები მომავალს ისე აღიქვამდნენ, როგორც რაღაც ბუნდოვანსა და გაუგებარს. ხშირად ნამისხები პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის იყო.

ფიქრობდნენ, რომ სიბილები ათას წელს ცხოვრობდნენ. მათი მისნობანი წიგნებად ყოფილა ჩაწერილი („Oracula Sibyllina“), რომელთაც



უამრავი უცნობი ავტორი (ბერძნები, რომაელები, იუდეველები, ქრისტიანები) ქმნიდა.

ერთმა მისანმა ქალმა რომის მეფე ტარკვინიუს ამაყს შესთავაზა ეს წიგნები, მეფე არ დაინტერესდა და ამიგომ სიბილამ ჯერ სამი წიგნი დაწვა, შემდეგ კიდევ სამი. ბოლოს მეფემ, ისევ ავგურთა რჩევით, სრულ საფასურად შეიძინა დარჩენილი სამი წიგნი.

„სიბილას წიგნები“ რომში, აპოლონის ტაძარში ინახებოდა და მხოლოდ სენატის ბრძანებით შეიძლებოდა მათი გამოყენება.

### ორაკული

წმინდა ადგილი, სადაც ღმერთებს რჩევას ეკითხებოდნენ. შემდეგ ორაკულად თვითონ მისნებს და მათ წინასწარმეტყველებებს მოიხსენიებდნენ. მაგ: დელფოში ორაკული იყო პითია.



## ბაკვიტილი № 25

### 1. გრამატიკა

ჩვენებითი ნაცვალსახელები – pronomen demonstrativum

m.	f.	n.	
hic	haec	hoc	ეს
iste	ista	istud	ეგ
ille	illa	illud	ის

კუთვნილებითი ნაცვალსახელები – pronomen possessivum

	sing.	pl.
p.p.	meus, mea, meum – ჩემი	noster, nostra, nostrum – ჩვენი
p.s.	tuus, tua, tuum – შენი	vester, vestra, vestrum – თქვენი
p.t.	suus, sua, suum – მისი	suus, sua, suum – მათი

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

pax { Romana – რომაული მშვიდობა<sup>1</sup>  
huic domui – მშვიდობა სახლსა ამას (ევანგელე)  
tecum – მშვიდობა შენდა  
a limine – ზღურბლიდან i. d. სწრაფად, დაუყოვნებლივ  
vis inertiae – ინერციის ძალა, კონსერვატიზმი

### 3. გერმინთა წარმოება: δῆμος, ἔθνος – ხალხი; λῆθος – ქვა

δῆμος { ὄσ  
αγαγός  
αγαγία  
αρχία  
ισχυρία  
(ο)κρατία  
(ο)γραφία\*

ἔθνος { γένεσις\*  
λογία\*  
γραφία\*

αιπειο }  
νειο } λῆθος\*  
παλαιο }

<sup>1</sup> ასე ერქვა რომაული მმართველობის სისტემას, რომელიც თავის ძალაუფლებას ავრცელებდა დაპყრობილ ქვეყნებზე მოლაპარაკებებითა და მშვიდობიანი შეთანხმებებით.



#### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – ისტორია

ისტორია – ἱστορία „გამოვევითხვე, ვიკვლევ“

არქეოლოგია – ἀρχαίολογία „ძველი“, λογία „მოდღვრება“

არქივი – ἀρχεῖον „მტკიცე სახლი, მაგარი შენობა“

პალეოგრაფია, პალეონტოლოგია, პალეოლითა – παλαιός „ძველი“

ეთნოგრაფია, ეთნოგენები – ἔθνος, εὖς „ხალხი, ერი“, γένεσις „εὖς“ „წარმოშობა“

ავტობიოგრაფია – αὐτός, βίος „მიწა“

პატრიარქატი – πατήρ, πατήρ „მამა“, ἀρχός „მმართველი“

მატრიარქატი – μήτηρ, μητήρ „დედა“, ἀρχός „მმართველი“

ეპოქა – ἐποχή „გაჩერება“

კოლონია – colonia „დასახლება“

ნუმიზმატიკა – numus „მონეტა“

#### 5. სენტენციები

Veni, vidi, vici – მივედი, ვნახე, გავიმარჯვე

Ave, Caesar, morituri te salutant – გაგიმარჯოს კეისარო, სასიკვდილოდ განწირულნი მოგესალმებიან (რომაელ გლადიატორთა მისალმება)

Alea iacta est – წილი ნაყარია

Aut Caesar, aut nihil – ან კეისარი, ან არაფერი

Et tu quoque, Brute? – და შენც, ბრუტუს?!

#### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

##### რუბიკონის გადალახვა<sup>1</sup>

რომში გრიუმივირატის დაშლის შემდეგ დაიბაბა ურთიერთობა გაიუს იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის. სენატშიც დიდი არეულობა იყო. რომში უკვე დადიოდა ჭორები, თითქოსდა კეისარი ომის დაწყებას აპირებდა. იულიუს კეისარი ამ დროს თავის ლეგიონთან ერთად ალპებს გადალმა გალიაში იმყოფებოდა. მან სენატს აუწყა, რომ სურდა, შეენარჩუნებინათ მისთვის პროვინცია (ალპებს გადალმა გალია) ილირიასთან ერთად და ორი ლეგიონი. სენატიდან კი შემოუთვალეს, რომ ჩაებარებინა იარაღი და უფლება-მოვალეობანი

<sup>1</sup> სინამდვილეში რუბიკონი ერთი პატარა მდინარეა და მასზე გადასვლისას მუხლამდე თუ მოგწვდება წყალი. ასე რომ, რეალურად მისი გადალახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.



შემცველისათვის გადაებარებინა. კეისარი არ დაჰყვა სენატის ნებას, პირიქით, ერთპიროვნული მმართველობის ხელში ჩასაგდებად გადალახა მდინარე რუბიკონი, რომელიც გალიის პროვინციებს იტალიისაგან ჰყოფდა და პროვინციის სამღვრის ფუნქციას ასრულებდა. ამით დაარღვია კანონი, რომლის მიხედვითაც პროკონსულს არ ჰქონდა უფლება იარაღითა და ჯარით შესულიყო რომში.

მდინარის გადალახვისას კეისარმა წარმოსთქვა ისტორიული სიტყვები: Alea iacta est „წილი ნაყარია“ და ამით დაიწყო სამოქალაქო ომი. ეს ძვ. წ. 44 წლის 10 იანვარს მოხდა.

➤ რუბიკონის გადალახვა – რთული, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება.

➤ Caesar ad Rubiconem – (კეისარი რუბიკონთან) არჩევანის წინაშე ყოფნა.

##### ყველაფერს ბოლო გამოაჩენს

ეს ფრთოსანი გამოთქმა ეკუთვნის ბრძენ სოლონს და მოხსენიებულია ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტოსის ნაშრომში „ისტორია“.

ათენელი ბრძენი სოლონი ბევრს მოგზაურობდა. ერთხელ სარდელში ჩავიდა მეფე კროისოსთან. მასპინძელმა გულუხვად მიიღო სტუმარი, შემდეგ აურაცხელი ავლადიღება და საგანძური დაათვალიერებინა და ჰკითხა ათენელ სტუმარს, თუ ვინ მიაჩნდა ყველაზე უფრო ბედნიერ ადამიანად. სოლონიმა პირფერობის გარეშე უპასუხა, რომ უბედნიერესად თვლიდა ვინმე გელოს ათენელს, კაცს, რომლის მმართველობის დროსაც მისი ქალაქი ბედნიერად ცხოვრობდა. აგრეთვე ჰყავდა კარგი და კეთილი შვილები, მოესწრო ჯანმრთელ შვილი-შვილებს. ცხოვრობდა უმრუნველად და ცხოვრების აღსასრულიც ბრწყინვალე ჰქონდა – მგერთან გმირული შერკინებისას ბრძოლის ველზე აღესრულა.

კროისოსს არ ეამა მონათხრობი და დაინგერესდა თუ ვინ მიაჩნდა ბრძენ სოლონს ყველაზე ბედნიერად გელოს ათენელის შემდეგ. სოლონიმა ახლა სხვები დაუსახელა და დასძინა, რომ სანამ ადამიანის აღსასრულს არ ნახავდა, ვერ იცყოდა ბედნიერი იყო თუ არა იგი. თვით კროისოსი კი მდიდარიც იყო და სახელგანთქმული მმართველიც, ოღონდ მისი ბედნიერების შესახებ ჯერ ვერაფერს იცყოდა, სანამ არ შეიგეცობდა, რომ კარგად დაასრულა კროისოსმა სიცოცხლე.

სოლონის ამრით, კარგი ბედი ადამიანს იცავდა ბოროტებისა და აჯანყებულობისაგან. ბედნიერად კი ის ესახებოდა, ვინც უბედურებას არ უფრთხობდა, ჰყავდა კარგი შვილები და თვითონაც კარგი გარეგნო-



ბისა იყო. თუ კარგი აღსასრულიც ექნებოდა, ღირსი გახდებოდა, რომ ბედნიერად ჩაეთვალიდა. „ვიდრე კაცი არ აღესრულება, თავი შეიკავებ იმისაგან, რომ ბედნიერი უწოდო“. კროისოსს არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთხრა, ისე გაუშვა. თვითონ კი იფიქრა, ძალზე უმეცარია ის, ვინც აწმყო დიდებას არაღ მიიჩნევს და მხოლოდ მომავალს შესცქერისო.

კროისოსს სოლონის წასვლის შემდეგ დიდი უბედურება დაატყდა თავს: ჯერ შვილი მოუკვდა, შემდეგ სპარსეთზე გალაშქრება რომ გადაწყვიტა, უწინასწარმეტყველეს: თუ სპარსეთის დასაპყრობად წავიდოდა, დიდ სახელმწიფოს დახანგრევდა. ამ რჩევით ძალიან გაიხარა კროისოსმა, რადგან ეგონა, რომ დააქეცდა კიროსის სახელმწიფოს (სპარსეთს), სინამდვილეში კი ამ ომით მისი დიდი სახელმწიფო განადგურდა.

წარსულში ძლევა მოსილი და მდიდარი მეფე ტყვედ ჩავარდა, სპარსეთა მეფე კიროსმა მისი კოცონზე დაწვა ბრძანა. ახლა მოაგონდა კროისოსს სოლონის ნათქვამი და სამჯერ წამოიძახა: „ო, სოლონი!“ კიროსმა თარჯიმნებს სთხოვა ეთარგმნათ, თუ ვის უხმობდა დატყვევებული მეფე. როდესაც ყველაფერი უამბეს, კიროსი დაფიქრდა და ინანა, რომ თვითონაც ადამიანი იყო და სხვა ადამიანი, ერთდროს მავათი ძლიერი და მდიდარი, ცეცხლისთვის უნდა მიეცა.

სპარსეთა მეფემ კოცონის ჩაქრობა ბრძანა.

### დამოკლესის მახვილი (Δαμοκλῆς)

დამოკლესი სირაკუზელ გირან ღიონისიოსთან დაახლოებული პირი იყო. მას ყოველთვის შურდა გირანის სიმდიდრის, ძალაუფლების და ბედნიერების. თქმულების თანახმად, ერთხელ ღიონისიოსმა ბრძანა, რომ დამოკლესი მდიდრულად შეემოსათ, ნელსაცხებლები ეპკურებიანთ და სუფრის თავში გახტვე მოესვენებინათ. გირანმა ნადიმზე საკუთარი ადგილი დაუთმო თავის მოშურნეს და მის თავზე ძუით დაკადა მახვილი, რადგან ერთხელ დამოკლესმა ინაგრა, ნეტავ გირანისათვის მაცხოვრავო, მაგრამ შუა ნადიმში დამოკლესმა შეამჩნია, რომ მის თავთან ძუაზე ჩამოხმული ალესილი მახვილი დაექიდათ. ღიონისიოსმა გაკვირვებულ დამოკლესს აუხსნა, რომ გირანთა სიცოცხლე პეწვებეკიდა და რომ ისინი მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ.

➤ დამოკლესის მახვილი – მოჩვენებითი სიამე, საფრთხე, რომელიც მუდამ თან ახლავს მდიდრულ და ბედნიერ ცხოვრებას.

### სპარტული აღზრდის მეთოდი (Σπάρτη)

სპარტა, იგივე ლაკედემონი, პელოპონესოსის მხარის უძველესი და ყველაზე სახელგანთქმული ქალაქი იყო. სპარტის ძლიერების



საიდუმლო მისი წყობა იყო: სახელმწიფო საომარ ბანაკს ჰგავდა. მოქალაქეებს არაფრის კეთების უფლება არ ჰქონდათ საომარი საქმის გარდა. თვით შრომაც კი მათთვის დიდ სირცხვილად ითვლებოდა. სპარტელებმა პირველებმა ისწავლეს საბრძოლო წყობით სიარული, დისციპლინა კი უმთავრესი იყო.

სპარტაში, როგორც სამხედრო სახელმწიფოში, მხოლოდ ჯანმრთელი ახალი თაობა უნდა გაზრდილიყო. სწორედ ამ მიზეზით პოლისის წინამძღოლები ცდილობდნენ საუკეთესო მეომრები გამოეზარდათ. ახალდაბადებული სპარტელები უხუცესთა საბჭოში მიჰყავდათ. თუ ბავშვი უსუსური და ავადმყოფი იყო, კლავდნენ.

შვიდი წლის ასაკში ბავშვს სახლს ატოვებინებდნენ და თანატოლებთან ერთად ყაზარმაში მიჰყავდათ საცხოვრებლად, სადაც სპარტული ცხოვრების წესს ეცნობოდნენ. მთელი წლის მანძილზე თხლად ჩაცმულნი დადიოდნენ, ეძინათ მაგარ ლერწამზე. წელიწადში ერთხელ კი მიჰყავდათ არტემისის საკურთხეველთან და რომგავდნენ. მათ ხმის ამოუღებლად უნდა გაეძლოთ ტკივილისათვის. ამ დროს ბევრი კვდებოდა კიდევ.

ომში სამზადის მოპოვება რომ არ გასჭირვებოდათ, ახალგაზრდა სპარტელებს ქურდობასაც ასწავლიდნენ. ვისაც დანაშაულზე წაასწრებდნენ, ან თუ ვინმე ხელცარიელი დაბრუნდებოდა, რომგავდნენ.

სპარტელი ყმაწვილები პირველ რიგში საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებოდნენ. ყურადღება ექცეოდა ძალ-ღონის გაწაფვას. მოწინააღმდეგის ცბიერებით დაჯაბნა მისაღებად არ ითვლებოდა.

სპარტელები ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდნენ, რადგან, მათი აზრით, სპარტას სჭირდებოდა მეომარი და არა ათლეტი. მათ ასწავლიდნენ მოხუცთა პატივისცემას, უბრალოებასა და პირდაპირობას. სწორედ ასეთი მკაცრი აღზრდის მეთოდით შეინარჩუნა სპარტამ ძლიერება და გავლენა მეზობელ პოლისებზე.

➤ სპარტული აღზრდის მეთოდი – აღზრდის უმკაცრესი ფორმა.

### Hannibal ad portas – ჰანიბალი ჭიშკართან

მიმის შეძახილი რომში, როდესაც იგებდნენ, რომ კართაგენელთა მხედართმთავარი ჰანიბალი რომისკენ მოდიოდა (ძვ. წ. 211).

➤ ჰანიბალი ჭიშკართან – მოსალოდნელი საფრთხე.

### Ceterum censeo Carthaginem esse delendam – გარდა ამისა, ეთიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს

მარკუს პორციუს კატონი, რომელიც კონსული, რა საკითხთან დაკავშირებითაც არ უნდა გამოსულიყო სენატში, თავის სიტყვას შემდეგ-



ნაირად ამთავრებდა: გარდა ამისა ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს. რადგან თვლიდა, რომ კართაგენი იყო ერთადერთი საფრთხე, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა რომის ძალაუფლებისათვის და გამხდარიყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური კონკურენტი.

➤ გარდა ამისა, ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს – დაუღალავი მოწოდება, დაქინებული შეხსენება.

## ბაკვეთილი № 26

### 1. გრამატიკა

ნაცვალსახელური ზმნიშვლები – adverbium  
ჩვენებითი (Demonstrativum) ურთიერთობითი (Relativum)

ibi	აქ, იქ	ubi	სადაც
ec	აქეთ, იქით	quo	სადაც
ea	იმგვით, იქ	qua	სადაც
inde	აქედან, იქიდან	unde	საიდანაც
tum	მაშინ	cum	როდესაც

კითხვითი (Interrogativum)

ubi?	სად?
quo?	საით?
qua?	საით?
unde?	საიდან?

### 2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები

causa causalis – მიზეზთა მიზეზი

igitur – მაშასადამე

pro memoria – სამახსოვროდ

re vera – სინამდვილეში

alma mater – მკვებავი დედა i. e. უმაღლესი სასწავლებელი

3. გერმინთა წარმოება: domus – სახლი; dominus – ბაგონი; ferre – ტარება; communis – საერთო

dom	{ esticus inans	re-fer	{ atus endum ens, entis
-----	--------------------	--------	-------------------------------

com-mun	{ e ismus icatio
---------	------------------------

კომუნიკე, კომუნა, კომუნალური

### 4. დარგობრივი გერმინოლოგია – სპორტი

ათლეტი – ἀθλητής „შეჯიბრის მონაწილე“

ვიმნასტიკა – γυμναστική „ვეარჯიშობ“

ბიატლონი – წი „ორჯერ“, *δίπλος* „შეჯიბრება, ბრძოლა“  
 აკრობატი – *ἀκροβάτης* „ფეხის წვერებზე მოსიარულე“  
 სტადიონი – *στάδιον* „სიგრძის ერთეული 179 მ“ (იხ. გვ. 154)  
 ჩემპიონი – *campus* „ბრძოლის ველი“  
 სალტო – *saltare* „ხტომა“  
 რეკორდი – *recordare* „გახსენება“  
 ნორმატივი – *norma* „წესი“

### 5. სენტენციები

*Gens una sumus* – ერთი ოჯახი ვართ (ჭადრაკის ფედერაციის დევიზი)

*Citius, altius, fortius* – უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად (თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დევიზი)  
*Aut vincere, aut mori* – ან გამარჯვება, ან სიკვდილი  
*Ubi concordia, ibi victoria* – სადაც თანხმობაა, იქ გამარჯვებაა  
*Victoria curam amat* – გამარჯვებას მრუნვა უყვარს

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

#### ოლიმპოსი (*Ὀλυμπός*)

მთა საბერძნეთში, პიერია – მაკედონია – თესალიის საზღვარზე, ოლიმპიელ ღმერთთა საეანე. ბერძენთა წარმოდგენით, ოლიმპოსზე ზევსის ოქროს სასახლესთან ერთად ჰეფესტოსის მიერ ნაჭედი სხვა ღმერთთა ვერცხლისა და სპილენძის სასახლეებიც იდგა. იქ მარადიული გაზაფხული იყო. ნადიმობდნენ ღმერთები და ნადიმზევე წყვეტდნენ ხალხთა ბედს.

ოლიმპოსი იყო სიმბოლო იმ უზენაესი ღმერთებისა, რომლებმაც სძლიეს ტიტანებს.

➤ ოლიმპოსი – მიუწვდომელი სიმაღლე (უფრო შემოქმედებითი თვალსაზრისით). იხმარებოდა ზევსის მნიშვნელობითაც. მას შეიძლება ირონიული დატვირთვაც ჰქონდეს: ბებერ, უნიჭო მბრძანებელთა კრებული, უმაქნის არისტოკრატია ჯგუფი.

#### ოლიმპიური რელიგია

კლასიკური ბერძნული რელიგია, რომლის სათავეში დგას ღმერთთა ახალი თაობა ზევსის მეთაურობით. მართალია, ყველა ღმერთს შემოიკრებენ სამსჯავროზე, ზევსი ყველაფერს მაინც ერთპიროვნულად წყვეტს. მისი უფლებებით სარგებლობენ დემეტრე, ჰესტია, აპოლონი, ათენა, არესი და არტემისი. ეს არის პოლიტიკური, კულტურული და სულიერი აღმავლობის ეპოქის ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა რელიგია, რომლის მხაგრულ გაამრებასა და ფორმირებას დაეხმოს შეუწყო ხელი პომპროსისა და ჰესიოდეს პოემებმა.

➤ ოლიმპიელები – ღმერთები, რომლებიც ოლიმპოსზე ცხოვრობდნენ.

➤ ოლიმპიური სიმშვიდე – ღვთაებრივი, უშფოთველი, ბრძნული სიმშვიდე.

#### ოლიმპიური ასპარეზობანი (*Ὀλυμπία*)

ოთხ წელიწადში ერთხელ ქალაქ ოლიმპიაში (ელისში) იმართებოდა ოლიმპიური ასპარეზობანი, სადაც მთელი ბერძნული სამყარო იკრიბებოდა, რათა მონაწილეობა მიეღო პანელინურ (საყოველთაო) ბერძნულ თამაშებში. სხვა დროს ყოველ ბერძენს თავი მხოლოდ საკუთარი პოლისის მოქალაქედ მიაჩნდა, რომელსაც მუდმივად ომი და შუღლი ჰქონდა მეზობელ პოლისებთან. უკვე ანტიკურ ეპოქაში ოლიმპიური თამაშები ცნობილი და პოპულარული ყოფილა. ძვ. წ. VII საუკუნინიდან ოლიმპიური ასპარეზობანი რეგულარულად გარდებოდა.

თავდაპირველად ჰერაკლემ ზევსის პატივსაცემად დააწესა ეგლით შეჯიბრი, რომელსაც შემდგომ დაემატა კრივი, სირბილი, ჭიდაობა, ჯირითი, ხუთჭიდი და სხვ. პელოფსის ხსოვნის პატივსაცემად და ავგიასზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწესებულ (ან შეიძლება განახლებულ) ასპარეზობაში ჰერაკლემ იღებდა მონაწილეობას და იმარჯვებდა კიდევ. თამაშები 5 დღე გრძელდებოდა. ოლიმპიური თამაშები საბერძნეთის სპორტული ცხოვრების, მოგადად მისი კულტურის ზეიმად იქცა. სულ ცნობილია 293 ოლიმპიადა (ძვ. წ. 776 – ახ. წ. 395).

ოლიმპიური თამაშები ზევსის პატივსაცემად იმართებოდა. ჯილდო მხოლოდ და მხოლოდ ზეთისხილის რგოთაგან დაზმადებული გეირგვინი იყო. თუმცა ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებული ღმერთის რჩეული იყო. მის სადიდებლად იმართებოდა ნადიმები, დღესასწაულები, აღმართებოდა ქანდაკებები, იქმნებოდა ლექსები და სიმღერები.

ამ თამაშებზე დასწრება ქალებს აკრძალული ჰქონდათ, რადგან ათლეტები შიშელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცნობილია, რომ ქალი, ვინმე ფერენიკე, სტადიონზე შეპარულა. ხოლო როცა მისი იქ ყოფნის ამბავი გამოამჟღავნებულა, ფერენიკე სასწაულებრივად გადარჩენია დასჯას, რადგან მისი ვაჟი ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარა.

1894 წელს პარიზში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ განახლებულიყო ოლიმპიური ასპარეზობანი, რომელშიც უკვე მონაწილეობას მიიღებდნენ მთელი მსოფლიოს სპორტსმენები. მართლაც, 1896 წელს ათენში განახლდა ბაფხულის ოლიმპიური თამაშობანი.

### **მარათონი<sup>1</sup>** (Μαραθών)

სპარსელთა და ათენელთა ბრძოლის ადგილი, სოფელი და ველი ატიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ძვ. წ. 490 წელს მილტიადესმა მცირე ჯარით გაანადგურა სპარსთა უდიდესი არმია. გამარჯვებით გახარებულმა მხედართმთავარმა მაცნე აფრინა მშობლიურ მხარეში, აბჯრით აღჭურვილმა ფიდიპიდესმა 42 კილომეტრის გარბენის შემდეგ მიაღწია თავისიანებთან და შესძახა: „გავიმარჯვეთ“. ამის შემდეგ კი უსულოდ დაეცა მიწაზე.

### **ამიკოსი** (Άμικος)

პოსეიდონის ვაჟი და ბებრიკთა მეფე, გამოცდილი მოკრივე, რომელიც საჩხუბრად იწვევდა ყველას, ვინც კი მის ქვეყანაში სტუმრად ჩავიდოდა. საზარელი ძალის პაგრონმა ბევრს მოუსწრაფა სიცოცხლე. კოლხეთისაკენ მიმავალი არგონავტებიც კი გამოიწვია საჩხუბრად. არგონავტი პოლიდეკესი ჩაება შეჯიბრში, ხანგრძლივი შერკინების შემდეგ კეფაში ჩაარგყა მუშტი და სიცოცხლეს გამოასალმა ამიკოსი.

➤ ამიკოსი – დაუნდობელი მოკრივე, არასტუმართმოყვარე ბარბაროსი.

### **მილონი** (Μίλων)

სახელოვანი ძალოსანი, რომელმაც ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ ასპარეზობაში და მრავალჯერ გაიმარჯვა სხვა ეროვნულ ასპარეზობებზე. ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში.

საშინელი აღსასრული ჰქონია მილონს: შეშის საჭრელად წასულა უღრან ტყეში, უზარმაზარი მორი სოლით გაუპია და როცა ხელით გახლეჩას ლამობდა, სოლი ამოვარდნილა და ხელები მორში ჩარჩენია. რამდენიმე დღის შიმშილის შემდეგ გარეულ ნადირებს შეუჭამიათ გმირი.

➤ მილონი – გოლიათი, საარაკო ღონის კაცი.

<sup>1</sup> მარათონული სირბილი 1896 წლიდან ოლიმპიურ ასპარეზობათა ერთ-ერთი სახეობა გახდა.

### **ნიკე** (Νίκη)

გამარჯვების ქალღმერთი, რომელიც მფარველობდა არა მხოლოდ სარდლებსა და ჯარისკაცებს, არამედ ხელოვანებსაც. მუდამ თან ახლდა ბევრსა და ათენას.

ნიკე ლამაზი და ლაღი ქალღმერთია, ხელში პალმის რტოთი და თავზე გვირგვინით, ოლიმპოსიდან მოაქვს გამარჯვება სამართლიან ომში და წარმატება ღირსეულთათვის სპორტულ შეჯიბრში.

➤ ნიკე – გამარჯვების სიმბოლო

### **ვიქტორია** (Victoria)

რომაელთა ქალღმერთი. (იგივე ბერძენთა ნიკე.) გამარჯვებული სარდლები მაღლობის ნიშნად ვიქტორიას ქანდაკებას დგამდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სამართლიანი გამარჯვების ქალღმერთია და არა უაზრო ექსპანსიისა. მისი გამოსახულება ხშირად ამშვენებდა გემებს, რელიეფებს, ფრესკებს, ამოკვიფრული იყო მონეტებზეც.

P. S. მაგელანის ერთადერთ გადარჩენილ გემს „ვიქტორია“ ერქვა.

➤ ვიქტორია – გამარჯვების სიმბოლო.



**გაკვეთილი № 27**

**1. გრამატიკა**

სინტაქსი

კავშირი „და“ et, que

Petrus et Maria – პეტრე და მარია

que – ენკლიტიკური კავშირი, რომელიც უფრო ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ (სინონიმებს ან ანტონიმებს) ცნებებს აერთიანებს. Terra marique – ხმელეთსა და ზღვამდე

უარყოფითი ნაცვალსახელი – Pronomen negativum

nomo	არავინ
nihil	არაფერი
nullus, a, um	არცერთი

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

spir. v. / spiritus vini – ღვინის სპირტი

aqua destillata – გამოსხილი წყალი

vice versa – პირიქით

ad personam – პირადად

edamus, bibamus, gaudeamus! – ვჭამოთ, დავლიოთ, გავიხაროთ!

**3. გერმინთა წარმოება:** γραφία – წერა: γράμμα – ასო

* εἰκασ(ο)	} γραφία	* κρυπτό	} γράμμα
* ἀγίο		* ἀνά	
τοπο		* διά	
γῆα		ἐπί	
* ἔθιο		πρό	
* παλαιο		* μισό	
βιβλιο		* τηλέ	
ὄρθο			
καλλι			
* τυπο			
* στενο			

**4. დარგობრივი გერმინოლოგია** – კულინარია  
 გასტრონომია – γαστήρ, γαστρός „კუჭი, მუცელი“  
 სტერილიზაცია – sterilis, e „უნაყოფო, ცარიელი“



კონსისტენცია – consistentia „შემაღვენლობა“

კონსერვი – conservare „შენახვა“

კომპონენტი – componens, entis „ერთად დადება“

სალათი, სალამი – sal, salire „მარილი, დამარილება“

პორცია – portio, onis „ნაწილი“

დესერტი – deservare „მიტოვება“

დესტილაცია – destillatio, onis „წვეთა“

ვეგეტარიანელი – vegetalis, e „მაცოცხლებელი“

მარილი – mare „ზღვა“

**5. სენტენციები**

Ab ovo usque ad mala – კვერცხიდან ვაშლამდე (სადილი რომაელთათვის კვერცხით იწყებოდა და ვაშლით მთავრდებოდა)

Ubi mel, ibi fel – სადაც თაფლია, იქნაღველიცაა

Sero venientibus – ossa – გვიან მოსულებს – ძვლები

In vino veritas – ღვინოშია ჭეშმარიტება i. e. მთვრალს ყველაფერი ენაზე ადგას

Oportet esse, ut vivas, non vivere, ut edas – საჭიროა ჭამო, რომ იცხოვრო და არა იცხოვრო იმისათვის, რომ ჭამო

Se quis amat pisces, debet sua crura maderе – ვისაც თევზი უყვარს, ფეხების წყალში დასველება უნდა უყვარდეს

Discordiae malum – განხეთქილების ვაშლი

**6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**განხეთქილების ვაშლი**

ოქროს ვაშლი წარწერით „უმშვენიერეს“, რომელიც ერისმა შეაგდო პელევსისა და თეგისის ქორწილში. პარისმა აფროდიტე დაასახელა უმშვენიერეს ქალღმერთად, აფროდიტემ კი, დაპირებისამებრ, ულაშაშვსი ქალი – ელენე მოაგაცებინა. რასაც მოჰყვა დიდი განხეთქილება და გროას ომი.

> განხეთქილების ვაშლი – დავის, მუღლის, უთანხმოების მიზეზი, ომის საბაბი.

**ლუკულუსის ღვინი (Lucullus Lucius Lucinius)**

ლუკულუს ლუკიუს ლუკინიუსი (ძვ. წ. 117-56) რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იბრძოდა მითრის დატეს VI წინააღმდეგ. განთქმული იყო სიმდიდრითა და ფუფუნების



სიყვარულით. რომი დაამშვენა ულამაზესი ბალებითა და ბრწყინვალე სასახლეებით. ლუკულუსი თავისი დროის უმდიდრეს ადაშიანად ითვლებოდა და თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ აწყობდა არნახულ ლხინებსა და ნადიმებს.

➤ ლუკულუსის ლხინი – სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამორჩეული ლხინი.

### ტრიმალქიონის ლხინი (Cena Trimalchionis)

„ტრიმალქიონის ლხინი“ რომაელი მწერლის, პეტრონიუსის „სატიკონის“ ერთ-ერთი ძირითადი ეპიზოდია. „სატიკონში“ ასახულია ახ. წ. I საუკუნეში საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, როდესაც გააზაგებული და ახლადფეხადგმული ფენა ცდილობდა უმტკივნეულოდ ჩანაცვლებოდა ძველ არისტოკრატებს. ახალი ძალები აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალურ და სახელმწიფო საქმეებში, თუმცა მდაბიური წარმომავლობა დაღს ასვამდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებას: უგემოვნება, ეგვიპტის უცოდინრობა და გაუნათლებლობა გამოსჭვიოდა მათ მდიდრულ ცხოვრების სტილში.

„ტრიმალქიონის ლხინის“ ძირითადი პერსონაჟი სირიელი მონაა, რომელმაც გააზაგების შემდეგ, სარფიანი გარიგების წყალობით, სავაჭრო სრიკებით მოახერხა გამდიდრება. გაუნათლებელ ხომი novus-ს სიცოცხლეშივე მოუგონებია ეპიტაფია: „მან, მდაბიო ხალხთა წრიდან გამოსულმა, დატოვა 30 მილიონი სესტერციუსი და ცხოვრებაში არ მოუსმენია ფილოსოფოსთათვის“.

ტრიმალქიონმა თავის სასახლეში ნადიმი გამართა და სტუმრად მოიწვია თავისივე წრის გააზაგებული მონები. მასპინძელიცა და სტუმრებიც მდაბიონი, გაუნათლებელი, შემდუღული გემოვნებისა და ცრურწმენებით სავსენი იყვნენ (მაგ. სტუმრად მისული აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა შესულიყო შენობაში), თუმცა დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას ამქადაგებდნენ ცხოვრებისეულ საკითხებში.

სასახლეში მისული სტუმრები გაოცებულნი იყვნენ სიმდიდრითა და მასპინძლის უგემოვნობით. შესასვლელში დიდ ოქროს გალიაში ყვავი იყო გამომწყვდეული, რომელიც სტუმრებს ჩხავილით ესალმებოდა. კედლებზე სურათებში ასახული იყო ტრიმალქიონის ბიოგრაფიის კვლევებზე სურათებში ასახული იყო ტრიმალქიონის ბიოგრაფიის ძირითადი დეტალები და ამასთან ერთად გამოსახული იყო მთვარე და პლანეტები, ცხრილი მასპინძლის ბედნიერი თუ უბედური დღეებისა. სასახლე სავსე იყო ღმერთების ოქროს და მარმარილოს ქანდაკებებით. ეგვიპტის არმცოდნე მასპინძელი სტუმრებს ალოდინებდა, თვითონ კი ამ დროს მონებთან ბურთს თამაშობდა.



არანაკლებ სასაცილო იყო ის კერძები, რომლებიც სტუმრებს მიართვეს. ჯერ ბრინჯაოს სახედარი შემოაგორეს, რომელსაც ერთ მხარეს თეთრი, მეორე მხარეს კი შავი გეთისხილის ჯამები ეკიდა. ზურგზე ელო კერძი, რომელზეც მასპინძლის სახელის ასოები იყო გამოყვანილი. შემდეგ შემოიგანეს ფარშევანგის კვერცხები, საჭმელი ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით იყო გაწყობილი. მაგ: ვერძის ქვეშ იყო ცხერის ხორცი და ა. შ. სტუმრებს ხელებს საუკეთესო ღვინით აბანინებდნენ. თუკი ვინმეს ვერცხლის ჭურჭელი შემთხვევით ძირს დაუვარდებოდა, პირდაპირ ნაგავში ყრიდნენ. ამ მდიდრულ, მაგრამ უგემოვნო სუფრას არც მონათა მომღერალი გუნდი აკლდა. უმრდელი ტრიმალქიონი კი მასპინძლობის ნაცვლად დროდადრო ისევ ბურთით ან ოქროს კამათლით ირთობდა თავს.

➤ ტრიმალქიონი – არარაობიდან აღმეფეული კაცი.

➤ ტრიმალქიონის ლხინი – უგემოვნობის, უმრდელობის ზემო, როდესაც ეთიკისა და ეგვიპტის წესების არცოდნა ხელს არ უშლის მდიდარ ადაშიანს თავი მოიწონოს საზოგადოებაში ახლადდამკვიდრებული ადგილით.

### ნექტარი (νέκταρ) და ამბროსია (ἀμβροσία)

ნექტარი ღმერთების სასმელი იყო, რაც მათ უკვდავებასა და მარადიულ სიჭაბუკეს ანიჭებდა. ღვთაებრივი საკვები ამბროსია კი ღმერთებს უკვდავებასა და სინორჩეს უნარჩუნებდა. ნექტარი და ამბროსია გვამსაც კი იცავდა ხრწნისაგან.

➤ ნექტარი – ტკბილი სასმელის სინონიმი.

➤ ამბროსია – უკვდავების მომნიჭებელი.

### განიმედესი (Γανιμηδης)

მოკვდავთა შორის ულამაზესი ყმაწვილი. გროას მეფის, ლაომედონის ვაჟი, რომელიც მეფემა ოლიმპოსზე გაიტაცა, მერიქიფედ და ამბროსიის მიწოდებლად გაიხადა. უმუნავსმა მბრძანებელმა განიმედეს მარადიული სიჭაბუკე მიანიჭა.

➤ განიმედესი – ხუმრობით უწოდებენ ოფიციატს.

### ჰეპე (Ἥβη)

ახალგაზრდობის ქალღმერთი, ზევსისა და ჰერას ასული, რომელიც განიმედესთან ერთად აწვდიდა უკვდავ ღმერთებს ნექტარსა და ამბროსიას.



**ბაკვეთილი № 28**

**1. გრაზატიკა**

წინდებულები – praepositio

a (ab)	+ abl.	-გან, -დან, მიერ
ad	+ acc.	-თან, -მდე, -კენ, -თვის
e (ex)	+ abl.	-გან, -დან
de	+ abl.	შესახებ, მიხედვით, გამო, -გან
per	+ acc.	გავლით, -ით, -ზე, გამო, მიზეზით

ab oppido venio – ქალაქიდან მოუდივარ  
 absum a patria – შორს ვარ სამშობლოდან  
 ad medicum venio – ექიმთან მივდივარ  
 ad Romam – რომთან ახლოს


cum წინდებული abl.-ში პირისა და უკუქცევით ნაცვალსახელებთან

sing.	pl.
mecum – ჩემთან ერთად	nobiscum – ჩვენთან ერთად
tecum – შენთან ერთად	vobiscum – თქვენთან ერთად
secum – მასთან ერთად	secum – მათთან ერთად

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

vademecum – იარე ჩემთან ერთად (პორტაგული ცნობარების გრა-  
 დიციული დასახელება)  
 vade in pace – მშვიდობით იარე  
 pro mihi – ჩემთვის  
 in brevi – მოკლედ  
 in toto – მთლიანად

**3. გერმინთა წარმოება:** caput, itis – თავი; spirare – სუნთქვა; para-  
 tus – მზა



**4. დარგობრივი გერმინოლოგია – კოსმეტიკა**

კოსმეტიკა – κοσμηα „ვერთაფ“  
 არომატი – ἄρωμα, τος „სუნი“  
 დიადემა – διάδημα, τος „სარგყელი“  
 ფასონი – factio, onis „ნაკეთობა“  
 ქესტი – gestus „სხეულის მდგომარეობა“  
 მოდელი – modus „ზომა“  
 მანიკური – manus „ხელი“, curare „მოვლა“  
 პედიკური – pes, pedis „ფეხი“, curare „მოვლა“  
 პომადა – pomium „ხეხილი“  
 ბალზამი – βάλαμον  
 სტილი – stilya „საწერი კალამი“

**5. სენგენციები**

Nulla regula sine exceptione – არ არსებობს წესი გამონაკლისის გა-  
 რეშე

Tunica proprior pallio est – ტუნიკა უფრო ახლოს არის განთან,  
 ვიდრე მოსასხამი (პლავეტუსი)

Vestis virum facit – განსაცემელი ქმნის ადამიანს

Temporis filia veritas – ჭეშმარიტება დროის შვილია (ავლუს  
 გელიუსი)

Cito arescit lacrima – ცრემლი სწრაფად შრება (ციცერონი)

**6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები**

**ოიდიპოსი** (Οιδίπους)

ლაიოსისა და იოკასტეს ძე, რომელმაც შეეცდომით მოკლა მამა და  
 ცოლად შეირთო დედა. როდესაც ღმერთებმა მისი დანაშაული გა-  
 მოააშკარავეს, დედამ თავი ჩამოიხრჩო.

ამ მითზე მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა, თუმცა  
 შითის დამუშავების თვალსაზრისით, უნივერსალური მაინც სოფოკ-  
 ლეს „ოიდიპოს მეფეა“.

თებეს მეფეს ორაკულმა უწინასწარმეგყველა, რომ ღვიძლი შვილი  
 მოკლავდა. ამ მისნობით დაშინებულმა ლაიოსმა ახალშობილ ვაჟს  
 ფეხები შეუკრა და გყეში მისი ეულად დაგოვება ბრძანა. ბავშვი მწყემ-  
 სებმა იპოვეს და მეზობელ ქალაქ კორინთოსის უშვილო მეფე-  
 დედოფალს მიჰგვარეს.

ერთხელ მოზრდილ ოიდიპოსს ერთმა კორინთოსელმა მიაძახა,  
 რომ იგი მამის მკვლეელი გახდებოდა. საშინელი დანაშაულის თავიდან



ასაცილებლად ოიდიპოსმა დაგოვა კორინთოსი, რომელიც თავისი მშობლიური ქალაქი ეგონა და დელფოში გაეშურა, რათა ორაკულისაგან თავისი ბედისწერა გაეგო. მისანმაც დაუდასტურა, რომ იგი მამას მოკლავდა და თან დედას შეერთავდა ცოლად. ოიდიპოსმა საბოლოოდ გადაწყვიტა სხვა მხარეში გახიზვნა.

ბედისწერის თავიდან აცილების ცდას ისევ ბედისწერის ასრულება მოჰყვა – გზად მიმავალ ოიდიპოსს სამეფო ეგლი შემოხვდა. მეეტლის ბრძანება, რომ გზიდან ჩამოცსლოდა, იწყინა უფლისწულმა, გზა არ დაუთმო და ისარი ჩასცა მოხუცებულს, რომელიც სინამდვილეში თებეს მეფე ანუ მისი მამა ყოფილა, თან მეფის მხლებლებიც დახოცა, თვითონ კი გზა განაგრძო.

ქალაქ თებესთან საზარელი სფინქსი იჯდა, რომელიც გამველ-გამომველს გამოცანას აძლევდა. ხოლო თუ ვინმე სწორ პასუხს გასცემდა, სფინქსი უნდა გაფრენილიყო და თავი დაენებებინა ქალაქისათვის. ოიდიპოსმა გამოიცნო გამოცანა და მადლიერმა ხალხმა თებეს მეფობა ჩააბარა, რადგან კანონიერი მეფე ცოგა ხნის წინ ვიღაც ავაზაკს მოეკლა გზაზე, თან ცოლად შერთეს ახალდაქვრივებული დედოფალი.

ახლა საზარელი წინასწარმეტყველება, მაგრამ მალე აეხადა ფარდა სიმართლეს: იოკასტემ, ოიდიპოსის დედამ და მეუღლემ, თავი ჩამოიხრჩო, თვით ოიდიპოსმა კი თვალები დაითხარა და დაგოვა ქალაქი თებე.

ოიდიპოსი ადამიანის ჭეშმარიტი სახეა, ცნობისმოყვარე და ქედმაღალი, ბრძენი და უმწეო. იგი ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა, რომელსაც შესწევს ძალა, რომ უდიდესი ტრაგედიის შემდეგაც იტვირთოს დანაშაული, რომელიც შეგნებულად არ ჩაუდენია, თავის დასჯით გამოისყიდოს ცოლვა და განიწმინდოს.

- ოიდიპოსის კომპლექსი – ფსიქოანალიზის დამაარსებლის, მიგ-მუნდ ფროიდის მიერ შემოგანილი ცნება, რომლის საფუძველადაც გააზრებულია მითი ოიდიპოსის მიერ მამის მოკვლისა და დედის ცოლად შერთვის მოტივი.

### სფინქსი (Σφίγξ)

ფრთოსანი ურჩხული, ექიდნესა და გიფონის შვილი. სახე და მკერდი ქალისა ჰქონდა, ლომის სხეულზე კი ფრთები ესხა. სფინქსი თებეს შესასვლელში კლდეზე იჯდა და გამველ-გამომველს გამოცანას ეუბნებოდა. ვინც ვერ უპასუხებდა, გლევდა და ჭამდა. მოსახლეობა ძრწოდა და აზბობდა, რომ ვინც ამ საშინელი დემონისაგან



გაათავისუფლებდა ქალაქს, მეფედ დაისვამდა. თებესაკენ მიმავალ ოიდიპოსსაც ჰკითხა სფინქსმა, თუ ვინ იყო ის სულიერი, რომელიც დილით ოთხ ფეხზე დადიოდა, შუადღისას – ორზე, საღამოს კი – სამზე. ოიდიპოსმა გამოიცნო და თქვა, რომ ასეთი სულიერი ადამიანი იყო. მითის თანახმად, დამარცხებული სფინქსი კლდიდან გადაიჩეხა, თებელებმა კი ოიდიპოსი გაამეფეს (მგულავი სფინქსი იმ ჭირის განსახიერება შეიძლება ყოფილიყო, რომელიც ასე ხშირად მძვინვარებდა ქალაქ თებეში).

- სფინქსი – გამოუცნობი, იდუმალი, უცნაური.

### კადმოსის გამარჯვება (Κάδμος)

გამოთქმა ეფუძნება კადმოციემას, რომლის მიხედვითაც, თებეს პირველობისთვის იბრძოდნენ ქალაქის დამაარსებლის, კადმოსის შთამომავლები, კერძოდ, ოიდიპოსის ვაჟები: პოლინიკესი და ეგეოკლესი. მამის – ოიდიპოსის სასწაულებრივი გაუჩინარების შემდეგ ორივე ძმას თებეს მეთაურობა მოუნდა. თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ ერთ წელს ერთი იმეფებდა, მეორე წელს – მეორე. მაგრამ პირობა მალევე დაირღვა, რის გამოც ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მათ შორის სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად დაიღუპა პოლინიკესი, ეგეოკლესი კი მცირე ხნით გამეფდა თებეში.

- კადმოსის გამარჯვება – გამარჯვება, რომელიც უდიდესი სისხლისა და დანაკლისის ფასადაა მოპოვებული და დამარცხების გოლფასია. გამარჯვება, რომელიც ორივე მხარისთვის დამღუპველია.

### პარმონია (Ἀρμονία)

არესისა და აფროდიტეს ასული, თებეს მეფე კადმოსის ულამაზესი და ერთგული ცოლი. ღმერთებმა პარმონიას ქორწილზე ჰეფესტოს მიერ ნაჭედი ყელსაბაში და პაეროვანი პეპლოსი მიართვეს. პარმონიასაც და მის შთამომავლებსაც, ვისაც კი მემკვიდრეობით ერგო ეს განძი, თავს უამრავი უბედურება დაატყდათ. ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ ეს საბედისწერო საჩუქრები იყო და დელფოს სამისნოს შესწირეს იგი.

- პარმონიას საჩუქრები – განძი, რომელსაც დისპარმონია შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში (სიბრძნე კი ისაა, რომ ადამიანებს ამქვეყნიური მშვილობა და პარმონია ესაჭიროებათ და თუ ეს არაა, მშვენიერი სამკაულიც კი შეიძლება უბედურების მომტანი გახდეს. პარმონიას საჩუქარი საბედისწერო ძღვენია).

**ბაკვეთილი № 29**

**1. გრამატიკა**

აწმყო დრო, ვნებითი გვარი, თხრობითი კილო  
praesens indicativi pasivi

ვნებითი გვარის ნიშნები inf-ri

p.p.	-or, -r	-mur
p.s.	-ris	-mini
p.t.	-tur	-ntur

I უღლება  
inf. ama-ri

p.p.	am-or	ama-mur
p.s.	ama-ris	ama-mini
p.t.	ama-tur	ama-ntur


II უღლება  
inf. doce-ri

p.p.	doce-or	doce-mur
p.s.	doce-ris	doce-mini
p.t.	doce-tur	doce-ntur

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

- cito – სწრაფად
- add. / adde – მიუმატე
- m. / misce – შეურიე
- v. / verte – გადააბრუნე
- habitus – შესახედაობა, იერი

**3. გერმინთა წარმოება:** χείρ, χείρς – ხელი; ἰατρεία – მეურ-



παιδ } ἰατρός  
ψυχ }

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – მედიცინა**  
ქირურგი – χειρουργός „ხელით მომუშავე“

- აფთიაქი – ἀποθήκη // apotheka „საწყობი“
- პემბეტომა, პემოგლობინი, ანემია – ἀμία, τὸς „სისხლი“
- კლინიკა, პოლიკლინიკა – κλινική „მკურნალობის ხელოვნება“
- ფარმაკოლოგია, ფარმაკევეტი – φάρμακος „წამალი“
- ოპერაცია – operatio, onis „საქმე, მოქმედება“
- ლანცეტი – lancea „მსუბუქი მახვილი“
- პაციენტი – patiens, entis „ვნებული, შეწუხებული“
- ამბულატორია – ambulare „სიარული“
- პულსი – pulsus „ცემა, ფეთქვა“

**5. სენტენციები**

Valere malo quam dives esse – უმჯობესია ჯანმრთელი იყო, ვიდრე მდიდარი (ციცერონი)

Non est vivere, sed valere vita – მთავარი არ არის ცხოვრება, მთავარია ჯანმრთელად ცხოვრება

Ossa ac pellis totus est – ცარიელი ძვალი და გყავია (პლავტუსი)

Medicina vinci fata non possunt – მედიცინას არ შეუძლია ბედის დამარცხება

Tempore lenitum est vulnus meum – დრო ყველაფრის მკურნალია

**6. იდუილები, ფრთოსანი გამოთქმები**

**არკადიული იდილია** (Ἄρκαδία)

პელოპონესოსის ნახევარკუნძულის მთიანი მხარე, ხრიოკი, უდაბური და მწინამწიანია, რომელიც მხოლოდ გადმოცემებში შემორჩა როგორც „საბურთეთის სამოთხე“, წალკოტი, მწყემსთა და მწყემსური პოეზიის საგანე, მეცხვარეთა და მიწათმოქმედთა მთიანი ქვეყანა. იქაური სიუხვე და უდარდელობა მრავალი პოეტისათვის შთაგონების წყაროდ ქცეულა. არც მხატვრებისათვის ყოფილა უცხო არკადიული იდილია. ერთ-ერთ გილომე აღბეჭდილია ქვა წარწერით „მეც ვყოფილვარ არკადიაში“ Et ego in Arcadia, რაც თითქოს სიამეთა წარმავლობის სიმბოლოა.

> არკადიული იდილია – მყუდრო, უმრუხველი ცხოვრება.

**ერიგონე** (Ἐριγόνη)

ატიკელი იკარიოსის ასული, რომელსაც დიონისემ ვაზი აჩუქა ვენახის კულტურის გასავრცელებლად. ერთხელ იკარიოსმა მწყემსებს ღვინო დააბლევინა. მათ კი ეგონათ, რომ მოწამლეს. ამიტომ მოკლეს და ხის ქვეშ დამარხეს. ერიგონემ ძაღლის მეშვეობით მიაგნო მოკლულ მამას და სასოწარკვეთილმა იმავე ხეზე ჩამოიხრჩო თავი.



➤ ერიგონეს ერთგულება – მამის მოყვარული ქალიშვილი.

**პარპიები** ("Αρπυιαι")

ქარიშხალთა და გრიგალთა ღვთაებანი, ზღვის ღმერთის შვილები (ძირითადად ხუთი), ქალჩიტები, რომლებიც ბავშვთა და ადამიანთა სულებს იტაცებდნენ.

ქარიშხალივით სწრაფი და გაავეებული პარპიები სანოვაგეს, ლუკმა-პურსაც კი აცლიდნენ ხალხს.

➤ პარპიები – ხარბი, ავი დელაკაცი, დაუოკებელი შიმშილის განსახიერება.

**კაკუსი** (Cacus)

ვულკანუსის გოლიათი შვილი, რომელიც ბნელ გამოქვაბულში ცხოვრობდა. კაკუსი თავის მხარეში არავის აჭაჭანებდა და თუკი ვინმე გამოივლიდა, იჭერდა და წამებით კლადა. იგი პერაკლემ გამოსალმა სიცოცხლეს.

➤ კაკუსი – მოძალადე, რომელიც სხვისას ყველაფერს ითვისებს.

**კერკოპები** (Κέρκωπες)

მითური სასაცილო არსებები, ქონდრისკაცები და ავაზაკები. ერთხელ მათ ტყეში თურმე მძინარე პერაკლე ნახეს და იარაღის წართმევა დაუპირეს. გმირმა გაუგო, გამოეღვიძა, ჯუჯები შეიპყრო, ჯოხზე თავდაყირა დაჰკიდა და თან წაიყვანა. მაგრამ გზაში ოინებითა და მაიმუნობით იმდენი აცინეს, რომ პერაკლეს შეეცოდა და გაუშვა.

➤ კერკოპები – ოინბაზი, მასხარა ხალხი.

**პიგმეები** (Πυγμαίσι?)

ზღაპრული, ჯუჯა ტომი, მცხოვრები ეთიოპიაში ან ოკეანის სანაპიროზე. გაუთავებელი ომი პქონდა წეროებთან, რომლებიც მათ მხარეში მოფრინავდნენ. ფიქრობდნენ, რომ ყოველწლიური ომი წეროებთან სწორედ ნილოსის დაკლება-ადიდების საშობლოა.

➤ პიგმეები – კაცუნები, გონებაჩლუნგი არსებები.

**მისია** (Μισία)

მხარე მცირე აზიაში. იქაური მოსახლეობა ბერძნებს უსაძაგლეს ხალხად მიაჩნდათ.

➤ უკანასკნელი მისიელი (Μισίω ξέχαιτος) – ერთი საცოდავი კაცი.

<sup>1</sup> ἀρπύζα – ვიგაცებ.

<sup>2</sup> აფრიკაში მართლაც ცხოვრობს პიგმეების ჯუჯა ტომი.



**ბაკვეთილი № 30**

**1. გრაზატიკა**

აწმყო დრო, ვნებითი გვარი, თხრობითი კილო  
praesens indicativi passivi

III უღლება  
inf. capi-i

IV უღლება  
inf. audi-ri

p.p	capi-or	capi-mur
p.s.	cape-ris	capi-mini
p.t.	cape-tur	capi-untur

p.p	audior	audimur
p.s.	audiris	audimini
p.t.	auditur	audiuntur

**2. შემოკლებები და გამოთქმა-ფორმულები**

d.s.da signa -- გაეცი, აღნიშნე  
ad usum externum – გარეგანი გამოყენებისათვის  
internum – შინაგანი გამოყენებისათვის  
proprium – პირადი გამოყენებისათვის  
populi – სახალხო გამოყენებისათვის  
scholarum – სკოლებში სახელმძღვანელოდ

**3. გერმინთა წარმოება:**  $\acute{\alpha}\mu\theta\omicron\varsigma$ ,  $\epsilon\omicron\varsigma$  – ტკივილი;  $\theta\epsilon\rho\alpha\pi\acute{\epsilon}\alpha$  – ემკურნალობ;  $\theta\acute{\iota}\beta\omicron\varsigma$  – შიში

$\acute{\alpha}$   
σση }  $\acute{\alpha}\mu\theta\epsilon\iota\alpha$   
ἀτυ

φυστο }  $\theta\epsilon\rho\alpha\pi\acute{\epsilon}\alpha$   
φυσσο  
φυσχο  
χρη(ο)

ἀγορα }  $\theta\acute{\iota}\beta\iota\alpha^*$   
ἄγο  
ἄφο  
ἄρο

პათოლოგია

**4. დარგობრივი გერმინოლოგია – მედიცინა**

ასთმა –  $\acute{\alpha}\sigma\mu\alpha$ ,  $\tau\omicron\varsigma$  „მძიმე სუნთქვა“

განგრენა –  $\gamma\acute{\alpha}\gamma\gamma\rho\alpha\iota\alpha$  „ღრღნა“

კომა –  $\kappa\acute{\alpha}\mu\alpha$ ,  $\tau\omicron\varsigma$  „ღრმა ძილი“

პეპატიტი –  $\rho\acute{\eta}\pi\alpha\tau\iota\varsigma$ ,  $\tau\omicron\varsigma$  „ღვიძლი“

სარკომა – σάρξ, σαρκός „ხორცი“  
 ნარკოზი – νάρκωσις, εως „გაშეშება“  
 ანესთეზია – αναισθησία „უგრძნობლობა“  
 ამნეზია – ἀ (ἀ – უარყოფითი ნაწილაკი), μνήμη „მეხსიერება“  
 მეტასტაზი – μετάστασις „გადანაცვლება“  
 პისტოლოგია, ანტიპისტამინური – ιστός, εως „ქსოვილი“

### 5. სენგენციები

Mens sana in corpore sano – ჯანსაღი გონება ჯანსაღ სხეულში (იუვენალისი)

Natura sanat, medicus curat – ბუნება კურნავს, ექიმი არჩენს (პიპოკრატესი)

Neminem laede – არავის ავნო

Medice, cura te ipsum – ექიმო, განკურნე საკუთარი თავი (ევენგელე)

Quod ratio non quit, saepe sanavit mora – რაც გონებას არ ძალუძს, ხშირად დრო განკურნავს

### 6. იდიომები, ფრთოსანი გამოთქმები

**ასკლეპიოსი // ესკულაპიუსი** (Ἀσκληπιός // Aesculapius)

აპოლონის ძე, მკურნალობის ღვთაება. ათენამ ასკლეპიოსს მელუზა გორგო ძარღვებიდან მონადენი სისხლი მისცა: მარცხენა გვერდიდან გამოსული სისხლი ადამიანებს ღუპავდა, მარჯვნიდან – აჯანსაღებდა. საერთოდ ასკლეპიოსი არა მარტო კურნავდა ხალხს, არამედ მკვდარსაც აცოცხლებდა. მისი მეუღლე იყო აპიონე („ტკივილის გამყუჩებელი“), შეიღებოდა კი – უებრო მკურნალები: მაქაონი, ჰიგიეა, პანაკეა.

რადგანაც ასკლეპიოსი სხეულებსაც არჩენდა და მკვდარსაც აცოცხლებდა, შეწყდა სიკვდილი. გამწყრალმა ჰადესმა ზევსს ასკლეპიოსის დასჯა სთხოვა. ზევსმა ამქვეყნად წესრიგის აღდგენა ინება და მეხით განგმირა ასკლეპიოსი, რათა ადამიანებს არ ესწავლათ უკვდავების წამალი და ღმერთთა პატივისცემა არ დაეკარგათ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ასკლეპიოსს კოლხად მიიჩნევს, რადგან კოლხეთი იყო მკურნალ-გრძნეული მედეას სამშობლო, სადაც სამკურნალო საქმეს ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული.

ასკლეპიოსის სახელი პიპოკრატეს ფიცში არის მოხსენიებული.  
 > ასკლეპიოსი – მკურნალი, ექიმი.

### პანაკეა (Πανάκεια)

ასკლეპიოსის ასული, განკურნების ქალღმერთი.

> პანაკეა – ყოველგვარი სენის წამალი.

### ჰიგიეა<sup>1</sup> (Ήγεία)

ასკლეპიოსის ასული, ჯანმრთელობის ქალღმერთი. გამოისახებოდა სიცოცხლით სავსე ქალიშვილად, რომელსაც მარჯვენა ხელში ფიალა ეჭირა, საიდანაც გველი სითხეს სვამდა. ეს ანტიკური სიმბოლო დღემდე შეინარჩუნა მედიცინამ.

### მაქაონი (Μαχάων)

ასკლეპიოსის ვაჟი, გროას ომის მონაწილე და თესალიელთა წინამძღვარი, რომელმაც განკურნა მენელაოსი და ფილოქეტესი.

> მაქაონი – მკურნალი. მისი სამარის მიწის შეხებაც კი კურნავდა ადამიანს.

### კალოკაგათია (καλοκάγθια < καλός „მშვენიერი“ & αγαθός „კარგი“)

ლამამისა და კარგის შერწყმა. პრინციპი, რითაც ადამიანის ფიზიკური და სულიერი სრულყოფილება გამოიხატება. კალოკაგათია აერთიანებს ესთეტიკურ და ეთიკურ ღირსებებს – მშვენიერსა და კეთილს. მისი საფუძველი სხეულის სრულყოფილებისა და სულიერების შერწყმაა. ასე რომ, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების გარდა, აქ იგულისხმება გონიერება, სიზამციე და სიბრძნე.

კლასიკურ ეპოქაში არისტოკრატია კალოკაგათიის სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს თავის სასარგებლოდ იყენებდა, რითაც სურდა აემბლებინა თავისი პოლიტიკური ავტორიტეტი. შემდეგ პერიოდში კი ეს მოვლენა ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა და უკვე მნიშვნელობა ენიჭებოდა არა რომელიმე სოციალური ფენის, არამედ ინდივიდუალურად პიროვნების სრულყოფილებაზე. ასეთი სრულყოფილება კი უფრო გულისხმობდა პიროვნების კეთილშობილებას, ვიდრე მის არისტოკრატულ წარმომავლობას. ფიზიკური სილამამე არ წარმოადგენდა ერთადერთ ესთეტიკურ ფენომენს. მეტიც, მას დამოუკიდებლად არც განიხილავდნენ. ანტიკური გაგებით სილამამის საფუძველი იყო ზომიერება, წესრიგი, ჰარმონია, სიმეგრობა. სილამამე უფრო სულიერ მოვლენად განიხილებოდა. ასე რომ, სულიერი სილამამე ასახვას ჰპოვებდა ფიზიკურ სილამამეში. კლასიკურ ეპოქაში ადამიანის მშვენიერებას ხაზს უსვამდა ისეთი სოციალური აკრიბუტები, რომლებიც თავისუფალ მოქალაქეებს ამშვენებდა: დიდება, ღირსება, პატივი, ქონება, თავისუფლება დამამცირებელი ფიზიკური შრომისაგან. ხშირად ხლებოდა სილამამის იდენტიფიცირება კეთილთან.

<sup>1</sup> ჰიგიენა – ეს გერმინი ჰიგიეას სახელიდან მომდინარეობს.

### ცნობილი ლათინური სენტენციები

- A prima facie – ერთი შეხედვით, პირველი შთაბეჭდილებით  
 Ab equis ad asinos – ცხენებიდან ვირებისაკენ (ერაზმუს როტერ-  
 დამელი)  
 Ab hoc et ab haec – ასე ან ისე, როგორმე  
 Ab igne ignem – ცეცხლიდან ცეცხლი  
 Ab imo pectore – გულის სიღრმიდან i. e. სულით და გულით (ლუკა-  
 რეციუსი)  
 Ab initio – დასაწყისიდან  
 Ab intestato – ანდერძის გარეშე  
 Abi in pace – განვედ მშვიდობით (კათოლ.), გარდაცვლილის მესის  
 ნაწილი  
 Absque nota – (ბიბლიოგ.) გამოცემა თარიღისა და ადგილის მით-  
 თების გარეშე  
 Acta diurna – ყოველდღიური ფაქტები, ქრონიკა<sup>1</sup>  
 Acta est fabula – წარმოდგენა დამთავრებულია (სევეტონიუსი)  
 Acta sanctorum – წმინდანთა საქმენი (კრებული წმინდანთა  
 ცხოვრების შესახებ)  
 Acu rem tetigisti – ნემსით მორტყმა, წერტილში მორტყმა (პლაუ-  
 ტუსი)  
 Ad captandam benevolentiam – კეთილგანწყობის მოსაპოვებლად  
 Ad captandum vulgus – ბრბოს საამებლად  
 Ad disputandum – განხილვისათვის  
 Ad fontes – წყაროებიდან (პირველწყაროსთან მუშაობა მეცნიერუ-  
 ლი საქმიანობისას)

<sup>1</sup> ასე ეწოდებოდა ძველ რომში სახელმწიფო ბრძანებებს, რომლებსაც ყოველ-  
 დღიურად ფორუმზე გამოიტანდნენ სოლმე.

- Ad meliore tempora – უკეთესი დროისათვის  
 Ad oculos – თვალსაჩინოებისათვის  
 Ad perpetuam rei memoriam – მარადიული ხსოვნისათვის (მემორი-  
 აღური წარწერის ფორმულა)  
 Aliena nobis, nostra plus aliis placent – სხვებს ჩვენი და ჩვენი სხვას  
 უფრო მოსწონს (სენეკა)  
 Amantes – amantes – შეყვარებულები – გონებადაბინდულები  
 Amantium irae amoris integratio est – შეყვარებულთა ჩხუბი მხოლოდ  
 სიყვარულის განახლებათ (ტერენციუსი)  
 Amicus incommodus ab inimico non differt – ცული მეგობარი მტრის-  
 გან არ განსხვავდება  
 Amor non est medicabilis herbis – სიყვარულს ბალახით ვერ განკურ-  
 ნავ  
 Ante bellum – ომამდე  
 Aqua vita – სიცოცხლის წყალი i. e. არაყი  
 Ars gubernandi – მართვის ხელოვნება  
 Asini exiguo pabulo vivunt – ვირები მცირედი საკვებითაც ცხოვრო-  
 ბენ  
 Asinus ad lyram – ვირი ლირასთან (ფედრუსი)  
 Asinus asinum fricat – ვირი ვირს ეხახუნება  
 Audentes fortuna juvat – მამაცებს ბედი სწყალობთ (ვერგილიუსი)  
 Auscultare disce si nescis loqui – თუ ლაპარაკი არ იცი, მოსმენა  
 მაინც ისწავლე  
 Aut non tentaris, aut perfice – ან არ დაიწყო, ან ბოლომდე მიიყვანე  
 (ოვიდიუსი)  
 Beneficium latronis non occidere – ყაჩაღის კეთილი საქმე ის იქნება,  
 თუ არ მოგკლა  
 Bis ad eundem lapidem offendere – ორჯერ ერთსა და იმავე ქვაზე  
 წამოდება (ციცერონი)  
 Bona venia vestra – თქვენი ნებაართვით  
 Brevis manu – სწრაფად  
 Canimus surdis – ვუმღერით ყრუებს (ვერგილიუსი)  
 Caris timidus vehementius latrat, quam mordet – მშიშარა ძალღი-  
 უფრო იყეფება, ვიდრე იკბინება  
 Cantabit vacuus coram latrone viator – ღარიბ მოგზაურს ავაზაკის  
 თანდასწრებითაც კი შეუძლია სიმღერა (იუვენალისი)  
 Casus improvisus – გაუთვალისწინებელი შემთხვევა

Cibus, onus et virga asino – ვირს საკვები, ბარგი და მათრახი (მარტინ ლუთერი)  
 Cogitationis poenam nemo patitur – არავინ ისჯება ფიქრისათვის (რომის სამართალი)  
 Cogito, ergo sum – ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ (დეკარტი)  
 Concedo – ვუთმობ, დაეუშვებ  
 Conscientia mille testes – სინდისი ათას მოწმეს უდრის  
 Consensus omnium – საყოველთაო თანხმობა  
 Consuetudo est altera natura – ჩვევა მეორე ბუნებაა (ციცერონი)  
 Consultor homini tempus utilissimus – დრო ადამიანის საუკეთესო მრჩეველია  
 Contra factum non datur argumentum – ფაქტის წინააღმდეგ არგუმენტი არ არსებობს  
 Copia ciborum subtilitas animi impeditur – საკვების სიმრავლე გონების გამჭრიახობას უშლის ხელს (სენეკა)  
 Corvo quoque rarior albo – უფრო იშვიათი, ვიდრე თეთრი ყვავი (იუვენალისი)  
 Crede experto – გჯეროდეს გამოცდილის (ოვიდიუსი)  
 Currente calamo – სწრაფად (სასწრაფოდ მიწერილი)  
 Damnant quod non intellegunt – განსჯიან იმას, რაც არ ესმით (კვინტილიანუსი)  
 De actu et visu – ნამოქმედართა და დაკვირვებით  
 De asini umbra disceptare – ვირის ჩრდილზე კამათი i. e. წვრილმანებზე კამათი (ფელრუსი)  
 De minimis non curat praetor – პრეტორი წვრილმანებზე თავს არ იწუხებს  
 De principium non est disputandum – პრინციპებზე არ დავობენ  
 De se ipso modifce, de aliis honorifice – შენზე ილაპარაკე მომიერად, სხვებზე – პატივისცემით  
 Delirium tremens – თეთრი ციებ-ცხელება  
 Diluviis testes – წარღვნის მოწმენი (იტიციან მოძველებული შეხედულებების ხალხზე)  
 Dixi et animam meam levavi – ვთქვი და სულს შვება მივეცი  
 Dormiunt aliquando leges, nunquam moriuntur – კანონები ზოგჯერ ჩათვლემენ, მაგრამ არასოდეს კვდებიან  
 Dubia plus torquent mala – უცნობ უბედურებას უფრო უფროთხიან (სენეკა)

Dura necessitas – მკაცრი აუცილებლობა  
 Durum patientia trango – სირთულეებს მოთმინებით ვძლეე (პორაციუსი)  
 Ede, bibe, lude – ჭამე, სვი, იმხიარულე  
 Ejusdem farinae – ერთი ცომისაგან მოზეულილი (სენეკა)  
 Epistula non erubescit – ნაწერი არ წითლდება (ციცერონი)  
 Errare humanum est – შეცდომა ადამიანური თვისებაა (სენეკა)  
 Et fiat voluntas tua – დაე იყოს ნება შენი (ბიბლ.)  
 Etiam innocentes cogit mentiri dolor – ტკივილისაგან უდანაშაულონიც კი გყუიან (პუბლიუს სირუსი)  
 Ex malis eligere minima – ბოროტებათაგან ამოირჩიე უმცირესი (ციცერონი)  
 Excitare fluctus in simpulo – წყლის ჭიქაში ქარბუქის აგება i. e. აურზაურის აგება არაფრის გამო  
 Explicite – ღიად  
 Facta notoria – საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები (იურ.)  
 Fatum est series causarum – ბედისწერა მიზეზთა წყებაა  
 Festina lente // σπεῦδε βραδέως – იჩქარე ღიძადად  
 Finis coronat opus – ბოლო ამშვენებს საქმეს  
 Gaudeamus – ვიმხიარულოთ (სტუდენტური ჰიმნის დასაწყისი)  
 Genio loci – ადგილის გენიას (სერვიუსი)  
 Gutta cavat lapidem non vi, sed saepe cadendo – წვეთი ქვას ხვრეტს არა ძალით, არამედ ხშირი დაცემით (ოვიდიუსი)  
 Hac via – ამ გზით  
 Hannibal ad portas – ჰანიბალი ჭიშკართან – მგერი ახლოსაა (ლვიუსი)  
 Hic iacet – აქ განისვენებს (წარწერა საფლავის ქვაზე)  
 Historia non facit saltus – ისტორია ნახტომს არ აკეთებს  
 Honores mutant mores, sed raro in meliore – პატივი ცვლის ხასიათს, მაგრამ იშვიათად – უკეთესობისაკენ  
 Horae volant – დრო მიქრის  
 Ignorantia non est argumentum – არცოდნა არ არის არგუმენტი  
 Implicite – ფარულად  
 In articulo mortis – სიკვდილის პირას  
 In extense – შემოკლების გარეშე  
 In pleno – სრული შემადგენლობით, სრულად

*Iustitia fundamentum regni* – მართლმსაჯულება ქვეყნის საძირკველია

*Malum nullum est sine aliquo bono* – არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე

*Manus manum lavat* – ხელი ხელს ბანს

*Materia tractanda* – განხილვის საგანი

*Melior est certa pax, quam sperata victoria* – უმჯობესია უეჭველი მშვიდობა, ვიდრე სასურველი გამარჯვება

*Memento mori* – გახსოვდეს სიკვდილი

*Modus vivendi* – ცხოვრების სტილი

*Mors et vita in manibus linguae* – ენის ხელშია სიკვდილ-სიცოცხლე

*Multi multa sciunt, nemo omnia* – მრავალმა ბევრი რამ იცის, მაგრამ ყველაფერი – არაინ

*Ne fidem habueris homini blandienti* – ნუ ენდობი მლიქვნელს

*Ne quid nimis* – არაფერი გადაჭარბებული

*Necessitas frangit legem* – აუცილებლობა არღვევს კანონს

*Nemo solus satis sapit* – მარტო ერთი კაცის ჭკუა საკმარისი როდია (პლატუსი)

*Nescit vos missa reverti* – ნათქვამი სიგყვა ვერ დაბრუნდება

(პორაციუსი)

*Nigra in candida vertere* – შავის თეთრად გადაქცევა (იუვენალისი)

*Nihil dictum quod non dictum prius* – ისეთს ვერაფერს იტყვი, რაც ადრე არ თქმულა

*Nimia cura deterit magis, quam emendat* – გადაჭარბებულ ჰზრუნველობას მიანი უფრო მოაქვს, ვიდრე სიკეთე

*Nolens volens* – ნებისთ თუ უნებლიეთ

*Nomina obscura* – ბნელი სახელები, უცნობი სახელები

*Non omne, quod licet honestum est* – რაც ნებადართულია, ყველაფერი საკადრისი არ არის (სენეკა)

*Non sum, qualis eram* – ის არ ვარ, რაც ვიყავ (პორაციუსი)

*Nunquam retrorsum* – უკან არასოდეს დაიხიო

*O, sancta simplicitas* – ო, წმინდა უბრალოება

*Objectum quaestionis* – განსახილველი საკითხი

*Odor mortis* – სიკვდილის სუნი

*Omne principium difficile* – ყოველი დასაწყისი ძნელია

*Omni casu* – ყველა შემთხვევაში

*Omnia mea mecum porto* – ყველაფერს ჩემსას თან დავატარებ (ბიას პრიენელი)

*Omnia vincit amor* – ყველაფერს სძლევს სიყვარული (ვერგილიუსი)

*Optima fide* – სრული ნდობით

*Per expressum* – სიგყვასიგყვით

*Perfice se* – სრულყავი თავი (პინდაროსი)

*Periculum in mora* – საფრთხე დაყოვნებაშია (ლივიუსი)

*Qui multum habet, plus cupit* – ვისაც ბევრი აქვს, კიდევ მეტი სწადია

*Qui non est nobiscum, adversus nos est* – ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია

*Quibuscumque via* – ნებისმიერი გზით

*Rumor publicus* – სახალხო ამრი

*Salus rei publicae suprema lex est* – სახელმწიფოს კეთილდღეობა უმენაესი კანონია

*Scelesti scelus additit* – უბედურებას უბედურება დაერთო

*Servi aut nascuntur, aut fiunt* – მონებად ან იბადებიან, ან იქცევიან

*Si vis pacem, para bellum* – თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისათვის

*Sit tibi terra levis* – მსუბუქი იყოს შენთვის მიწა

*Silentium videtur confessio* – დუმილი თანხმობის ნიშანია (სენეკა)

*Similia similibus curantur* – მსგავსი მსგავსით იკურნება

*Sine ira et studio* – რისხვისა და მიკერძოების გარეშე (ტაციუსი)

*Spem pretio non emo* – ფულით იმედს ვერ ვიყიდი (ტერენციუსი)

*Spes ultima* – უკანასკნელი იმედი

*Stans pede in uno* – ერთ ფეხზე მდგომარე i. e. სწრაფად (პორაციუსი)

*Status in statu* – სახელმწიფო სახელმწიფოში

*Sub rosa* – ვარდის ქვეშ i. e. საიდუმლოდ (ვარდი დუმილის სიმბოლოა)

*Summa summarum* – ჯამთა ჯამი, საბოლოო შედეგი

*Sunt lacrimae rerum* – ცრემლები სხვისი გაჭირვებისათვის, თანაგრძნობის ცრემლი

*Super omnia veritas* – ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლაა

*Sus Minervam docet* – ღორი ასწავლის მინერვას i. e. ათენას

უცოდინარი ასწავლის მცოდნეს

*Suum cuique* – ყველას თავისი (რომაული სამართალი)

*Tanta vis probitatis est, ut eam in hoste etiam diligamus* – ღირსებას იმხელა ძალა აქვს, რომ მას მტერშიც ვაფასებთ

Tantum possumus, quantum scimus – იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცით (ფრენსის ბეკონი)

Testes muti – მუხჯი მოწმეები (რომაულ სამართალში აღნიშნავს ნივთიერ მტკიცებულებებს)

Usus – tyrannus – ჩვეულება გირანია (პორაციუსი)

Ut saluto, ita salutor – როგორც ვესალმები, ისე მესალმებიან

Vae soli – ვაი უბედურს (ბიბლ.)

Verba volant, scripta manent – სიტყვები გაფრინდება, ნაწერები რჩება

Verbum sapienti – სიტყვა ჭკვიანს [ემლევა]

Verus amicus amore, more, ore, re cognoscitur – ნამდვილი მეგობარი სიყვარულში, ხასიათში, სიტყვაში, საქმეში შეიცნობა

Viribus unitis – საერთო ძალით

Vis vitalis – საციცოცხლო ძალა

Vivere est cogitare – ცხოვრება აზროვნებაა (ვოლტერი)

## ADDENDA

### პირველი გაკვეთილისთვის

#### მისალმება-დამშვიდობების ფორმულები

ძველ საბერძნეთსა და რომში მისალმება-დამშვიდობების ფორმულები, რომლებიც დღე-ღამის ცალკეულ მონაკვეთთან იყო დაკავშირებული (მაგ: დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა), არ არსებობდა. ბატონებისათვის ხელზე მოხვევა და ფეხებში ჩავარდნა მოგვიანებით, რომის იმპერიის დროს შემოვიდა აღმოსავლეთიდან.

ბერძნები მისალმებისას ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და უკუნებოდნენ  $\chi\alpha\rho\epsilon$  „იხარე, მიხარია შენი დანახვა“.

რომაელები კი ave, domine (rex) „გამარჯობა, ჯანმრთელად იყავი, ბატონო (მეფე)“ ესალმებოდნენ და მარჯვენა ხელს ართმევდნენ ერთმანეთს.

salve-ს „ჯანმრთელად იყავი“ ამბობდნენ მისალმების ან დამშვიდობების დროს. vale „ძლიერად იყავი“ – მხოლოდ დამშვიდობებისას გამოიყენებოდა.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ, მისალმებებს დალოცვის ფორმულებიც დაემატა. მაგ: pax vobiscum „მშვიდობა თქვენდა“.

წერილის წერისას თავისებური ეტიკეტის დაცვა იყო აუცილებელი. ბერძნები წერილის დასაწყისში  $\chi\alpha\rho\epsilon$ , ხოლო ბოლოს  $\xi\beta\acute{\alpha}\tau\omicron\iota$  (ჯანმრთელად იყავი) წერდნენ. რომაელები კი წერილს მისალმებით (salutem dicere) იწყებდნენ, vale-თი კი ამთავრებდნენ.

ამათ გარდა გამოიყენებოდა შემოკლებები:

Di te bene ament „ღმერთებს უყვარდე“

S(i) V(ales) B(ene) E(st) E(rgo) V(aleo) „თუ შენ კარგად ხარ, მეც კარგად ვარ“. S. V. B. E. E. V.

ქრისტიანები კი უპირატესობას ანიჭებდნენ გამოთქმას  $\chi\alpha\rho\iota\varsigma$  και  $\epsilon\iota\rho\iota\eta$  „სიხარული და მშვიდობა“.

### მეორე გაკვეთილისთვის

#### საკუთარი სახელები

ბავშვს სახელს ბერძნები დაბადებიდან მეთე დღეს არქმევდნენ. ერთმანეთისგან უკეთ გასარჩევად კი მამის სახელსაც უმაგებდნენ. ბერძნული სახელები ძირითადად ორფუძიანი იყო. მათი სემანტიკა კი არისტოკრატიულ იდეალებს უკავშირდებოდა: დიდებას, სიმამაცეს, ძლიერებას. სასურველი იყო, რომ სახელი ან მისი შემადგენელი

ნაწილი მემკვიდრეობით გადასცემოდა პაპიდან შვილიშვილს. აღსანიშნავია, რომ მითოლოგიური სახელები თავისუფალ ბერძნებს თითქმის არ ერქვათ, თუმცა თავიანთ მონებს ხშირად არქმევდნენ ღმერთთა და გმირთა სახელებს. სიგყვის დასაწყისში უფრო ხშირად შემდეგი ძირები გვხვდება:

ალკ-	„ძალა“	ალკეოსი	Ἀλκαῖος
ალექს-	„დაცვა“	ალექსანდრე	Ἀλέξανδρος
ანტი-	„მაგიერ“	ანტიკლეა	Ἀντίκλεια
არისტ-	„საუკეთესო“	არისტოტელე	Ἀριστοτέλης
პიერ-	„წმინდა“	პიერონი	Ἰέρων
ემ-	„კარგი“	ევრიდიკე	Εὐρυδίκη
კალი-	„მშვენიერი“	კალიმაქოსი	Καλλίμαχος
ლევკ-	„თეთრი“	ლევკიპე	Λευκίππη
ნეო-	„ახალი“	ნეოპტოლემოსი	Νεοπτόλεμος
პერი-	„ირგვლივ“	პერიკლესი	Περικλῆς
პრაქს-	„საქმე“	პრაქსიგელესი	Πραξιτέλης
პროტ-	„პირველი“	პროტაგორასი	Πρωταγόρας
პოლი-	„ბევრი“	პოლიგნოტოსი	Πολύγνωτος
ფილ-	„მოყვარული“	ფილიპე	Φίλιππος

ბევრი საკუთარი სახელი ღმერთთა სახელებისაგან იყო ნაწარმოები: აპოლო-, ათენო-, ძენო-, დიო-, თეო- და ა. შ. რომლებიც, ძირითადად, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელ ძირებზე მთავრდებოდა:

-დორ-, -დოტ	„საჩუქარი“	თეოდორე	Θεόδωρος
-გენ	„დაბადებული“	დიოგენესი	Διογένης
-კრატ	„ძალაუფლება“	ისოკრატესი	Ἰσοκράτης
-მაქ	„ბრძოლა“	თრასიმაქოსი	Θρασύμαχος
-სთენ	„ძალა“	დემოსთენესი	Δημοσθένης

რომაელებს, ჩვეულებრივ, სამი სახელი ჰქონდათ. Praenomen საკუთარი სახელი, nomen gentile სახელი და cognomen „მეგსახელი“, რომელსაც ოჯახის ან გვარის რომელიმე შტოს მიაწერდნენ. ეს უკანასკნელი აღნიშნავდა გარეგნობას (მაგ: Naso „ცხვირიანი“), ხასიათის ნიშანს (მაგ: Cato „ყოჩაღი“), ან მიუთითებდა წარმომავლობაზე (მაგ: Afer „აფრიკელი“).

კოგნომენით გამოარჩევდნენ ერთმანეთისგან ოჯახების ან გვარების ამა თუ იმ შტოს. მაგ: კორნელიუსების გვარს ეკუთვნოდნენ სციპიონების, რუფინუსების და სხვათა ოჯახები.

თვითონ საკუთარ სახელთა მარაგიც არ იყო ღიდი. მათი რიცხვი 19 იყო:

1. Aulus – A.	11. Mamercus – Mam.
2. Appius – App.	12. Numerius – N.
3. Gaius – G.	13. Publius – P.
4. Gnaeus – Gn.	14. Quintus – Q.
5. Decimus – D.	15. Sextus – Sex.
6. Flavius – F.	16. Servius – Ser.
7. Kaeso – K.	17. Spurius – Sp.
8. Lucius – L.	18. Titus – T.
9. Marcus – M.	19. Tiberius – Ti(b).
10. Manius – M’.	

ქალებს საგვარეულო სახელები ერქვათ. მაგ: Gaius Iulius Caesar-ის ქალიშვილს Iulia ერქვა, Marcus Tullius Cicero-ს ქალიშვილს კი Tullia. თუკი რამდენიმე ასული ჰყავდათ, სახელს უმატებდნენ maior (უფროსი), minor (უმცროსი), tertia (მესამე) და ა. შ. იმპერიის ეპოქაში კი ქალთა საკუთარი სახელებიც გვხვდება, თუმცა მათ თან მოსდევდათ მამის საგვარეულო წოდება. გათხოვილი ქალები ინარჩუნებდნენ თავის სახელს, რომელსაც ემატებოდა მეუღლის კოგნომენი. Cornelia, filia Cornelia, Gracchi კორნელია, კორნელიუსის ასული, გრაკუსისა.

ახლა ჩვენ რომაელებს ან მეგსახელით (Caesar) ან საგვარეულო შტოს სახელით (Vergilius) მოვიხსენიებთ.

**მესამე გაკვეთილისთვის**  
*განათლება*

ძველ საბერძნეთში განათლებას ღიდი ყურადღება ექცეოდა. თითქმის ყველა ბერძნულ პოლისში ვაჟები 7 წლის ასაკიდან მიდიოდნენ სკოლაში, გოგონები კი განათლებას სახლში იღებდნენ; ძირითადად, საოჯახო საქმიანობას ეუფლებოდნენ, იშვიათად – წერა-კითხვასა და მუსიკალურ საკრავზე დაკვრას.

კერძო სკოლებში მშობლები ვაჟებს სწავლის ღირებულებას უხდიდნენ, თუმცა გადასახადი ღიდი არ იყო. სკოლაში ბიჭები სწავლობდნენ წერა-კითხვას, მათემატიკას, სიმღერას, პოემიას. ღიდი დრო ეთმობოდა ფიზიკურ მომზადებას.

ორი ღიდი ბერძნული პოლისის – სპარგისა და ათენის სკოლები ერთმანეთისაგან ღიდად განსხვავდებოდა. სპარგაში 7-დან 20 წლამდე ასაკის ვაჟების გაწვრთნა იყო უმთავრესი. ღიდი ყურადღება ექცეოდა

ფიზიკური ამგანობისა და მოქნილობის დაუფლებას. წერა-კითხვა მხოლოდ საწყის ეტაპზე ისწავლებოდა. ათენში კი 18 წლამდე განაგრძობდნენ კერძო მასწავლებლებთან მეცადინეობას. ელინისტურ პერიოდში გაჩნდა ე. წ. გიმნაზიები, სადაც უფროსი ასაკის მოსწავლეები მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ეუფლებოდნენ.

რომშიც 7 წლამდე ბავშვი ოჯახში იზრდებოდა. ვაჟზე მამა ზრუნავდა. ობოლს კი მეურვეს უნიშნავდნენ წარჩინებულ მოქალაქეთაგან. 7 წლიდან ბავშვები სკოლაში მიჰყავდათ, სადაც შეძლებულ მოქალაქეთა და გააზაგებულთა შვილები – გოგონები და ვაჟები ერთად სწავლობდნენ. მოსწავლეები გასანთლულ დაფაზე წერდნენ წაწვეტილი ჯოხით, სტილუსით<sup>1</sup>, რომლის მეორე ბოლოთიც შლიდნენ ნაწერს.

ღარიბები მხოლოდ რამდენიმე წელს სწავლობდნენ, რაც, ძირითადად, წერა-კითხვისა და ლიტერატურის შესწავლით შეზოიფარგლუბოდა. ამის შემდეგ, ბიჭები რიტორიკის სკოლასაც ამთავრებდნენ, სადაც ხალხის წინაშე სიტყვის წარმოთქმას სწავლობდნენ. აქვე ეუფლებოდნენ ისტორიას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას, მუსიკას, ასტრონომიას, მეტრიკას. მათ სამკურნალო და სამხედრო საქმის ცოდნაც ევალებოდათ.

14 წლის ყმაწვილი ფორუმზე მიჰყავდათ, სადაც სამციმო ცერემონიალის ჩატარების შემდეგ ის უკვე სრულუფლებიან მოქალაქედ ითვლებოდა.

**მეთოხე გაკვეთილისთვის რელიგია**

რელიგია ძველ ბერძენთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. თითოეული ღმერთი რომელიმე სფეროს განაგებდა. ბერძენებს სწამდათ, რომ 12 ძირითადი ღმერთი ოლიმპოსის მთაზე ცხოვრობდა და ზეესის ოჯახის წევრები იყვნენ.

ზეესი// იუპიტერი	Zeus // Jupiter	კანონიერება
ჰერა// იუნო	Ἥρα// Iuno	ქორწინება, ბავშვები
პოსეიდონი// ნეპტუნუსი	Ποσειδών// Neptunus	წყლის სტიქია
დემეტრე// კერესი	Δημήτρις // Ceres	დედამიწის ნაყოფიერება
აპოლონი// აპოლონი	Ἄπολλων // Apollo	ხელოვნება, მედიცინა
არტემისი// დიანა	Ἄρτεμις // Diana	ნადირობა

<sup>1</sup> სწორედ ამ სიტყვიდან მომდინარეობს გერმინი „სტილი“.

პეფესტოსი// ვულკანუსი	Ἥφαιστος // Vulcanus	ცეცხლი, მკვლელობა
ათენა// მინერვა	Ἄθηνά // Minerva	სიბრძნე
არესი// მარსი	Ἄρης // Mars	ომი
აფროდიტე// ვენუსი	Ἄφροδίτη // Venus	სილამაზე, სიყვარული
პერმესი// მერკურუსი	Ἑρμῆς // Mercurius	შიკრიკობა, ვაჭრობა
პესტია// ვესტა	Ἑστία // Vesta	ოჯახური კერა

მიწისქვეშეთის ღმერთებს მეთაურობდა ჰადესი (Ἅιδης), სიკვდილის სამეფოს სასტიკი მმართველი.

ძველ ბერძენთა ღმერთები ადამიანებს ჰგავდნენ და ადამიანებით იქცეოდნენ, მაგრამ რადგანაც უკვდავი იყვნენ, არ ბერდებოდნენ.

რომაელთა მთავარი ღმერთი იუპიტერი იყო. თანდათან, როცა რომაელთა და ბერძენთა ღმერთების იდენტიფიკაცია მოხდა, იუპიტერი ზევსს დაემსგავსა, იუნო – ჰერას და ა. შ.

ბერძენები ღმერთებს ხშირად სწირავდნენ მსხვერპლს (თხა, ცხვარი, ხარი). ყველაზე ღიდი ძღვენი კი მაინც ჰეკატომზე იყო (ასი შეწირული ხარი). მათ სწამდათ, რომ თუ ღმერთებს სათანადო მსხვერპლს შესწირავდნენ, ისინი მათ ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს გამოუგზავნიდნენ.

ყველა ბერძულ პოლისს საკუთარი მფარველი ღმერთი ჰყავდა. მაგ: სამოსს – ჰერა, ათენს – ათენა და ა. შ.

რომაელთა ოჯახებს კერიის ღმერთები – პენატები ჰყავდათ. თითქმის ყველა ოჯახს აგრიუმში ან ეზოში სალოცავი ჰქონდა მოწყობილი.

მოგვიანებით, რომაელმა იმპერატორებმა ჯეროვნად შეაფასეს რელიგიის პოლიტიკური მნიშვნელობა. ავეუსტუსმა ხელი შეუწყო იმ აზრის გაჩენას, რომ იმპერატორი ღმერთი იყო, რადგან ამის შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ ხალხი თვით ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებულიყო.

ქრისტიანობის გაჩენის შემდეგ რომაელებმა წარმართ ღმერთთა თაყვანისცემაზე უარი განაცხადეს, რის გამოც მათ სდევნიდნენ და ხოცავდნენ კიდევ, მაგრამ ქრისტეს სჯულის სწავლებას სულ უფრო და უფრო მეტი რომაელი ემიარებოდა. 313 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ მიიღო ქრისტიანობა, ხოლო იმპერატორმა თეოდოსიუსმა იგი რომის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

დაახლოებით 395 წელს რომის იმპერია ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ რომისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიად ანუ იგივე ბიზანტიის იმპერიად. აქ ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, ბიზანტიის ეკლესიას კონსტანტინოპოლის პატრიარქი

მეთაურობდა. პატრიარქსა და პაპს შორის არსებული უთანხმოების შედეგად ქრისტიანული ეკლესია 1054 წელს ორად გაიყო: მართლმადიდებლურად და კათოლიკურად. კათოლიკური ეკლესიის ენა დღესაც ლათინურია.

### მეხუთე გაკვეთილისთვის წელთაღრიცხვა

რომში ყოველწლიურად ორ კონსულს ირჩევდნენ და წელიწადიც ამ კონსულთა სახელით განისაზღვრებოდა, მაგ.: M. Tullio Cicerone C. Antonio Hibrida consulibus – მარკუს ტულიუს ციცირონისა და გაიუს ანტონიუს ჰიბრიდას კონსულობის დროს i. e. a. C. n. 63 წელი.

ავგუსტუსის დროიდან კი (ძვ. წ. 16 წ.) წელთაღრიცხვის ათვლა ქ. რომის დაარსებიდან იწყებოდა – ab urbe condita // a. u. c. ანუ 753 ა. C. n.

რომის იმპერიის დაცემისა და დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამ წელთაღრიცხვის ახალი სისტემა ქრისტეს დაბადების თარიღს დაუკავშირა. ამიტომ ხანა ქრისტეს დაბადებამდე აღინიშნება a. C. n. // ante Christum natum – (ქრისტეს დაბადებამდე) – ესაა ძველი წელთაღრიცხვა. ხოლო ქრისტეს დაბადების შემდეგ a. D. // anno Domini – ახალი (ჩვენი) წელთაღრიცხვაა.

### მეექვსე გაკვეთილისთვის ფილოსოფია

**სოფისტები.** სოფისტური მოძრაობა დაკავშირებულია საბერძნეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძვ. წ. V საუკუნის მიწურულისათვის შექმნილ ისტორიულ ვითარებასთან. ამ დროს შეიქმნა განათლებულ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მზად იყვნენ ათვისებული თეორიები დასაბუთების სპეციალური მეთოდებით სხვისთვის გადაეცათ და ფულადი გასამრჯელოც აეღოთ. ესენი იყვნენ სოფისტები, ანუ სიბრძნის მასწავლებლები.

სოფისტობა ასწავლიდა კამათის ხელოვნებას, მჭევრმეტყველების ხერხებს, გარკვეული მოძღვრების ან შეხედულების დამაჯერებლად გადმოცემის მეთოდებს. სოფისტები ახერხებდნენ თუნდაც საეჭვო თეორიის ისე წარმოდგენას, რომ მსმენელი ადვილად დაეჯერებინათ. მათ შეეძლოთ თეთრი შავად მოეჩვენებინათ და შავი თეთრად.

ამ დროს ბევრი ისეთი „სოფიზმი“ გაჩნდა, რომელიც აშკარად მართულებდა, რომ ადამიანმა შეიძლება თავისი განათლება და მჭევრ-

მეტყველების უნარი არა მარტო მნეობისა და სიმართლისაკენ მიმართოს. აი, რამდენიმე მათგანი:

„რქიანი“ – სოფისტები ამტკიცებდნენ: რაც არ დაგიკარგავს, მას უფლობო. ვ. ი. რადგან რქები არ დაგიკარგავთ, რქიანი ბრძანდებით.

„დაფარული“ – თქვენ წინ დგას მამათქვენი, რომელსაც ქსოვილი აქვს გადაფარებული. კითხვაზე: ვინ დგას თქვენ წინ, ვერ უპასუხებთ, რადგან მას ვერ ხედავთ. გამოდის, რომ ვერ ცნობთ საკუთარ მამას.

„ნიანგი“ – ნიანგმა ბავშვს ჩააგლო პირი და შეშინებულ დედას უთხრა: მე ბავშვს გავუშვებ, თუ შენ გამოიცილობ, გავუშვებ თუ არა მას. დედამ უიმედოდ წამოიძახა: არ გაუშვებ. რა უნდა ქნას ნიანგმა?

ყველაზე ცნობილი იყო სოფიზმი „ცრუ“. კრეტელმა თქვა, რომ ყველა კრეტელი ცრუა. მართალია თუ არა? თუ მგყუანია, მაშინ კრეტელები მაგყუარები არ არიან, ხოლო თუ მართალი თქვა ...

**სტოიციზმი.** სტოიციზმის დამაარსებელია ძენონი (ძვ. წ. 336-264), რომელმაც მოხატულ დარბაზში დააარსა ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც სტოელების სკოლა ეწოდა.

ბერძენმა სტოელებმა ფილოსოფია სამ ნაწილად დაყვეს: ლოგიკად, ფიზიკად და ეთიკად. ისინი ფილოსოფიას კვერცხს აღარებდნენ, სადაც ცული – ეთიკა, ცილა – ფიზიკა, ხოლო ნაჭუჭი – ლოგიკა იყო. მათი ფილოსოფია ადამიანის ორგანიზმის ანალოგიად განიხილებოდა. ძელები და ძარღვები – ლოგიკა, ხორცი – ეთიკა, სული – ფიზიკა. ძენონმა სამყარო დიდ ცოცხალ ორგანიზმად წარმოიდგინა, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა.

ფილოსოფიის ეს მიმდინარეობა მიღებული იყო ძველ საბერძნეთში და რომში. მისი მიმდევრები იყვნენ: ციცირონი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი სენეკა, რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი და სხვ.

**ეპიკურეიზმი.** ეპიკურეიზმი ფილოსოფიურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა ეპიკურეს მიერ ათენში დაარსებულ სკოლაში (ძვ. წ. 307 წ.). ეს არის მიმდინარეობა, რომელიც მრუნავს ადამიანზე, როგორც ინდივიდზე, მისი თავისუფალი ნების, ბედნიერებისა და სიამოვნებისათვის. ბედნიერების ერთ-ერთი საშუალება ობიექტური აუცილებლობისაგან განთავისუფლებაა. ამასთანავე, ადამიანს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ ყოველგვარი სიამოვნება როდია ბედნიერების საფუძველი. ეპიკურე პელონიზმის<sup>1</sup> დამაარსებელია.

**სკეპტიციზმი.** სკეპტიციზმი ფილოსოფიური კონცეფცია, რომელსაც ეპიკური შეაქვს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობაში.

<sup>1</sup> სკიპტიკი – სიამოვნება.

სკეპტიკოსთა მტკიცებით, ადამიანი ბედნიერია, თუ მან მიაღწია „აუღელვებლობას“ და „აპათიას“. მათი მოთხოვნა იყო: იცხოვრე პრაქტიკულად, ოღონდ ნუ გახდი შენს მსჯელობებსა და ცხოვრების წესს საყოველთაო მნიშვნელობის უპირობო ჭეშმარიტებად. თავი შეიკავე მსჯელობათაგან, აუღელვებლად იცხოვრე. ნუ ეძებ საკუთარ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულობის კრიტერიუმს.

**პერიპატეტიკოსები.** პერიპატეტიკოსები არისტოტელეს ფილოსოფიის მიმდევრები იყვნენ. სახელწოდება იმ გარემოებამ განსაზღვრა, რომ არისტოტელეს ფილოსოფიურ სკოლაში, რომელიც მან ათენში ძვ. წ. 335 წელს დააარსა, სწავლება, ჩვეულებრივ, მიმდინარეობდა სეირნობის დროს. ეს სკოლა დაახლოებით 1000 წელი არსებობდა (ახ. წ. 529 წლამდე) და წარმოადგენდა ანტიკური მეცნიერების ძირითად ცენტრს.

**კინიკოსები.** ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ბედნიერებისა და სათნოების საფუძვლად მიიჩნევდა საზოგადოებრივ ნორმათა უგულებელყოფას: სიმდიდრეზე, სახელსა და ყოველგვარ გრძნობად სიამოვნებაზე უარის თქმას. ყველაზე გამოჩენილი კინიკოსი იყო დიოგენესი, რომელიც ქალაქ კორინთოსში მოედანზე თიხის კასრში ცხოვრობდა. იქ არც ძილი ეთაკილებოდა და არც ჭამა: „თუკი მოედანზე მიმშობილა შეიძლება, რატომ არ შეიძლება აქვე ჭამა“ – ფიქრობდა უცნაური ფილოსოფოსი. მოწყალება, რომელსაც მას აძლევდნენ, ერთადერთი საზრდო იყო ფილოსოფოსისა. თუკი ვინმე გულგრილად ჩაუვლიდა და ფულს არ გაიმეგებდა, გამძვინვარებული დიოგენესი მას ეტყობდა ხოლმე: „თუ შენ სხვებს აძლევ ფულს, მაშინ მეც მომეცი, თუკი სხვებსაც არ ეხმარები, ჩემით დაიწყე!“

დიოგენესს ხშირად ეუბნებოდნენ, რომ ძალღივით ცხოვრობდა, რასაც ფილოსოფოსი ეთანხმებოდა: „ღიახ, ვინც მოწყალებას მამძლევს, კულს ვუქაიციანებ, ვინც არა – ვუყუფ, ბოროტს კი ვკებენ“. სწორედ ამიტომ, მას და მის მოსწავლეებს „ძალღური ფილოსოფიის“ მიმდევრები ანუ კინიკოსები უწოდეს. ეს სიტყვა ახლაც ხშირად გამოიყენება (ოღონდ ლათინური წაკითხვით: ცინიკოსი, რაც ნიშნავს ბოროტს, უსირცხვილოს, დამცინავს).

სწორედ უცნაური ცხოვრების სტილის გამო ჰყვებოდნენ მასზე ბევრ აზბავს. დიოგენესი თურმე ღღისით, მზის შუქზე სანთლით ღადიოდა და ადამიანს ეძებდა.

მასზე ამბობდნენ, რომ ის განდევნილი ადამიანი იყო, რადგან თანამემამულეებმა ხეგიალისათვის გაწირეს. დიოგენესი კი ამაყად პასუხობდა, რომ თუ ის ხეგიალისათვის იყო განწირული, მისი თანა-

მოქალაქეები სახლში ჯდომისათვის გაემეგებინა განგებას. ფილოსოფოსი თავს „მსოფლიოს მოქალაქედ“ – კოსმოპოლიტად თვლიდა.

თუმცა დიოგენესს დასცინოდნენ, მაგრამ უყვარდათ კიდეც. როდესაც ანცმა ბავშვებმა კასრი გაუგებეს, კორინთოსელებმა ბავშვები დასაჯეს, ფილოსოფოსს კი ახალი კასრი უძღვნეს.

დიოგენესს ალექსანდრე მაკედონელის ხანისთვისაც მიუღწევია. როდესაც დიდი მხედართმთავარი კორინთოსში ჩასულა ფილოსოფოსის მოსანახულებლად, დიოგენესი ამ დროს თურმე მზეზე თბებოდა. ალექსანდრე მაკედონელი გაეცნო და ჰკითხა, თუ რა სამსახურის გაწევა შეეძლო მისთვის. დიოგენესმა უპასუხა: ალექსანდრე, ცოგა გაიწვი, მზეს მიჩრდილავო. მაშინ ალექსანდრეს უთქვამს: „ალექსანდრე რომ არ ვყოფილიყავი, დიოგენესად ყოფნას ვისურვებდიო“.

ამბობენ, რომ დიოგენესი იმ დღეს გარდაიცვალა კორინთოსში, რა დღესაც ალექსანდრე მაკედონელი ბაბილონში. მის საფლავზე ძაღლის მარმარილოს ქანდაკება აღუმართავთ.

### *მეშვიდე გაკვეთილისთვის*

#### *მუსიკა*

ანტიკური მუსიკის შესახებ ჩვენი ცოდნა დაფუძნებულია არა იმდენად მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რამდენადაც იმ ცნობებზე, რომლებიც ლიტერატურულ წყაროებშია დადასტურებული. თავდაპირველად ანტიკურ მუსიკაზე დიდი გავლენა მოუხდენია ძველ აღმოსავლურ სამუსიკო ცოდნას, თუმცა სრულყოფილებას მუსიკამ მაინც ბერძნულ სამყაროში მიაღწია. თვით გერმინებიც კი პირველად საბერძნეთში გაჩნდა: მელოდია, რიტმი, ჰარმონია და სხვ.

სახელწოდება „მუსიკა“ ბერძნული წარმოშობისაა, თუმცა ადრე უფრო ფართო გაგება ჰქონდა. თავდაპირველად იგი ნიშნავდა ლექსის წამღერებით წარმოთქმას.

ბერძნები მუსიკის წარმოშობას ღმერთებს მიაწერდნენ (მითები ორფევსზე, ამფიონზე), ღმერთთა დარად სახელოვანი გმირებიც ასრულებდნენ სიმღერებს, ან უსმენდნენ აედებს, რომლებიც მბრძანებელთა კარზე გმირთა სადიდებელ სიმღერებს ასრულებდნენ.

უკვე საბერძნეთშივე ეწყობოდა მუსიკალური შეჯიბრებები, რომლებშიც საუკეთესო შემსრულებლებს ავლენდნენ. მწყემსებისა და გლეხების ცხოვრება წარმოუდგენელი იყო სიმღერის გარეშე. მუსიკის თანხლებით გარდებოდა ნადიმები, რელიგიური რიტუალები. ღმერთთა სადიდებელ ჰიმნებს ქალთა და მამაკაცთა გუნდები ას-

რულებდენ დღესასწაულებზე, ქორწილის, დაკრძალვისა და მიწის სამუშაოთა დროს.

ბერძნებს სწამდათ, რომ მუსიკა პიროვნების ფიზიკურ და სულიერ სრულყოფას ემსახურებოდა. სიმღერისა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვირვის სრულყოფა იყო მუსიკის გაკვეთილების ძირითადი ნაწილი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმებიანი ინსტრუმენტები: არფა, ლირა, ფორმინქსი. სასულე ინსტრუმენტებს შორის გამოირჩეოდა: ავლოსი, სალპიქსი.

მუსიკალურ ინსტრუმენტთა გამოსახულებანი მრავლადაა მონახული კერამიკაზე. ღმერთებს მიიჩნევდნენ მუსიკალური ინსტრუმენტების შემქმნელებად და ხშირად გამოხატავდნენ ინსტრუმენტებით: აპოლონს კითარითა და ლირით, დიონისეს კი – ფლეიტით.

ძველი ბერძნული ლირიკა და გრაგედია მუსიკალურ ინსტრუმენტთა თანხლებით სრულდებოდა. სიმებიანი ინსტრუმენტი მუსიკალური აკომპანიმენტი იყო ეპიკური პოემებისათვის, ფლეიტა – გუნდური სიმღერისათვის.

ბერძნულ გრაგედიაში გუნდი დიონისეს კულტიდან დამკვიდრდა. გუნდური სიმღერა უდიდესი დრამატული ფუნქციის მატარებელი იყო. თავდაპირველად პაროდოსს (შესავალ სიმღერას) ასრულებდნენ, გუნდი მღეროდა სტასიმონს, ბოლოს კი კომოსი სრულდებოდა. მსახიობი ხანდახან ტექსტს წარმოთქვამდა ფლეიტის თანხლებით. გრაგიკოს ევრიპიდესთან ჩნდება სოლო სიმღერა. რომაულ კომედიაში კი პლაგატსთან მრავლადაა დუეტები და საცეკვაო ნომრები.

თუ კლასიკურ ხანაში გრაგედია და ლირიკა მუსიკის თანხლებით სრულდებოდა, შემდგომ პერიოდში ეს ერთიანობა დაირღვა – მუსიკამ ცალკე გააგრძელა არსებობა, პოეზიამ კი – ცალკე.

უკვე ელინიზმის ხანაში გაჩნდნენ პროფესიონალი მუსიკოსები, ვირტუოზები, რომლებიც ნადიმებზე, თეატრსა და ტაძრებში უკრავდნენ და ასრულებდნენ სიმღერებს.

### **მერვე გაკვეთილისთვის**

#### **თეატრი**

დიონისესადმი მიძღვნილ გამაფხულის დიდ დღესასწაულებზე ათენში ათასობით ადამიანი იყრიდა თავს, ოთხი დღის განმავლობაში დიდიდან საღამომდე ათასობით მაყურებელი აღევნებდა ოვალყურს ღმერთის სადიდებლად გამართულ ფესტივალს. თეატრი ბერძენისათ-

ვის იყო არა გართობის საშუალება, არამედ წმინდა საქმე, რადგან ამ გზით ისინი თაყვანს სცემდნენ დიონისეს.

ყოველდღე რამდენიმე პიესა იღებებოდა (გრაგედიები, კომედიები, საგირული დრამები) და რადგან ფესტივალში მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, ყოველდღიური საქმიანობა შეჩერებული იყო. აპიტომ ათენის ხელისუფალნი მაყურებლებს გარკვეულ გასამრჯელოს აძლევდნენ, რათა ისინი არ მოსწყვეტოდნენ სანახაობას. საუკეთესო პიესას პრიზით აჯილდოებდნენ.

სცენაზე, ჩვეულებრივ, ერთდროულად მხოლოდ სამი მსახიობი იყო. მათ რამდენიმე როლის თამაში უწევდათ. რადგანაც მსახიობები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, ისინი ქალების როლსაც ასრულებდნენ. წარმოდგენაში მონაწილეობდა გუნდი ანუ ქორო.

მსახიობებს ნიღბები ეკეთათ, რომელთა მონაცვლეობით ერთ მსახიობს პიესის რამდენიმე პერსონაჟის როლის შესრულება შეეძლო.

ანტიკურ თეატრში სცენაზე არ თამაშდებოდა არც მკვლელობა და არც თვითმკვლელობა. ინფორმაციას გრაგიკული აღსასრულის შესახებ მხოლოდ მაცნე აწვდიდა მაყურებელს.

საინტერესო იყო თეატრის გარეგნული მხარეც. ორქესტრა იყო წრიული ფორმის ადგილი თეატრის ცენტრში, სადაც ქორო იდგა. სცენაზე კი მსახიობები უკანა კედელში გამოჭრილი კარებიდან გამოდიოდნენ. მთელ ამ მოწყობილობას ირგვლივ ერგყა მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები – ამფითეატრი.

პირველი რომაული თეატრები ხის შენობები იყო. მოგვიანებით დაიწყეს ქვის თეატრების აგება.

ბერძნული გრაგედია მითოლოგიურ თემებზე იქმნებოდა. მოემუდება შესვენების გარეშე ვითარდებოდა. არ იყო ანტრაქტი. აუცილებელი იყო დროის, ადგილისა და ერთიანობის პრინციპის დაცვა. დიდ ბერძენ დრამატურგთა: ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს გრაგედიები დღესაც დიდი წარმატებით იღებება სცენაზე. რომაელებს არ ჰყავდათ ისეთი დიდი დრამატურგები, როგორც ბერძნებს. ჩვენთვის ცნობილთაგან საუკეთესო იყო სენეკა, რომელიც თავის პიესებს საჯარო წაკითხვის მიზნით წერდა და არა სცენაზე დასაღმგმელად.

ხალხს განსაკუთრებით იზიდავდა ბერძენი არისტოფანესა და მენანდროსის, რომაელ პლაგატსა და ტერენციუსის კომედიები.

**მეცხრე გაკვეთილისთვის**  
**ანტიკური ლექსთწყობა**

თანამედროვე და ანტიკურ ლექსთწყობას შორის დიდი განსხვავებაა, ახლანდელ ლექსში სიგყვის მახვილი შენარჩუნებულია, უდიდესი და გადაშწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რითმასა და რიტმს. ანტიკური ლექსთწყობა კი მხოლოდ და მხოლოდ რიტმზე იყო დამყარებული, რომლის რეგულარობასაც განსაზღვრავდა გრძელი და მოკლე მარცვლების ურთიერთმონაცვლეობა. ამასთანავე, მეგრული მახვილი ყოველთვის არ ემთხვეოდა სიგყვის გრამატიკულ მახვილს. ლათინური და ბერძნული ლექსის კითხვისას მახვილი მხოლოდ გრძელ მარცვალზე დაისმოდა და ყურადღება არ ექცეოდა სიგყვის გრამატიკულ მახვილს.

Μήνυοι δειδέ, θεά, Πηλιόδεω Ἀχιλῆος  
მიმღერე, ღმერთქალო, რისხვა პელევსის ძის აქილევსის  
(პომეროსი, ილიადა, I, 1)

Nám tua rés agitúr || pariés cum próximus árdet  
საქმე ქონებასაც ეხება, როცა მეზობლის სახლი იწვის  
(პორაციუსი)

ანტიკური ლექსის ერთეულებია: მარცვალი, გერფი და ტაეპი  
(-) გრძელი მარცვალი (-) მოკლე მარცვალი  
ასეთ მარცვალთა სიხშირითა და მონაცვლეობით იქმნება სხვადასხვა ტერფები. მათგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი:

- დაქტილი ---
- სპონდე --
- იამბი ~-
- ტროქე -~
- ანაპესტი ---

ყოველი ტერფი ორ ნაწილად იყოფა. ერთი მახვილიანია, მეორე - უმახვილო.

ტაეპას შუაში შესვენებას ეწოდება ცეზურა (caedo „ვაპობ, ვჭრი“), რომელიც გრაფიკულად ასე გამოისახება: ||

ყველაზე ხშირად ხმარებული სალექსო საზომია დაქტილური ჰექსამეტრი, რომლითაც, ძირითადად, ძველი ეპიკური ნაწარმოებები იწერებოდა („ილიადა“, „ოდისეა“, „ენეიდა“).

**მეათე გაკვეთილისთვის**  
**სამართალი**

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო არ ყოფილა, მის პოლისებში მოქმედი ადათ-წესები და სამართალი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. „სამართლის“, როგორც ტერმინის აღმნიშვნელი სიგყვა ბერძნულ იურიდიულ ენაში არ ყოფილა. სამართალი (δίκη) სხვა დაგვირთვის მაგარებული იყო. სამართლებრივი ურთიერთობები კანონის (νομός) საფუძველზე რეგულირდებოდა. პირველი ადათ-წესები, ძირითადად, რელიგიურ საფუძველს ემყარებოდა. უკვე ძვ. წ. VII საუკუნიდან მოხდა პირველად სამართლებრივ ნორმათა გაფართოება და კოდიფიკაცია. ამის საფუძველზე კი გამოიკვეთა დაწერილ კანონთა უზენაესობა და უპირატესობა მიენიჭა დაწერილ კანონს, ვიდრე იქამდე არსებულ ადათ-წესებსა თუ ურთიერთობებს, რომლებიც მხოლოდ ნორმებზე დაყრდნობით გვარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალმცოდნეობა საბერძნეთში ვერ ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, ელინიზმის ხანის იურისტებმა მაინც მოახერხეს იურიდიულ კანონთა და ფორმულათა სრულყოფა.

რომაული სამართლის სისტემამ უდიდესი როლი ითამაშა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე იურისპრუდენციის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ სამართალი რომაელთა უდიდეს მიღწევადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

ძვ. წ. V საუკუნეში სოლონის კანონმდებლობის საფუძველზე შეიქმნა 12 დაფის კანონები, რომლის ძირითადი წყარო ადათები და ადათობრივი სამართალი იყო. ამან საფუძველი ჩაუყარა კანონმდებლობის შემდგომ განვითარებას. თავდაპირველად ამ პროცესებში უმთავრეს როლს ასრულებდა კანონთა კომენტირება. ასეთი განმარტებებით, ძირითადად, პონტიფებს ენიჭებოდა, ანუ ქურუმები იყვნენ დაკავებულნი. ამიტომ მათი გავლენა უდიდესი იყო.

ძვ. წ. 300 წელს ფლავიუსს ხელი მიუწვდა სამართლის წიგნებზე, რომლებსაც ქურუმები საგულდაგულოდ მალავდნენ, გამოაქვეყნა იურიდიული ლიტერატურა, რითაც საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო იურისპრუდენციის განვითარებას.

სამოქალაქო სამართალი (ius civile) მხოლოდ რომაელ მოქალაქეთა შორის გამოიყენებოდა. რომის იმპერიის საზღვრების ზრდამ კი საჭირო გახადა შემქნილიყო სამართლის ახალი განშტოება - ხალხთა სამართალი (ius gentium), რომელიც არეგულირებდა

ურთიერთობას რომის მოქალაქეთა და პერეგრინთა (peregrini – უცხოელები, ანუ რომაული იმპერიის მიერ დაპყრობილ პროვინციათა მცხოვრებნი) შორის.

სამართლის სისტემა სწორედ რომის იმპერიის პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. ძველ რომშივე გაჩნდა ბუნებითი სამართალი (ius naturae), საჯარო სამართალი (ius publicum), კერძო სამართალი (ius privatum) და, რაც ყველაზე მთავარია, იურიდიული გერმინოლოგია, რომლის ცოდნის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე სამართალმცოდნეობა.

რომის სამართლის სისტემა დღემდე წარმოადგენს სხვადასხვა ხალხების კანონმდებლობათა ძირითად ბაზას.

**მეთერთმეტე გაკვეთილისთვის**

ეკონომიკა

სიგრძის, მომა-წონისა და ფულის ერთეულები

სიგრძის სამომი ერთეულები

ბერძნებმა ევროპაში პირველებმა შემოიღეს მომა-წონის მუსტი აღნიშვნა. გადმოცემის მიხედვით, ეს არგოსელ მეფე ფილონს უნდა განეხორციელებინა.

	ბერძნული	რომაული	მიახლოებითი სიგრძე
რომაული მილი	—	mille passus	1478, 7 მ.
სტადიონი	στάδιον	stadium	179 მ.
საენი (ხელის შე- მოვლება)	ἄρπυιᾶ	—	1, 85 მ.
ორი ნაბიჯი	βήμα	passus	1, 48 მ.
წყრთა (იდაყვი)	πῦξ	cubitus	44, 4 სმ.
ფუტი (გერფი)	πῶς	pes	29, 6 სმ.
ხელისგული	πάλαιστη	palmus	7 სმ. 7 მმ.
ღვიში (ცოჯი)	δάκτυλος	digitus	1, 85 სმ.

თითოეული ერთეული თითქმის მუსტად ესადაგება ადამიანის სხეულის ნაწილების სიგრძეს.

სიგრძის ძირითადი სამომი ერთეული რომში იყო ფუტი. დიდი მანძილები კი ნაბიჯებით იზომებოდა.

- 1 pes = 16 digiti
- 1 passus = 5 pedes
- 1 mille = 1000 passuum

**წონის ერთეულები**

	ბერძნული	რომაული	მიახლოებითი წონა
ტალანტი	τάλαντον	talentum	26. 196 კგ
მინა	μνᾶ	mina	436. 6 გრ
ფუნტი	—	libra	327. 5 გრ
უნცია	—	uncia	27. 3 გრ
დრაქმა	δραχμή	—	4. 4 გრ.
სკრიპულუმი	—	skripulum	1. 14 გრ
ობოლოსი	ὀβολός	—	0. 7 გრ

**მოცულობის ერთეულები**

	ბერძნული	მიახლოებითი მოცულობა
მელიმნოსი (ხორბლის კასრი)	μέδυσος	52. 2 ლ.
ამფორა (ღვინის კასრი)	ἀμφορέας	26. 26 ლ.
კოკა	χίψος	3. 3 ლ.
კიაფი (ჩამჩა)	κύαθος	0. 045 ლ.

მოცულობის ერთეულების აღნიშვნის საფუძველს წარმოადგენს ჭიქა, რომელიც მუდამ ხელთ ექნებოდათ ბერძნებს ასაწყველად. ეს ბერძნული ჭიქა ოდნავ პატარა იყო თანამედროვე თლილ ჭიქაზე (200 გრ.).

**ფულის ერთეულები**

ფულის ერთეულთა სახელები მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბერძნებმა ვერცხლის მონეტის მოჭრა დაიწყეს (ოქრო საბერძნეთში თითქმის არ მოიპოვება). მანამდე კი, სანამ მონეტის მოჭრას დაიწყებდნენ, ყველაზე დიდი წონა იყო ტალანტი, რომლის მიღვაც ერთ კაცს შეეძლო. ყველაზე მცირე კი – ობოლოსი, იმდენი, რამდენსაც იწონიდა ერთად 12 ქერის მარცვალი.

ფულის მონეტების შემოღების შემდეგ ვერცხლის ის რაოდენობა – დრაქმა – რითაც ერთი ცხვრის ან ერთი კასრი ქერის ყიფა შეიძლებოდა, ძირითადი მონეტა და წონის ძირითადი ერთეული გახდა.

მინა, როგორც ფულის ერთეული, აღმოსავლეთიდან შემოვიდა. თავდაპირველად მონეტას მცირე რაოდენობით ჭრიდნენ, ამიტომ მათი ფასი დიდი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი დრაქმა შეესაბამება 1 ცხვარს, 5 დრაქმა კი – 1 ხარს. ხოლო შემდეგ, როცა ფულის მოჭრა უფრო ადვილი გახდა, ვიდრე ცხვრებისა და საქონლის მოშენება, მონეტები უფრო მომრავლდა, რამაც მათი მსყიდველობითი ღირე-

ბულების ცვლილება გამოიწვია. ასე რომ, უკვე 150 წლის შემდეგ, ერთი ხარი უკვე 50 დრაქმად ფასობდა. ამ პირობებში, ბუნებრივია, ამ ფულის ერთეულთა თანამედროვე ფასებთან შეფარდება აზრს კარგავს.

ათენში მონეტის ზედა მხარეზე ქალაქის მფარველი ლეთაება – ათენა იყო გამოსახული, მეორეზე კი მისი წმინდა ფრინველი – ჭოტი. კორინთოსში მონეტაზე პეგასოსი იყო ამოკვეთილი, ეფესოსში – ფუტკარი, ფოკისში – სელაპი, ეგინაში – კუ. შემდგომში მონეტაზე მითოლოგიურ სცენებსაც კი გამოხატავდნენ ხოლმე.

P.S. „ჭოტი ათენში ვინ ჩაიყვანა?“ ეს ანდაზა პირველად კომედიო-გრაფოს არისტოფანეს კომედია „ფრინველებში“ გვხვდება. ციცერონის განმარტებით, ეს ნიშნავდა მეტისმეტად მძიმე საქმის კეთებას. რადგან ჭოტი ათენას სიმბოლო იყო, მისი ათენში ჩაყვანა დიდი ქალღმერთის დასაკუთრებას ნიშნავდა. ამასთანავე, რადგან ამ პოლისის მონეტის უკანა მხარეზე სწორედ ეს ფრინველი იყო გამოსახული, გამოთქმას უკვე მეორე მნიშვნელობაც მიენიჭა – ათენში ფული ისედაც ბევრია.

ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში რომში სპილენძის (aes) მონეტების მოჭრა დაიწყო. მათ aes grave ეწოდებოდათ. იგი 1 ფუნტის 1/24 შეადგენდა და ამიგომ ყველაზე მცირე ერთეული გახდა.

ass – 13, 524 გ.

sestertius = 4 ass

თავიდან ფულად ანგარიშსწორებაში ძირითად ერთეულად სესტერციუსი ითვლებოდა, რომელსაც უბრალოდ მონეტას (nummus) უწოდებდნენ. ხოლო როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ ოქროს მონეტა (solidus „მაგარი, მასიური“) შემოიღო, ის იქცა რომში ძირითად ფულად ერთეულად.

### ვაჭრობა

ძვ. წ. VIII საუკუნიდან სავაჭრო ახალშენები საბერძნეთიდან შორს, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან გავრცელებულა.

ბერძნული პოლისები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ კოლონიებთან და ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებთან. გაჰქონდათ ზეთი, ღვინო, ჭურჭელი და ფუფუნების სხვა საგნები. შემოჰქონდათ ხე-ტყე, მაგყლი, სპილოს ძვალი, ლითონები, ოქრო და სხვ. მდიდარი ქალაქ-სახელმწიფოები დიდ სავაჭრო გემებს აგებდნენ და შორეულ ქვეყნებში გზავნიდნენ საქონლის ჩამოსატანად.

მოგვიანებით, ეს ბერძნული კოლონიები საბერძნეთის სავაჭრო პარტნიორებად იქცა.

ვაჭრობა გაჩაღებული იყო პოლისის შიგნითაც. ვაჭრები აგორაზე იყრიდნენ თავს. კომერციული საქმიანობის მრდასთან ერთად გაჩნდა საბანკო სისტემა. ბანკირები ვაჭრებს ფულს ასესხებდნენ, ისინი კი მოგებიდან ვალს ისტუმრებდნენ. სესხის საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალი იყო, რადგან საქონლის გემებით გატანა სახიფათო საქმიანობად ითვლებოდა.

ბერძნულ ბანკებთან შედარებით რომაული ბანკების მომსახურება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: რომაელს აქ ფულის სესხება შეეძლო (ოღონდ მოკლე ვადით და მაღალი პროცენტით 20-33 %). უფლება ჰქონდა სხვა ქვეყნის ფული რომაულ ფულზე გადაეცვალა და კრედიტით ესარგებლა.

რომისთვის არც მალაზიები და ბაზრები ყოფილა უცხო. მალაზიები მთავარ ქუჩებზე იყო განლაგებული. ოქრომჭედელთა სახელოსნოები, ბაზარი და საცხოვრები ფორუმზე უძველეს სავაჭრო ცენტრში მდებარეობდა.

### მეთორმეტე გაკვეთილისთვის

#### გრანსპორტი

მთავორიან საბერძნეთში კარგი გზები თითქმის არ იყო. ხმელეთზე ხანმოკლე მოგზაურობისათვის ბერძნები ურმებს იყენებდნენ, რომელთაც მძიმე გვირთი მთის ციცაბო ბილიკებზე მიჰქონდათ. ურმებში ცხენებს, ვირებს და ხარებს აბამდნენ. ხანდახან განსაკუთრებული კონსტრუქციის საგრანსპორტო საშუალებები გამოიყენებოდა. მაგ: ესპანეთიდან მინერალური წყალი სპეციალური ცისტერნებით მოჰქონდათ. ამ ცისტერნებს პატარა ონკანები ჰქონდა, რაც საშუალებას იძლეოდა წყალი ჩამოსხმით გაეყიდათ.

ბერძენთა უმრავლესობა ზღვის მახლობლად ცხოვრობდა, ამიგომ საქონლის გადატანის ყველაზე იოლი საშუალება გემი იყო. დიდი სავაჭრო გემები საქონლის დიდ მანძილზე გადასამიდად გამოიყენებოდა. ამინდის ცვლილება ზღვაში გასული მემღვაურებისათვის მთავარი საზრუნავი იყო, თუმცა ისინი არც მეკობრეთაგან იყვნენ დაცულნი. ხმელთაშუა ზღვაში მძიმედ დატვირთული არაერთი ჩაძირული გემია ნაპოვნი.

ათენი ძველთაგანვე ცნობილი იყო როგორც უდიდესი და უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო. ბერძნული მითებიდან კარგად ჩანს, რომ შორეული საზღვაო მოგზაურობები უცხო არ ყოფილა მათთვის. ჯერ კიდევ უხსოვარ დროში ბერძნები აღწევდნენ სამხრეთ გალიას, ესპანეთს, პრიგანეთს, აფრიკასა და ინდოეთს.

რომიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობდა ოსტიის ნავსადგური, რომელიც რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში სამხედრო ფლოტის ბაზა ყოფილა, შემდეგ კი იმპერატორ კლავდიუსის (41-54 წწ.) მმართველობის დროს უდიდეს სავაჭრო ნავსადგურად ქცეულა.

ხმელეთზე საქონლის გრანსპორტირებას დიდი დროც სჭირდებოდა და ძვირიც ჯდებოდა, ამიტომ ამჯობინებდნენ საქონელი ზღვასა და მდინარე ტიბერისზე ნავებითა და გივებით გადატანათ.

**მეცამეტე გაკვეთილისთვის**  
**პიდრომეტეოროლოგია**

თანამედროვე მეტეოროლოგიის სათავეებთან არისგოტელე იდგა. გრაქტატი „მეტეოროლოგია“ იგი განიხილავდა ატმოსფერულ მოვლენებს, ცდილობდა ჩასწვდომოდა ელვის, ჭექა-ქუხილის, წვიმის, მიწისძვრის არსს. მანვე ჩაუყარა საფუძველი ბუნებრივ მოვლენათა რაციონალურ ახსნას.

სიტყვა „კლიმატი“ თავდაპირველად დედამიწის ღერძის გადახრას აღნიშნავდა, რომელიც დღე-ღამის ხანგრძლივობას განსაზღვრავდა. ტერმინი მისი თანამედროვე მნიშვნელობით პირველად ძვ. წ. IV-III საუკუნეში უნდა გამოყენებინათ. სწორედ ამ დროს მიიღო მან პარალელური სარტყელის, ზონის მნიშვნელობა. დედამიწის ზონებად დაყოფას პარმენიდეს მიაწერდნენ. ძველი ბერძნები იმასაც კი უკვირდებოდნენ, თუ როგორ შემოქმედებას ახდენდა კლიმატი სხვადასხვა ხალხის ხასიათსა და მზე-ჩვეულებებზე.

საინტერესოა, რომ ბერძნებს ქართა განმასახიერებელი ღვთაებებიც კი ჰყავდათ. ბორეასი ჩრდილოეთის მსუსხავი ქარი იყო, ძეფიროსი კი – დასავლეთის თბილი ნიაჲი.

**მეთოთხმეტე გაკვეთილისთვის**  
**ასტრონომია**

ძველ საბერძნეთში ასტრონომია ფილოსოფიის ჩარჩოებში ვითარდებოდა. ასტრონომიის პრობლემებით თავდაპირველად თაღესი დაინტერესებულა. იგი თვლიდა, რომ დედამიწა ბრტყელი დისკო იყო, რომელიც ოკეანეში დატურავდა. ფილოსოფოს ანაქსიმანდროსს ყურადღება გაუმახვილებია ზეციურ მნათობთა სიდიდესა და მოძრაობაზე. პითაგორელმა ფილოსოფოსმა ფილოლაოსმა კი პირველმა აღნიშნა, რომ დედამიწის ოცდაოთხსაათიანი ბრუნვა იწვევდა დღისა და ღამის ცვლას.

ალექსანდრიელი ასტრონომები ამტკიცებდნენ, რომ დედამიწას სფეროსებრი ფორმა ჰქონდა. მათ ლოგიკურად იმსჯელეს სამყაროში სტიქიათა ურთიერთმიმართებასა და განლაგებაზე: ყველაფერს, რაც ამ ქვეყნად მყარია, დედამიწის გული იზიდავს – ეს არის მიწა. თხევადი მასებაც ქვემოთ მიიზიდება და გარს ეკერის მიწას. ჰაეროვანი მასები ზემოთ მიიმართება (მაგ. წყლიდან ამოსული ჰაერის ბუშტები). ცეცხლოვანი მასები კი ყველაზე შორს მიიწევს, ცეცხლი, ელვა, ჭექა-ქუხილი, მზე, ვარსკვლავები დედამიწას მეოთხე ფენად აკრავს.

ეს ოთხი სტიქია სწორ ხაზზე მოძრაობს, ზოგი ზემოთ, ზოგი ქვემოთ. მაშ რისგან შედგება ცა? ამის პასუხი არისგოტელემ იპოვა: ცაზე სწორხაზოვანი მოძრაობები არ არის, იქ მხოლოდ წრიულია (ამის მაგალითად კი პლანეტები და ვარსკვლავები მოიყვანა). ე. ი. ჩვენს ზემოთ ახალი, განსაკუთრებული მეხუთე სტიქიაა „აალებადი“ – „ეთერი“. შემდეგ ამას ლათინურად კვინტესენციას „მეხუთე სტიქიას“ უწოდებენ.

ამ უსასრულო ეთერში შვიდი პლანეტა მოძრაობს, ამიგომაც ჰქვია მათ „პლანეტები“, ანუ „ცთომილი, მოძრავი, მოხეტიალე“.

სამოსულმა ასტრონომმა არისტარქოსმა (ძვ. წ. 320-250) შეძლებისდაგვარად განსაზღვრა მანძილი მზესა და მთვარეს შორის და მათი დაშორება დედამიწისაგან. მანვე წამოაყენა ჰიპოთეზა პელიოცენტრული სისტემის შესახებ, რამაც მხოლოდ 18 ასწლეულის შემდეგ პოვა გაგრძელება ნ. კოპერნიკის შრომებში. არისტარქოსი მიიჩნევდა, რომ მზე და ვარსკვლავები უძრავნი და ძალიან დაშორებულნი იყვნენ დედამიწიდან. დედამიწა კი თავის ღერძზე მზის გარშემო გრიალებდა და ოდნავ გვერდზე იყო გადახრილი.

**ასტროლოგია**

კლასიკური ხანის საბერძნეთში ასტროლოგიას, როგორც მეცნიერების დარგს, არ სცნობდნენ. ასტროლოგიით მხოლოდ მოგვიანებით, ელინისტურ ეპოქაში დაინტერესდნენ. ალექსანდრიის ასტრონომიულ ობსერვატორიაში ასტროლოგიითაც იყვნენ გატაცებულნი. სწორედ მაშინ გაჩნდა პლანეტათა, თანავარსკვლავედთა და ზოლიაქოს ნიშანთა სახელები:

- |                  |                          |
|------------------|--------------------------|
| კურო – Aries     | სასწორი – Libra          |
| ვერძი – Taurus   | ღრიანკალი – Scorpius     |
| ტყუპები – Gemini | მშვილდოსანი – Arcitenens |
| კაბო – Cancer    | თხის რქა – Caper         |
| ლომი – Leo       | მერწყული – Amphora       |

ძირითადი ყურადღება მიექცა იმ ხაზს, რომელიც შემდეგ 12 თანავარსკვლავედად დაიყო. ბერძნებმა ისინი მითებს მიუსადაგეს. ვერძი იყო ოქროს ცხვარი, რომლის გყავსაც შემდგომ „ოქროს საწმისი“ დაერქვა. კუროდ ბევსი იქცა, რათა ევროპე მოეგაცემინა. ტყუპები ძმები დიოსკურები იყვნენ. კირჩხიბი ის არსებაა, რომელმაც პერაკლე დაკბინა, როდესაც გმირი ლერნეს პიდრას ებრძოდა. ლომი ნემეის ლომია. ქალწული – სიმართლის ქალღმერთი და იქვე სასწორო, მისი სამართლიანობის სიმბოლო. ღრიანკალი – ურჩხულია, რომელმაც ორიონი მოკლა. სხვა ბევრ თანავარსკვლავედას და ვარსკვლავს ბერძნები მრავალ მითს არგებდნენ.

პირველი პიროსკოპები გვიჩვენებდნენ ზოდიაქოს ნიშანთა განლაგებას გარკვეული მომენტისათვის. ძალიან პოპულარული იყო მათ მიხედვით მომავლის წინასწარმეტყველება როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ინდივიდუალურად რომელიმე პიროვნებისათვის. ზღე-ბოდა რაიმე საქმიანობისათვის (განსაკუთრებით პოლიტიკური) ხელსაყრელი დროის განსაზღვრა. თუმცა ასტროლოგები ხშირად იმასაც განუმარტავდნენ ხალხს, თუ რომელ დღეს რისი კეთება იყო უმჯობესი. მაგ: ოთხშაბათს, მერკურის დღეს, კარგი იქნებოდა ფრჩხილების დაჭრა, ხუთშაბათს კი, იუპიტერის დღეს – წვერის შესწორება.

### **მეთხუთმეტე გაკვეთილისთვის** **გეოგრაფია**

გეოგრაფია თავდაპირველად მითოლოგიის ნაწილი იყო. პომპროსს დედამიწა მრგვალ დისკოდ წარმოედგინა, რომელსაც გარს ოკეანე ერგვა. აგლასი, პერაკლეს სვეტები, პესპერიდების ბაღი, ყველაფერი ის, რაც არგონავტების მოგზაურობაშია გადმოცემული, იმაზე მიგვითითებს, რომ ძველ ბერძნებს გარკვეული (თუმცა მინიმალური) წარმოდგენა ჰქონდათ გეოგრაფიაზე, ქვეყნებზე, მღვებზე და ა. შ. პირველი რუკა ძვ. წ. 550 წელს ანაქსიმანდროსს შეუდგენია. მოგვიანებით განსაზღვრეს ქვეყნის მხარეებიც: ჩრდილოეთი ზემოთ, სამხრეთი – ქვემოთ. ასე რომ, დედამიწა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ჩრდილოეთი – ევროპა და სამხრეთი – აზია, რომელთა საზღვარიც გიბრალტარსა და ხმელთაშუა ზღვაზე გადიოდა.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა საგრძნობლად გაზარდა გეოგრაფიული ცოდნა. ამ დარგის ახალი მიმართულება ხოროგრაფიაც (χάρτα „ქვეყანა“) „ქვეყნის აღწერა“ კი გაჩნდა. ამ მეცნიერების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეუტანიათ ძველ გეოგრაფებს:

ერატოსთენესს, სტრაბონს, პოლიბიოსს და სხვებს. მოგვიანებით, ცილინდრული პროექციის რუკებზე კოორდინატთა ბადეც კი გაჩნდა 8 პარალელითა და 15 მერიდიანით. თვალსაწიერი გაფართოვდა და ძველ ბერძნთა თვალთახელებაში ირლანდია და ჩინეთიც კი მოექცა.

პტოლემეაიოსმა ისიც კი ივარაუდა, რომ ინდოეთის ოკეანის ბოლოს უცნობი კონტინენტი უნდა ყოფილიყო.

პირველი გლობუსი კრატეს მალოსელს შეუქმნია ძვ. წ. II საუკუნეში.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ქალაქი ალექსანდრია იმ დროს განათლების კერას წარმოადგენდა. სწორედ მაშინ განაშენეს ბერძნებმა დედამიწა. ეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წინამძღვარ ერატოსთენესს მოუხერხებია. ეგვიპტეში იყო ქალაქი სიენა, სადაც ყოველ 22 ივნისს მზე ზენიტში ისე იმყოფებოდა, რომ საგნებს ჩრდილები არ უჩნდებოდათ. სწორედ ამით ისარგებლა მეცნიერმა. ქალაქი ალექსანდრია სიენასაგან ჩრდილოეთით მდებარეობდა. აქ გაზომა ერატოსთენესმა ჩრდილთა დაცემის კუთხე და დაასკვნა, რომ მანძილი ამ ორ ქალაქს შორის იქნებოდა 50000 სტადიონი, რადგან ჩრდილის გრადუსი 7-ს უდრიდა. ხოლო რადგან 50000 ეგვიპტური სტადიონი 800 კილომეტრს უდრიდა, რაც დედამიწის დიამეტრის 1/5 იყო, დაასკვნა, რომ დედამიწის დიამეტრი 40000 კმ. უნდა ყოფილიყო.

სწორედ ასეთი გაზომვის შემდეგ დამკვიდრდა სიგრძის საზომი ერთეული „მეტრი“.

\*\*\*

### **ქვეყნის მხარეები**

septentrio, onis // ἄρκτος – ჩრდილოეთი  
occidens, entis // βῆσις – დასავლეთი  
oriens, entis // ἀνατολή – აღმოსავლეთი  
meridies, ei // μεσημέριον – სამხრეთი

### **მეთექვსმეტე გაკვეთილისთვის** **ბიოლოგია**

ანტიკურ ეპოქაში ბიოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება არ არსებობდა. ბიოლოგიური ცოდნა დაგროვილი იყო რელიგიურ რიტუალებსა და მედიცინაში. აქ ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწავლებას ოთხი სითხის შესახებ. ბიოლოგიის, როგორც მეცნიერებას, ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა არისტოტელემ. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა გამო მას ბევრი სახის მცე-

ნარე ჰქონდა ხელთ, რომლებმაც მეცნიერულ დაკვირვებებს აწარმოებდა. ჩვენამდე არისტოტელეს ბოტანიკურ ნაშრომებს არ მოუღწევიათ.

ბოტანიკის მამად შეიძლება ჩაითვალოს თეოფრასტოს ეფესოსელი, რომელმაც თავის ნაშრომებში 500-მდე მცენარის თვისებები აღწერა. სწორედ ამ ნაშრომებს ეყრდნობოდა ანტიკური ფარმაკოლოგია.

არისტოტელეს შრომებს ბოლოლოგიაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ XVIII საუკუნემდე მათ ეყრდნობოდნენ არისტოტელემ პირველმა დაყო ცხოველები სისხლიანებად (თანამედროვე ხერხემლიანები) და უსისხლოებად (თანამედროვე უხერხემლოები). იგი ემბრიოლოგიის პრობლემებითაც ყოფილა დაინტერესებული. სტოიკოსები ძენონი და სენეკა ბოლოლოგიასა და ინსტიქტებს უკვირდებოდნენ.

ბოლოლოგიის განვითარებას რომში იმ დონისათვის არასდროს მიუღწევია, როგორცაც საბერძნეთში მიაღწია, თუმცა აღსანიშნავია პლინიუს უფროსის ნაშრომები, სადაც იგი უკვე ახდენს ცხოველთა კლასიფიკაციას და ყოფს მათ წყლის, მიწისა და ჰაერის ცხოველებად.

გვიანი ანტიკურობის მედიცინასა და ბიოლოგიაზე უდიდესი გავლენა მოუხდენია პერგამონელ გალენოსს. ცხოველთა კვებაზე მის დაკვირვებებსა და გამოკვლევებს მნიშვნელობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ დაუკარგავს.

### **მეზოლოგიის განვითარების**

#### **ფიზიკა**

ფიზიკა და ქიმია ნაკლებად პოპულარული მეცნიერებები იყო. ძველი ბერძნები კარგი მათემატიკოსები და ცუდი ფიზიკოსები იყვნენ, რაც მარტივი მიზეზით იხსნებოდა: მათემატიკა გონებრივ განსჯას და გათვლას მოითხოვდა, ფიზიკასა და ქიმიაში კი აუცილებელი იყო ხელსაწყოთა გამოყენება, რაც არისტოკრატი ბერძნებს ნაკლებად ხიბლავდა და მათი ხელში აღება დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, ამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის ბევრი რამ გაკეთდა ანტიკურ ხანაშივე.

### **სწავლება ოთხი სტიქიის შესახებ**

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ემპედოკლესი (ძვ. წ. 483-423) სასწაულმოქმედებით, წინასწარმეტყველებითა და სამკურნალო საქმით

იყო სახელგანთქმული. სუბსტანციების შესახებ მისი ფილოსოფიის ძირითადი ნაწილი შეიძლება თანამედროვე ფიზიკასა და ფსიქოლოგიასთანაც დაავაკავშიროთ:

ბერძენთათვის ცნობილ სამ ძირითად სტიქიას: წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ემპედოკლესმა მეოთხეც – მიწა დაუმატა. ეს ოთხი ელემენტი უცვლელია – ერთი მეორედ ვერ გარდაიქცევა. ბუნების მრავალფეროვნება კი ამ ოთხი ელემენტის შეერთება-გათიშვით აიხსნება. ამ პროცესს კი მიზეზი ესაჭიროება. ეს მიზეზი მონახა ემპედოკლესმა: ეს იყო სიყვარულისა და სიძულვილის ძალა, რომლებმაც ამ სუბსტანციებს მოძრაობა და მნიშვნელობა შესძინა. მან პირველმა სცადა აეხსნა ორგანული ბუნების წარმოშობა. სიყვარულისა და სიძულვილის ძალები მოიხმო ფილოსოფოსმა ორგანიზმების წარმოშობის ასახსნელად.

სწავლება ოთხი სტიქიის შესახებ ემპედოკლესმა პითაგორელთა გავლენით შემოიღო. მოგვიანებით მისმა თანამედროვე ალკმონმა ასევე ოთხი ელემენტისაგან შემდგარად წარმოიდგინა ადამიანის სხეული: სისხლი, ლორწო, ყვითელი ნალექი და შავი ნალექი. ითვლებოდა, რომ თუ მათ შორის თანაფარდობა იყო, ადამიანი ჯანმრთელი იქნებოდა. ადამიანის ხასიათის ნიშნებიც ამ ოთხ სითხეზეა დამოკიდებული, რომელსაც ოთხი ძირითადი ტემპერამენტი (temperi „ფურევი“) შეესაბამება: სანგვინიკი „შხნე“ – სისხლი, ფლეგმატიკი „უხალისო“ – ლორწო, ქოლერიკი „ფეთქებადი“ – ყვითელი ნალექი, მელანქოლიკი „მოლუშული“ – შავი ნალექი.

ემპედოკლესისეული ოთხი სტიქია თანამედროვე მეცნიერებაშიც ოდნავ შეცვლილი სახით გამოიყენება; ნივთიერების ოთხი მდგომარეობა არსებობს: მყარი, თხევადი, აირისებრი და პლაზმა.

### **მეთურამეტიკის განვითარების**

#### **ქიმია**

ქიმია ძველად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელოსნობასთან. ძველმა ბერძნებმა უკვე იცოდნენ მეტალთა მოპოვება, მინის დამუშავება, ალკოჰოლურ სასმელთა დაყენება, მინერალური და ცხოველური საღებავების, წამლებისა და შხამების დამზადება.

როგორც თანამედროვე ფიზიკა ეყრდნობა ემპედოკლესის სტიქიებს, ასევე თანამედროვე ქიმია – დემოკრიტეს აგომისტურ თეორიას.

დემოკრიტე ბერძენი „ფიზიკოსების“ ხაზს აგრძელებს. მისი ფილოსოფია ბუნების თვისებათა ახსნას ემსახურება, სინამდვილე კი,

როგორც ფაქტი, სიმრავლესა და მოძრაობასთანაა კავშირში. მოძრაობისათვის აუცილებელი პირობაა სიყარილე: თუ არის მოძრაობა, უნდა იყოს გადაადგილების შესაძლებლობაც ე. ი. შეუვსებელი ადგილი. ამასთანავე, ყველაფერი შედგება მცირე, დაუმლევი სუბსტანციისაგან, რომელსაც დემოკრიტემ „აგომოს“ უწოდა. აგომის არსებითი ნიშნებია: განუყოფლობა, სისრულე, შეუვალობა, მოძრაობა, მარადიულობა და ღრთში უცვლელობა.

აგომთა რიცხვი უსასრულოა, ჩამოთვლილი ნიშნები აგომთა საერთო ნიშნებია, ამის გარდა, აგომებს ახასიათებს ისეთი თვისებები, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებთ: სიდიდე, ფორმა, წყობა, მდგომარეობა. რადგან აგომები თავისი ბუნებით მარადიულნი არიან, ამიტომ მრავალფეროვანი ბუნების ასახსნელად დემოკრიტეს უნდა დაეშვა აგომთა განსხვავება. აგომებს არ გააჩნია ფერი, სუნი და გემო, რადგან ისინი უცვლელნი არიან. ამ თვისებათა მქონე სხეულები კი იცვლებიან: იძენენ ან კარგავენ რაიმეს.

დემოკრიტეს შესახებ არის გოგლე წერდა, რომ იგი „ამროვნება ყველაფერზე“. მასზე ამბობდნენ, რომ ცნობისმოყვარე და ინტერესიანი პიროვნება ყოფილა. თითქოს უთქვამს კიდეც: „ერთი მოვლენის ახსნის პოვნა უფრო სასიხარულოა, ვიდრე სპარსეთის მეფედ ყოფნა“.

დემოკრიტე ქალაქ აბდერაში დაბადებულა. მამამისი იმდენად შეძლებული ადამიანი ყოფილა, რომ იგი გამასპინძლებია სპარსეთის მეფის მთელ არმიას. პატივისცემის ნიშნად ქსერქსეს მისთვის შეიღის აღმზრდელებიც კი დაუტოვებია.

მამის გარდაცვალების შემდეგ დემოკრიტეს უარი უთქვამს მამისეულ ქონებაზე და განმარტოვებულა. მამისეული ქონების გაფლანგვის ბრალდებით იგი სასამართლოს გადასცეს. სასამართლოზე დემოკრიტეს თავისი ნაშრომი „დიდი დიაკოსმოსი“ წაუკითხავს. რის გამოც მოსამართლეებმა გიჟად მიიჩნიეს. მის სამკურნალოდ კი სახელგანთქმული ჰაიოკრატე მოიწვიეს. ექიმი გაესაუბრა „პაციენტს“, შემდეგ კი აბდერელებს განუცხადა: დემოკრიტე ბრძენია, გიჟები კი თვითონ ხართო. ხალხმა მას „მოცინარი ფილოსოფოსი“ შეარქვა.

\*\*\*

ბევრი ქიმიური ელემენტის სახელწოდება მჭიდროდ არის დაკავშირებული ბერძნულ და ლათინურ ძირებთან:

He ჰელიუმი – ἥλιος „მზე“

Ne ნეონი – νέος „ახალი“

Ar არგონი – ἀργός „უმოქმედო“

Kr კრიპტონი – κρυπτός „დაფარული“  
Xe ქსენონი – ξένος „უცხო“

### მეცხრამეტე გაკვეთილისთვის ტექნიკა

საბერძნეთში ბევრი სახელოსნო იყო. მწარმოებელი თვითონვე ჰყიდა თავის საქონელს. განსაკუთრებით გავრცელებული იყო თიხის ნაწარმისა და ქსოვილთა დამამზადებელი საწარმოები.

საბერძნეთი ძველთაგანვე უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოდ ითვლებოდა, ამიტომ მრავალ პოლისს, განსაკუთრებით კი ათენს, დიდი ფლოტი ჰყავდა. ძვ. წ. 704 წელს გაჩნდა დიერა, საბრძოლო გემი, რომელმაც ნიზბოსნები ორ რიგად იყენებ განლაგებულნი. ყველაზე სწრაფი გემი კი ტრიერი იყო, რომელსაც 170 მენიხზე მართავდა. სწრაფი ტრიერი ბერძნულ კლასიკურ საბრძოლო გემად იქცა. იგი ადვილად ეწეოდა მტრის ხომალდს და იერიში მიჰქონდა ნებისმიერი პოზიციიდან. გემის ქიშს წვეგისანი ცხვირი ჰქონდა, რითაც მოწინააღმდეგის გემს ადვილად აზიანებდა.

საბრძოლო გემებს გარდა, ბერძნები სავაჭრო ორიალქნიან გემებსაც აგებდნენ.

ბერძნული საცხოვრებელი სახლები განსაკუთრებული დახვეწილობით არ გამოირჩეოდა – ისინი ხისა და კირქვისაგან შენდებოდა. დიდი შენობების ასაგებად კი მექანიკურ საშუალებებს იყენებდნენ: სამშენებლო კონსტრუქციებს, გვირთის ამწე მოწყობილობებსა და სხვ.

საინჟინრო საქმეში ბერძნებზე მეტად დაწინაურდნენ რომაელები. ამ სფეროში რომაელებს ბადალი არ ჰყავდათ არც მამის და არც შუა საუკუნეების ევროპაში. ტექნიკური სიახლეები, ძირითადად, გამოიყენებოდა სამხედრო საქმეში, გემთმშენებლობაში, მეტალურგიაში, წყალგაყვანილობაში, მშენებლობასა და არქიტექტურაში. ძველ რომში იყენებდნენ წყლის ენერგიას, რომელსაც წყლის ბორბალი წარმოქმნიდა, თუმცა ტექნიკის განვითარებას მაინც ხელს უშლიდა მონათმფლობელური წყობილება, რადგან მონის შრომის გამოყენება უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე გამოცდილი ინჟინრის დასაქმება.

ათასწლეულები დასჭირდათ ევროპელებს, რომ გზების გაყვანაში, წყლის მომარაგების სისტემასა და სხვადასხვა საინჟინრო ტექნოლოგიებში რომაელებს გათანაბრებოდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემები, შადრევნები, აბანოები და წყლის წისქვილები.

რომაულ ქალაქებს სასმელი წყალი მთებისა და ხეობების გაელით მიღებითა და არხებით (ე. წ. აკვედუკებით) მიეწოდებოდა.

შენობაში სითბოს შენარჩუნება საინგერესოდ ხდებოდა: ჰაერი ღუმელში ცხელდებოდა და იატაკის ქვეშ და კედლებში გაყვანილ მილებში მიედინებოდა. ნებისმიერ ოთახში შესაძლებელი იყო ტემპერატურის აწვე-დაწვევა. სწორედ ამის გამო რომში აბანოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

რომაელთა უმრავლესობა აბანოში დღეში ერთხელ, საღამოობით დადიოდა. აბანო მხოლოდ საბანაო და სავარჯიშო ადგილი კი არ იყო, არამედ გართობისა და სპორტის, აგრეთვე სოციალური ცხოვრების ცენტრიც. საზოგადოებრივი აბანო ყველა პატარა რომაულ ქალაქს ჰქონდა, რომში კი ასობით იყო. ყველაზე ცნობილი კარაკალას უმარმაზარი აბანო II ჰექტარზე იყო გაშენებული, რომელიც მოზაიკითა და მარმარილოთი მოეპირკეთებინათ. აბანოთა უმრავლესობა უფასო იყო.

რომში ექვსსართულიანი სახლებიც კი იყო, მაგრამ იაფი მასალით აგებული ადვილად ინგრეოდა. ახ. წ. II საუკუნიდან მრავალბინიან სახლებს მდიდრებისთვისაც აგებდნენ. შელესილკედლებიან აგურის სახლებში ყველა ბინას საკუთარი გუალები და სამზარეულო, წყალ-გაყვანილობა და კანალიზაცია ჰქონდა.

ძვ. წ. I საუკუნეში მინის ბერვის ტექნიკა დაამუშავეს და მალე მინის ნაკეთობები მთელ იმპერიაში გავრცელდა.

მთაგორიან საბერძნეთში გზები თითქმის არ იყო, რომის იმპერიის გზებს კი ჯარისკაცები აგებდნენ. ქვით მოკირწყლულ გზებს გვერდებზე ბორღიურები გასდევდა, ხოლო გზის მუდამიერი ცენტრიდან კიდისაკენ იყო დაქანებული, წვიმის წყალი გზაზე რომ არ დაგუბებულყო.

### **მეოცე გაკვეთილისთვის**

#### **მათემატიკა**

#### **წელიწადი, თვეების სახელწოდებები**

ძველი რომაული მთვარის წელიწადი ათი თვისაგან შედგებოდა. ამ თვეთა მაშინდელი სახელები დღესაც გამოიყენება. ათთვიან კალენდარს შემდეგ ორი თვე მიუმატეს: იანვარი და თებერვალი, რომლებიც 10 თვეს ბოლოში დაერთო.

რომაული კალენდარი ასე გამოიყურებოდა: თვეთა სახელწოდებები ჯერ მედსართავი სახელები იყო და იხმარებოდა სიტყვა mensis-სთან (თვე) ერთად:

mensis Martius – მარტის თვე (მარსის პატივსაცემად)

mensis Aprilus – აპრილის თვე

mensis Majus – მაისი

mensis Junius – ივნისი (იუნოს პატივსაცემად)

შემდეგი ექვსი თვე გვიჩვენებდა, წლის დასაწყისიდან მერამდენედ ითვლებოდა ეს თვის თვე.

mensis Quintilis – მეხუთე თვე (რომელსაც შემდგომ იულიუს კეისრის პატივსაცემად ივლისი (Iulius) ეწოდა)

mensis Sextilis – მეექვსე თვე (რომელსაც შემდგომ ავგუსტუსის პატივსაცემად ავგუსტო (Augustus) ეწოდა)

mensis September – მეშვიდე თვე

mensis October – მერვე თვე

mensis December – მეთათე თვე

შემდეგ დაემატა:

mensis Ianuarius – იანვრის თვე (ღმერთ იანუსის პატივსაცემად)

mensis Februarius – თებერვლის თვე (განწმენდის თვე – februare „განწმენდა“)

ეს წელიწადი 355 დღეს შეიცავდა, რასაც ოთხ წელიწადში ერთხელ კიდევ ერთი თვე ემატებოდა mensis intercalaris „ჩამატებული, ჩართული თვე“.

იულიუს კეისარმა ძვ. წ. 46 წელს ალექსანდრიელი მათემატიკოსისა და ასტრონომის, სოსიგენესის რჩევით შემოიღო მზის წელიწადი. წელიწადი შეადგენდა 365, 25 დღეს. ეს 1/4 ყოველ მეოთხე წელს ერთ დღეს ქმნიდა. ასე რომ, ყოველი მეოთხე წელი იყო ნაკიანი, ე. ი. თებერვალში 29 დღე იყო.  $(365 + 365 + 365 + 366 = 1461)$  ეს იყო მზის ოთხწლიან ციკლთან მისადაგებული წელიწადი, თვეში არათანაბარ დღეთა რაოდენობით: 28 – 29 თებერვალში, 30 – აპრილი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი; 31 – იანვარი, მარტი, მაისი, ივლისი, ავგუსტო, ოქტომბერი, დეკემბერი; ისე როგორც ეს დღესაც მიღებული. წლის დასაწყისი კეისარმა იანვარში გადმოიტანა, რადგან ამ დროს იწყებდნენ თავის მოვალეობათა შესრულებას კონსულები.

P.S. „ძველი სტილის“ კალენდრით მოგიერთი მართლმადიდებლური ეკლესია დღესაც სარგებლობს. თანამედროვე სამყარო კი იყენებს უფრო ზუსტ ასტრონომიულ კალენდარს – გრიგორიანულს, რადგან რომის პაპი გრიგორიუს XIII 1582 წელს გახდა ინიციატორი „ახალი სტილის“ კალენდრის შემოღებისა.

**თვე – რიცხვი**

თვეების დღეები განისაზღვრებოდა მთვარის ფაზებით. ყოველ თვეში იყო სამი განსაკუთრებული დღე:

Kalendae (Kal.) კალენდები – პირველი დღე (ახალი მთვარე)

Nonae (Non.) ნონები – თვის V ან VII დღე (მთვარის მეორე ფაზა)

Idus (Id.) იდები – XIII ან XV დღე (სავსე მთვარე)

ნონები VII და იდები XV დღე იყო მარტში, მაისში, ივლისში და ოქტომბერში. სხვა თვეებში კი ნონები V, ხოლო იდები XIII დღე იყო. მაგ: Nonis Februarii – 5 თებერვალი; Nonis Maius – 7 მაისი.

დანარჩენ დღეებს კი იმით ითვლიდნენ, თუ რამდენი დღე იყო დარჩენილი რომელიმე განსაკუთრებულ (Kal. Non. Id.) დღემდე. თვის პირველ რიცხვს ითვლიდნენ შემდგომი ნონებიდან, შემდეგ როდესაც ნონები გავიდოდა იდებიდან, ხოლო თვის ბოლო რიცხვები მომავალ კალენდებთან მიმართებით გამოითვლებოდა უკუთვლით. მაგ: 24 ივლისის – ante diem IX Kalendas Augustis. მუღმივი რიცხვების წინა დღე აღინიშნებოდა სიტყვით pridie „წინა დღე“.

**კვირა**

რომაელებს თავდაპირველად რვადღიანი კვირა ჰქონდათ, ხოლო შემდეგ ებრაელებისაგან გადაიღეს შვიდდღიანი კვირა (a. D. I საუკუნე). მათგან 1 დღე დასასვენებელი იყო, ექვსი კი – სამუშაო.

რომაელებმა კვირის დღეებს თავის ღმერთთა სახელები უწოდეს:

Dies Solis – მზის დღე (კვირა)

Dies Lunae – მთვარის დღე (ორშაბათი)

Dies Martis – მარსის დღე (სამშაბათი)

Dies Mercurii – მერკურიუსის დღე (ოთხშაბათი)

Dies Iovis – იუპიტერის დღე (ხუთშაბათი)

Dies Veneris – ვენუსის დღე (პარასკევი)

Dies Saturni – სატურნუსის დღე (შაბათი)

**საათი**

დღე-ღამე ორ ნაწილად იყოფოდა: მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე – დილის 6-დან საღამოს 6-მდე სულ 12 საათი. ხოლო საღამოს 6-დან დილის 6-მდე – 12 საათი.

ღამის 12 საათი კი 4 vigilia „სიფხიბლედ“ იყოფოდა. თითოეული ვიგილია 3 საათს გრძელდებოდა:

prima vigilia – საღამოს 6–9-მდე

secunda vigilia – საღამოს 9–12-მდე

tertia vigilia – ღამის 12–3-მდე

quarta vigilia – ღამის 3–6-მდე

ღამის ასეთი დაყოფა პატრულირებასთან იყო დაკავშირებული. ა. მ., Caesar in Britanniam fere tertia vigilia solvit – კეისარმა ბრიტანიისაკენ დაახლოებით მესამე გუშაგობის დროს გასცურა. ე. ი. დაახლოებით ღამის 12-დან 3-მდე.

P.S. საათებად დღე-ღამის დაყოფაც რომში შემოუღიათ. პირველად ეს მოხდა რომში მზის საათის (horologium solarium ან solarium descriptum) გაჩენის შემდეგ ძვ. წ. 291 წელს. მოგვიანებით, ძვ. წ. 164 წელს ცენზორმა ლუციუს ფილიპემ შემოიღო წყლის საათი (solarium ex aqua).

**ოცდამეერთე გაკვეთილისთვის****მათემატიკა****არქიმედე**

სირაკუზელმათემატიკოს არქიმედემ ბევრი ლეგენდა არსებობდა. მათემატიკის ნაკლებად მცოდნე ბევრ ანეკდოტს ჰყვებოდნენ მასზე, რადგან მიიჩნეოდნენ, თითქოს იგი იმდენად იყო დაკავებული მეცნიერებით, რომ სმა-ჭამა ავიწყდებოდა. ყველგან, სადაც კი ჩამოჯდებოდა, რკალებსა და სამკუთხედებს ხაზავდა.

ამბობენ, თითქოს არქიმედემ ბანაობისას შიშველი გადმოხტა აბაზანიდან, დარბოდა სირაკუზის ქუჩებში და ყვიროდა „ევრიკა, ევრიკა“. მან აღმოაჩინა მეთოდი, რითაც შეეძლოთ საგნის მასის გამოვლა (პიდროსტატიკის კანონი).

მასვე მიეწერება იმ დროისათვის უცნაური საბრძოლო მანქანის – კატაპულტის შექმნა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეს.

არქიმედემ ბერკეგის მოქმედების მექანიზმი შეისწავლა და უდიდესი გემი ამ ბერკეგის მეშვეობით მარტომ ჩაუშვა ზღვაში, ამით აღფრთოვანებულია ეგვიპტის მეფე პტოლემეაიოსი. დიდ მეცნიერს კი მორცხვად უპასუხია: „მომეცით საყრდენი წერტილი და მთელ დღეამიწას გადავატრიალებო“.

არქიმედეს შეუქმნია იმ დროისათვის პირველი პლანეტარიუმი. უდიდეს მოწყობილობაში ყველა პლანეტა ხელოვნურად შექმნილ ცის თაღზე თურმე თავთავიანთ ორბიტაზე მოძრაობდა.

ბოლოს, როდესაც რომაელებმა ახ. წ. 212 წელს სირაკუზა დაიპყრეს და გაათრეველი მემორები არქიმედეს სახლში შეცვივდნენ, დიდი მეცნიერი ამ დროს სიღაბე გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავდა. ჯარისკაცებს კი, რომლებმაც ხელი შეუშალეს, შენიშვნა მისცა: Noli turbare

circulos meos „ფეხს ნუ დაადგამთ ამ წრეებსო“. აღშფოთებულმა და გაოცებულმა რომაელმა მეომრებმა არქიმედე ხმლით განგმირეს.

### **ოცდამეორე გაკვეთილისთვის** **სამხედრო საქმე**

ძველ საბერძნეთში ომი ხშირი მოვლენა იყო, ამიგომ მამაკაცების უმრავლესობა სიცოცხლის გარკვეულ პერიოდს სამხედრო სამსახურში ატარებდა.

თითოეულ ბერძნულ პოლისს საკუთარი არმია ჰყავდა. კარგად შეიარაღებული ჯარისკაცები ე. წ. პოპლიტები ჯარის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდნენ. ყველაზე საშიში იარაღი გრძელი შუბი იყო, რომელიც ღრმა ჭრილობებს გოვებდა. ამას გარდა, მეომრებს ჰქონდათ მსუბუქი შუბები, ისრები, შურდულები და ბასრი ხმლები.

ბერძნული ჯარის უდიდესი ნაწილი ქვეითებისაგან შედგებოდა. ის მოქალაქეები, რომლებსაც იარაღის შეძენა შეეძლოთ, მებრძოლები ხდებოდნენ. ჯარის ცენტრში იდგნენ პოპლიტები, მარჯვნივ და მარცხნივ კი უფრო მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლები. ფალანგებზე ყველაზე ღარიბი ჯარისკაცები იყვნენ განლაგებულნი.

სამხედრო ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეები ერთმანეთს სირბილით უახლოვდებოდნენ და ხელჩართულ ბრძოლას იწყებდნენ.

მებრძოლებს თითქმის მთელი განი აბჯრით ჰქონდათ შემოსილი, თან ფარსაც იშველიებდნენ. ბერძნებს უძლიერესი სამხედრო ფლოტი ჰყავდათ. ისინი კატაპულტებს, ცეცხლისმსროლელ დანადგარებს და გარანებს იყენებდნენ.

რომაელები გამარჯვებებს ძლიერი და კარგად ორგანიზებული ჯარის მეშვეობით აღწევდნენ. რომის იმპერია უძლიერეს არმიას ემყარებოდა. ეს იყო პირველი პროფესიული არმია, რომელიც მოხალისე ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ლეგიონერები არმიაში 20 წლის განმავლობაში მსახურობდნენ. ბრძოლაში მონაწილეობის გარდა, მათი ძირითადი ვალდებულება იმპერიის საზღვრების დაცვა იყო.

რომაელი ჯარისკაცები რაზმებად იბრძოდნენ. 100 ჯარისკაცისაგან შემდგარ რაზმს ცენტურია ერქვა. ცენტურიები კოპორტებად ერთიანდებოდა, 10 კოპორტა კი ლეგიონს ქმნიდა. ლეგიონში 5000 ჯარისკაცი შედიოდა.

იმპერიას იმდენად დიდი არმია ჰყავდა, რომ ბევრ ლეგიონერს ერთხელაც არ ენახა რომი. თუმცა რომაულ გვარდიაში იყო ელიტარული ნაწილი, რომელიც მარტო იმპერიას იცავდა. მათ სხვებზე სამ-

ჯერ მეტს უხდიდნენ. თან აჯანყების დროს სწრაფი რეაგირება შეეძლოთ, ახ. წ. II საუკუნიდან ხშირად ერეოდნენ სახელმწიფო პოლიტიკაში.

სადაც კი მივიდოდა რომაული არმია, ოთხკუთხედ ციხე-სიმაგრეებს აგებდა კოშკებით, ყაზარმებით, სარდალთა სახლებით, ციხითა და აბანოებით.

ჯარისკაცთა უმრავლესობა კარგად გაწვრთნილი პროფესიონალები იყო, რომლებმაც სამხედრო საქმიანობა საკუთარ ხელობად აქციეს. უდიდეს იმპერიაზე სრული კონტროლის შესანარჩუნებლად არმიის სწრაფი გადაადგილება იყო საჭირო. ამიგომ შეიქმნა გზათა ახალი ქსელი, რომელიც იმპერიის ყველა კუთხეს მოიცავდა. ასეთ გზაზე არმიას დღეში 50 კმ. გავლა შეეძლო.

### **ოცდამესამე გაკვეთილისთვის** **პოლიტიკა**

ათენი და სპარტა ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნული ქალაქები იყო. სწორედ ათენში ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური სისტემა – დემოკრატია, რომლის სათავეშიც პერიკლესი იდგა. ყველა თავისუფალი ათენელი მამაკაცი მონაწილეობდა ქალაქის მართვაში. ახალ გადაწყვეტილებებს ისინი კენჭისყრით იღებდნენ. ქალები, უცხოელები, მონები და 18 წლამდე ბავშვები მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ.

ძვ. წ. VII-VI საუკუნიდან მონობა ფართოდ გავრცელდა საბერძნეთში. მონები, ძირითადად, სამხედრო გყვეები იყვნენ, რომელთაც არაერთი უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ზოგჯერ შეეძლოთ საკუთარი თავისუფლების ყიდვა.

მაღალი რანგის მოხელეები და სარდლები ხალხის კონტროლს ექვემდებარებოდნენ. თუ ვინმეს მექრთამეობაში ან თავისი მოვალეობის შეუსრულებლობაში ამხელდნენ, მას ქალაქიდან აძევებდნენ. საკრებულოს 6000 წევრს კენჭისყრით უნდა გამოეყვინა ყველაზე უღირსი პიროვნება, რომელიც ქალაქს 10 წლით დატოვებდა. კანონი ყველა ბერძენისათვის უმუნავსი იყო, ამიგომ ისინი ცდილობდნენ არასოდეს დაერღვიათ იგი. პირველი კანონმდებლები სწორედ საბერძნეთში გაჩნდნენ (დრაკონი, ლიკურგოსი, სოლონი, კლისთენესი), რომლებმაც არსებული ადათ-წესებისა და სოციალური წყობის შესაბამისი წერილობითი კანონები შექმნეს.

ძველი ბერძნები თავიდანვე დაინტერესებულნი ყოფილან სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის მოდელების ძიებით პლატონსა და არისტოტელეს ამ თემაზე შრომებიც კი შეუქმნიათ.

რომის რესპუბლიკაში დემოკრატია შედარებით უფრო მოჩვენებითი იყო, ვინაიდან ძალაუფლებას პატრიციები (დიდგვაროვანები) ფლობდნენ. რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლება სენატის ხელში იყო, რომელშიც მხოლოდ პატრიციები იყვნენ. ისინი 2 კონსულს ირჩევდნენ, რადგანაც რომაელები მონარქიული მმართველობის წინააღმდეგნი იყვნენ, ავგუსტუსმა თავს არა „მეფე“, არამედ „პირველი მოქალაქე“ უწოდა.

უბრალო რომაელებს პლებებს უწოდებდნენ, რომლებიც წლების მანძილზე იმისათვის იბრძოდნენ, რომ უფრო დიდი უფლებები მოეპოვებინათ, რასაც მიაღწიეს კიდეც – საკუთარი საკრებულო დააარსეს და მოხელეებსაც ირჩევდნენ.

კანონი რომშიც უზენაესი იყო. თვით იმპერატორებიც კი ემორჩილებოდნენ მას და სასამართლოები მკაცრად იცავდნენ მოქალაქეთა უფლებებს.

ფორუმი, ისევე როგორც ბერძნული აგორა, მთავარი სახალხო მოედანი იყო და იგი ქალაქის არა მარტო რელიგიურ და სავაჭრო, არამედ პოლიტიკურსა და გასართობ ცენტრს წარმოადგენდა.

### **ოცდამეოთხე გაკვეთილისთვის**

#### **ხელოვნება, არქიტექტურა**

ბერძნებმა უამრავი ქანდაკება, თიხის ნაკეთობა, ლექსი და მუსიკალური ნაწარმოები შექმნეს, რაც შემდეგ თითქმის მთელი დასავლური ხელოვნების შთაგონების წყარო გახდა.

ძველბერძნული ხელოვნების განვითარება არქაულ პერიოდში (ძვ. წ. VIII-VI სს.) დაიწყო, მწვერვალს კლასიკურ ხანაში (ძვ. წ. V-IV სს.) მიაღწია და გაგრძელდა ელინისტურ ეპოქაში (ძვ. წ. IV-I სს.).

ბერძნები თავდაპირველად მოუსხმავ ქმნილებებს აკეთებდნენ, მოგვიანებით კი შეიქმნა ხელოვნების უმშვენიერესი ნიმუშები.

ბერძნები უბრალო სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ბრწყინვალე სასახლეებს აგებდნენ. სწორედ მათ შექმნეს არქიტექტურის სამი სტილი – დორიული, იონიური და კორინთული.

დორიული სტილით, ძირითადად, აგებულია არქაული და კლასიკური ეპოქის უმნიშვნელოვანესი ტაძრები. იონიური სტილი კი კლასიკური ეპოქიდან გახდა პოპულარული და, დორიულისაგან განსხვავე-

ბით, მეტი სინატიფე და სიმსუბუქე ახასიათებდა. კორინთულ სტილს კი – მეტი დეკორატიულობა და პომპეზურობა.

ბერძნები ტაძრებს ხისა და კირქვისაგან, შემდეგ კი მარმარილოსაგანაც აგებდნენ. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფერს, პროპორციებსა და სიმეტრიას. აქ ყველაფერი ერთიან კანონს ემორჩილებოდა. ძირითადი საზომი ერთეული იყო რადიუსი (სვეცის სიგანის ნახევარი) და ამის საფუძველზე გამოითვლებოდა ტაძრის ნებისმიერი შემადგენელი ნაწილის ზომა. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი მშენებლები არქიტექტურის კანონთა მკაცრ ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი. პირიქით, ამ წესებისა და უზაღო გემოვნების შერწყმით იქმნებოდა ხელოვნების უმშვენიერესი ნიმუშები, რომლებიც დღესაც კი აოცებენ მნახველთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალღმერთ ათენას სადიდებლად აშენებული ათენის აკროპოლისი, რომელშიც უამრავი ბრწყინვალე ნაგებობა იყო: დიონისეს თეატრი, ერექთეიონი, ნიკეს ტაძარი, ათენის სტადიონი და სხვ.

ყველა რომაულ ქალაქში იდგა ამფითეატრი, დიდი სტადიონი, სადაც პოპულარული სანახაობები იმართებოდა. მათგან უდიდესი იყო რომის კოლოსეუმი, რომლის მშენებლობა იმპერატორ ვესპასიანუსის (ახ. წ. 69-79) სურვილით დაწყებულა. იგი დაახლოებით ახ. წ. 70-80 წლებში აშენდა ხის ძველი შენობის ადგილას. კოლოსეუმში წარმოდგენებზე დასწრება უფასო იყო. აქ, ძირითადად, გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა, რომლებიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ რომში.

ანტიკურ სამყაროში არქიტექტურასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცეოდა სკულპტურასაც. თუმცა ქანდაკებები, რომლებიც რომში იქმნებოდა, არ იყო იმდენად სრულქმნილი, როგორც ბერძნული.

რომაელი მოქანდაკეები ძირითად აქცენტს მხოლოდ თავსა და სახეზე აკეთებდნენ, მას ამუშავებდნენ დიდი გულმოდგინებით, ტანი კი მხოლოდ დანამატი იყო და პირობითად ასრულებდა ქანდაკების მთლიანობას. სმირად, როდესაც რომაელებს იმპერატორთა ძეგლის შეცვლა უნდოდათ, ქანდაკებებს თავს ხსნიდნენ და ახალს ამაგრებდნენ. რომაული სკულპტურისაგან რადიკალურად განსხვავებულია ბერძნული ქანდაკება, რომლის თითოეული დეტალი ორგანულ მთლიანობას წარმოადგენდა: სახის გამომეგყველება აისახებოდა სხეულის თითოეულ ნაწილში.

სკულპტურაში, ისევე როგორც არქიტექტურაში, სიმეტრია უმთავრესი იყო. ადამიანის სხეულის აგება უზუსტეს პროპორციებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული (ახლაც მოქანდაკენი სიმეტრიის ამ ერთეულებით ხელმძღვანელობენ). მაგ: თავი მთელი სხეულის 1/8 უნდა ყოფილიყო, ხელის მტევანი 1/6 და ა. შ.

არქაული პერიოდის ქანდაკებები შედარებით უხეში იყო. კლასიკური ხანის ფიგურები კი – რეალისტური და მიმზიდველი. ძვ. წ. VI საუკუნიდან ცდილობენ მოძრაობის ელემენტის შემოგანას. არგოსელმა მოქანდაკე პოლიკლეტესმა შექმნა ათლეტების ფიგურები, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას გოვებდნენ, თითქოს საცაა ამოძრავდებიანო.

კლასიკურ ხანაში მოქანდაკეები უფრო შორს წავიდნენ და ადამიანური გრძნობების ნათლად გადმოცემაც კი შეძლეს.

ძვ. წ. IV საუკუნიდან პორტრეტული ქანდაკებები ხდება პოპულარული. თავდაპირველად გარდაცვლილთა პორტრეტებს ძერწავდნენ ოდნავ იდეალიზებული ფორმით. ელინისტური ხანიდან კი ცოცხალ ადამიანთა (მმართველების, ფილოსოფოსების, უბრალო ადამიანთა) პორტრეტული ქანდაკებების შექმნაც დაიწყო.

